

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის
სამინისტრო

სამაცნიერო პრცენტაციის

მასალები

„კულტურული მემკვიდრეობა ოკუპაციის პირობებში“

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2015

უაკ. (UDC)

© ავტორი

ISBN 978-9941-10-

ირაკლი გელენავა
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის სამინისტროს,
კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის
უფროსი, პროფესორი

აფხაზეთის კულტურული ფასეულობები – საფრთხეები და გამოწვევები

(აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის მიერ წარმოებული საქმიანობის ანგარიშის მასალების გამოყენებით)

1992 წელს საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიწყო საომარი მოქმედებები, ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდნენ ჩრდილო კავკასიულების, კაზბეკების, რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და სხვადასხვა ეროვნების დაქირავებული მებრძოლები. ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები აფხაზეთის ტერიტორიაზე დასრულდა 1993 წლის სექტემბერში.

შედეგად განხორციელდა ეთნიკური წმენდა, აფხაზეთი დატოვა დაახლოებით 250 000 ქართველმა, ეთნიკური ნიშნით დევნილ ქართველთა შორის იყვნენ სახვა ეროვნების მოქალაქეებიც.

აფხაზეთის ტერიტორია, ოდითგანვე ქართული კულტურული და პოლიტიკური სივრცის მნიშვნელოვანი შემადგენელი და საქართველოს რეგიონია, სადაც სახელმწიფო, საქმისწარმოების, საღვთისმსახურო და სალიტერატურო ენა იყო ქართული. ქართველებისა და აფხაზების წინაპრები ერთობლივად ქმნიდნენ იმ საერთო კულტურულ ფასეულობებს რომლებსაც ლირსეული ადგილი უკავია ქართული კულტურული მემკვიდრეობის ჩამონათვალში. მათ ააშენეს ილორი, მოქვი, ბედია, ლიხნი, დრანდა და ა. შ. ბედია ხომ გაერთიანებული საქართველოს ქართველ მეფეთა საძვალე იყო.

აფხაზეთში ინახებოდა საქართველოს ისტორიისათვის უმ-

ნიშვნელოვანესი სამუზეუმო ექსპონატები

სოხუმის მუზეუმში დაცული იყო დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლები. ჩვენი ინფორმაციით ამჟამად იქ შემორჩენილია: წებელდის კანკელის ფრაგმენტები, ხარის თავი დრანდიდან, ანტიკური პერიოდის ე. წ. სოხუმის სტელა, ეთნოგრაფიული ნივთები, ა. შერვაშიძის ნამუშევრები და ა. შ.

აფხაზეთში, აქ ამ ძირძველ ქართულ მინაზე, ადამიანს პირველყოფილი დროიდან უცხოვრია, რასაც მოწმობს აფხაზეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალა.

რა ხდება დღეს? რა ვითარებაა აფხაზეთში? რა გამოწვევების წინაშე დგას აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი კულტურული მემკვიდრეობა?

ამ უკანაკუნელ პერიოდში აფხაზეთის ლეგიტიმურმა მთავრობამ, აფხაზეთის კულტურული ფასეულობებზე ზრუნვისა და მათი პოპულარიზაციის მიზნით, დღის წესრიგში დააყენა კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის შექმნის აუცილებლობის საკითხი. გადაწყდა, რომ სამსახური აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში უნდა მოქცეულიყო, მინისტრის – დიმიტრი ჯაიანის მითითებით დაიწყო სამსახურის შესაქმნელად საჭირო სამუშაოების განხორციელება. განისაზღვრა საშტატო შემადგენლობა,¹ გამოცხადდა კონკურს., შედეგად კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა ფუნქციონირება დაიწყო 2015 წლის დასაწყისიდან.

სამსახურმა 2015 წლის განმავლობაში აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით გადადგა კონკრეტული ნაბიჯები, რაც გამოიხატა შემდეგში:

2015 წლის დასაწყისში ამოქმედდა „კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა“, მის ფარგლებში დაიგეგმა ოთხი ქვეპროგრამის განხორციელება.²

1 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანება N218/დ, 10/09/2014, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საშტატო ნუსხისა და ტანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ.

2 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანება N40/ფ, 05/02/2015; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

1. ქვეპროგრამა: „აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა პოპულარიზაცია“ ქვეპროგრამის შედეგად – საზოგადოებაში აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის, მათი დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით დაიბეჭდა საინფორმაციო ბარათები (ფლაერები 1360 ცალი), სახელწოდებით „გადავარჩინოთ კულტურული მემკვიდრება აფხაზეთში“, მასში მოქცეული იყო ინფორმაცია განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში მყოფი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერითა და უახლესი ფოტომასალით, ამასთანავე დაიბეჭდა მაისურები (12 ცალი) აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ წარწერებით. წინასწარ ღონისძიების გამართვამდე გაიმართა შეხვედრა აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, მათ ჩაუტარდათ ტრენინგი და მიიღეს ინფორმაცია აფხაზეთის კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. შეხვედრის დროს აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლის მოსწავლეებს გადაეცათ წარწერებიანი მაისურები და საინფორმაციო ბარათები (ფლაერები) დასარიგებლად. 23 მაისს გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩატარდა აფხაზეთის მთავრობამ გამართა „აფხაზეთის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება, სადაც აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ღონისძიებაზე დამსწრე საქართველოს მოქალაქეებსა და დედაქალაქის სტუმრებს დაურიგეს საინფორმაციო ბარათები (ფლაერები). იმავე დღეს მოხალისე ახალგაზრდების მიერ აღნიშნული ბარათები გავრცელებული იქნა ქ. თბილისის სხვადასხვარიონებში. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად საქართველოს მოქალაქეებმა მიიღეს ინფორმაცია აფხაზეთში ქართული კულტურული ფასეულობების განადგურების

განათლებისა და კულტურის სამინისტროს ასიგნებით გათვალისწინებული პროგრამებისა (ხარჯთაღრიცხვის) და მის ფარგლებში განსახორციელებები ქვეპროგრამების ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ფაქტების, ასევე მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

2. ქვეპროგრამა: „**აფხაზეთის კულტურული ფასეულობათა პოპულარიზაცია საზღვარგარეთ**“ ქვეპროგრამის ფარგლებში – აფხაზეთის კულტურული ფასეულობების პოპულარიზაციისა და მათი განადგურების საფრთხის შესახებ ინფორმაციის უცხოეთში გავრცელების მიზნით დაბეჭდა ფერადი საინფორმაციო ბუკლეტი/ალბომი. მასში შევიდა აფხაზეთის მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის უძრავი 19 და მოძრავი 8 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობა წარმოდგენილია უახლესი ფოტომასალით და ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერით (ქართულ და ინგლისურ ენებზე). პროექტის ფარგლებში, ჩვენი სამსახური დაუკავშირდა რუსეთში მოღვაწე ხელოვნებათ-მცოდნეს დენის ბელეცკის, რომელმაც უსასყიდლოდ გადმოგვცა აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი უახლესი ფოტომასალა. ასევე შესაბამისი ფოტომასალის მოპოვების მიზნით, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან მოხდა შეთანხმება, მათთან დაცული აფხაზეთთან დაკავშირებული ხელნაწერების ფოტომასალის გადმოცემასთან დაკავშირებით ამასთანავე ბუკლეტში შეტანილია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლთა ერთიანი სია, მათ შორის ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსის მითითებით, აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები წარმოდგენილი სახით გამოიცა პირველად. ბუკლეტის გავრცელდა საქართველოს სამთავრობო და არასამთოვრობო უწყებებში, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობებს, ასევე გადაეცათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ მთავრობასა და უმაღლეს საბჭოს. ქვეპროგრამამ თავისი წვლილი შეიტანა აფხაზეთში ქართული არქიტექტურული ძეგლების მძიმე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.
3. „**27 ოქტომბერი – აფხაზური ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები**“ ქვეპროგრამა ითვალისწინებდა – 27 ოქტომბერს, აფხაზი განმანათლებლის – დიმიტრი გულიას ძეგლის

ყვავილების გვირგვინით შემკობას, სადაც მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის მთავრობის, უმაღლესი საბჭოსა და აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების წარმომადგენლებმა, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა ფერადი საინფორმაციო ფლაერები (1500 ც.), ინფორმაციით – აფხაზური დამწერლობის ისტორიისა და მისი ამჟამინდელი მძიმე მდგომარეობის შესახებ. ამავე დღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სხვადასხვა უბნებში მოაწყვეს აქციები, სადაც მოქალაქეებს დაურიგდათ სამახსოვრო ფლაერები და მიეწოდათ ინფორმაცია აფხაზური ენის მოკლე ისტორიისა და ამჟამად არსებული მისი გაქრობის საფრთხის შესახებ.

4. ქვეპროგრამა: „სამეცნიერო კონფერენცია – კულტურული მემკვიდრეობა ოკუპაციის პირობებში“ სამსახურში მიმზადდა კონფერენციის დებულება და სარეგისტრაციო ანკეტა.³ კონფერენციის ფარგლებში თემები წარმოადგინა 14 მეცნიერმა, მათ შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან. კონფერენციის ფარგლებში დამსწრე საზოგადოება გაეცნო უხლეს შრომებს აფხაზეთის თემატიკასა და აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, ასვე ზოგადად ოკუპაციის გავლენაზე ამა თუ იმ ქვეყნის კულტურულ ფასეულობებზე მათი ამჟამად არსებული მდგომარეობის აღწერითა და შეფასებებით. კონფერენციას ესწრებოდნენ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები. აღნიშნული მიმართულებით მომუშავე სხვა სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამეცნიერო

³ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანება N59/ბ, 17/02/2015; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამის“ (ორგანიზაციული კოდი 06100) „სამეცნიერო კონფერენციის“ ქვეპროგრამის (ორგანიზაციული კოდი 061001) განხორციელების მიზნით, „კულტურული მექანიზრების ოკუპაციის პირობებში“ კონფერენციის დებულებისა და კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველთა სარეგისტრაციო ანკეტის დამტკიცების შესახებ“

დაწესებულებები და სხვა. კონფერენციაზე წარმოდგენილი შრომები გამოიცა კრებულად და გავრცელდა სამეცნიერო წრეებსა და ბიბლიოთეკებში.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა აქტიური სამუშაოები აწარმოა არასაბიუჯეტო ღონისძიებების ფარგლებში, წარმოგიდგენთ ამ კუთხით განხორციელებელი ღონისძიებების მოკლე აღნერას:

- კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის მიერ მომზადდა საინიციატივო წინადადება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, რათა კანონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან თანასწორად იქნას მოხსენიებული და განესაზღვროს იგივე უფლებამოსილებები. ჩვენი აზრით, ამ რედაქციით არსებული კანონი გვიზღუდავს უფლებამოსილებებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში. კანონში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში სავარაუდოდ, შესაძლებელი იქნება ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე „მუზეუმ-ნაკრძალის“ შექსაქმნელად სამუშაოების დაწყება, რაც სამომავლოდ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებზე მონიტორინგისა და სისტემატიური ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას მოგვცემს.
- გაირკვა, რომ გალის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის არც ერთი ძეგლი არ იყო შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში, ამ მიმართულებით კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა, შექმნის დღიდან დაიწყო მუშაობა, შესაბამისად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გაეგზავნა გალის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის მიერ მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით ჩვენს სამსახურში მომზადებული გალის მუნიციპალიტეტის ხუთი ისტორიულ-აქტუალურული ნაგებობის სააღრიცხვო ბარათები, რათა მომხდარიყო აღნიშნული ობიექტების კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანა. მომზადებული სააღრიცხვო ბარათების საფუძველზე, გალის მუნიციპალიტეტის ხუთი

ეკლესიას – ჩხორთოლის⁴, ოქუმის⁵, ღუმურიშის⁶, წარჩის, ნათლისლებისა⁷ და ჭუბურხინჯის წმ. გიორგის სახელობის⁸ ტაძრებს და წარჩეს ციხეს⁹ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭათ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. შესაბამისად, გაჩნდა საფუძველი, აღნიშნულ ძეგლებზე, იმოქმედოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსით გათვალისწინებულმა დაცვის პირობებმა.

- სამსახური მონაწილეობს „საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის“ მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში, სადაც საუბარია კონფლიქტურ რეგიონებში კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად განსახორციელებელი ღონისძიებების გატარებაზე და ამ მიზნით შესაძლო ბერკეტების გამოყენებაზე;
- სამსახური ჩართულია ‚საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს“ ინიციატივით გაიმართულ სამუშაო შეხვედრებში თემაზე „საქართველოს კულტურის სტრატეგია: ადამიანები, პროცესები, პრიორიტეტები“, რომელშიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს სამთავრობო უწყებებისა და რეგიონების კულტურის საფეროს წარმომადგენლები, შეხვედრების მიზანია რეგიონალური სპეციფიკისა და სჭიროებების

4 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის სხდომა, ოქმი N18, 27 იანვარი, 2015 წ.

5 იქვე;

6 იქვე;

7 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება N2/88; 6 მაისი, 2015 წ. კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე;

8 იქვე;

9 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება N2/146, 2 ივნისი, 2015 წ. კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე;

გათვალისწინებით კულტურის სტრატეგიის „კულტურის პოლიტიკა 2025“ შემუშავება.

- საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ქ. ზუგდიდის დადიანის სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით შეიქმნა აფხაზეთან დაკავშირებული იმ მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომლებიც დაცულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმების ფონდებში.
- რუსული ოკუპაციის შედეგად, აფხაზეთში არსებული პირობების შედეგად, აფხაზეთის ძეგლების იერსახისა და ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება პირადი კონტაქტების გამოყენებითა და მესამე მხარის ჩართულობით, როგორიც არის არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობაზე აღნიშნული გზების გამოყენებით ჩვენ მოვახერხეთ უახლესი ფოტომასალის მოპოვება. ვფლობთ ინფორმაციას, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მიმდინარეობს მოყვარულების, არაპროფესიონალების თვითნებური ჩარევა, რითაც ნადგურდება მათი ისტორიული სახე და ძეგლი კარგავს ავთენტურობას.
- სამსახური პარალელურად ახორცილებს აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ვებ-გვერდის ადმინისტრირებასა და მართვას – <http://abculture.ge>
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურთან თანამშრომლობის გზით დაასრულა მუშაობა გამოფენაზე „Heritage under occupation -Abkhazia”, სადაც სამსახურის მიერ მიწოდებული აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ფოტომასალაც იქნა გამოქვეყნებული. დღეისათვის საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობს აფხაზეთის საინფორმაციო კუთხის მოწყობაზე ჩვენი მხრიდან მიეწოდათ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით სხვადასხვა დროს

გამოცემული სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურა.

- კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური თანამშრომლობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესეულებათაშორის საბჭოსთან, კერძოდ სამსახურმა წარადგინა ჩართულობის სტრატეგიის ფარგლებში 2015 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული სამუშაოების ანგარიში. მომზადდა წინადადებები დაწესებულებათაშორის საბჭოსთვის წარსადგენად, რათა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის, ხელმისაწვდომი გახდეს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესაძლებლობების გამოყენება.
- კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის მიერ დაიბეჭდა აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ბანერები, რომელზეც ასახულია კულტურული მემკვიდრეობის უახლესი ფოტომასალა. პირველად აღნიშნული ბანერების გამოიფინა 23 მაისს გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გამართულ ღონისძიებაში „აფხაზეთის დღე“ და ფესტივალ „არტ-გენის“ ფარგლებში.
- კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური თავისი წარმომადგენლობით, გაცნობით და შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობების განსაზღვრისათვის მართავს სამუშაო შეხვედრებს სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მიმდინარეობს კონსულტაციები და იგეგმება სხვადასხვა არასაბიუჯეტო ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების განხორციელება. მთლიანობაში სამსახურის სურვილია მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის კუთხით დაგეგმილ ყველა შესაძლო პროექტსა თუ ღონისძიებაში, აგრეთვე აქტიურად იმუშაოს კონტაქტების გაფართოებაზე, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ. ჩვენი სამსახური შეეცდება გამოიყენოს პირადი კონტაქტები და დაამყაროს ახალი ურთიერთობები აფხაზებთან კულტურულ ფასეულობების დაცვისა და პოპულარიზაციისათვის შემდგომი ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებად. 2016 წლის მარტში ქალაქ ფლორენციაში რომელა-

დო დელ ბიანკოს ფონდის ორგანიზებით იმართება კონფერენცია „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“ და „თანამედროვე ევროპაში, საკონსერვაციო სამუშაოების როლი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში“ სასურველია, რომ კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის წარმომადგენლები ჩართულნი იყვენენ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებში, რაც საშუალებას მოგვცემს საერთაშორისო ასპარეზზე წარმოვაჩინოთ აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობა და მივიღოთ მათი გამოცდილება პრობლემის მოგვარებისათვის საჭირო ახალი მიდგომების შესწავლის საკითხებში.

ასმათ ოქროპირიძე
გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული
ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის
ეროვნული კვლევითი ცენტრი

აფხაზეთის არქიტექტურა – ქართული დიალოგი ბიზანტიასთან

მე მინდა, თხრობა დავიწყო კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებით“, კერძოდ, თარაშ ემხვარით და დავსვა რიტორიკული კითხვა: ვინმეს რომ ეთქვა თარაშისთვის, რომ ის არ იყო ქართველი და საქართველოს შვილი? მაგრამ აფხაზთა და ქართველთა სისხლ-ხორცეული განუყოფლობის ეს სიმბოლო ადიდებულმა ენგურმა წაიღო და მასთან ერთად – მშვიდობა აფხაზეთის მინაზე. საბოლოოდ აფხაზეთი – ეს ძირძველი კუთხე საქართველოსი – დროებით მოწყვეტილი აღმოჩნდა.

დღეს უპირველესი პრობლემა ჩვენსა და აფხაზებს შორის – ჩვენივე ცნობიერებაა. მტერმა ჯერ ჩვენ ჩვენსავე თავს დაგვა-შორა და, ამგვარად გაუცხოებულები, ერთმანეთსაც დაგვშორდით. ამდენად, ერთობის აღდგენის უპირველესი პირობა სწორედ მენტალურია.

ამ განზომილებით განსაკუთრებით საგულისხმოა კულ-ტურული მემკვიდრეობის სილრმისეული გაცნობიერება და ჩვენი ისტორიული ძირების იქ ამოკითხვა. აფხაზეთის მუსიკალური ფოლკლორი თუ საცხოვრებელი არქიტექტურა, შესამოსელი თუ ზოგადად ზნე-ჩვეულებები, ერთიანი საქართველოსგან განუყოფლობას აჩვენებს უპირობოდ.

კულტურული ორიენტაციის ერთ-ერთი, ყველაზე ნათელი გამოხატულება საეკლესიო არქიტექტურაა – რომელშიც, როგორც მაკრო სტრუქტურაში, მასშტაბურად შეიძლება ამოვიკითხოთ როგორც ზოგადად, მსოფლმხედველობა, ასე – ესთეტიკაც. საეკლესიო არქიტექტურის ამგვარი უნივერსალობის გამო მტერმა სწორედ ის აირჩია დარტყმის საგნად და XIX და XX საუკუნეებში ამ მაგალითზე ცდილობდა, ეჩვენებინა ძირეული სხ-

ვაობა აფხაზურსა და დანარჩენი საქართველოს საეკლესიო არქიტექტურას შორის. მთავარი, საყრდენი თეზა კი მდგომარეობდა იმაში, თითქოს აფხაზეთის არქიტექტურა, არსებითად, ბიზანტიურია და სრულიად სხვაობს ზოგადქართულისაგან.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის არქიტექტურას უამრავი მეცნიერი სწავლობდა (როგორც ქართველი, ისე - უცხოელიც) ქართულმა სახელმწიფო უნივერსიტეტი სკოლამ იმთავითვე ჯეროვნად შეაფასა აფხაზეთის არქიტექტურა, საკმარისია დასავასასახელოთ მეცნიერები: გ. ჩუბინაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, ვ. ბერიძე, რ. შემერლინგი, რ. გვერდნითელი, დ. თუმანიშვილი. მათ მიერ შექმნილი მეცნიერული სურათი ძალზედ ღრმა და დამაჯერებელია. დასკვნა საზოგადოა - აფხაზეთის არქიტექტურა ზოგადქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ადგილობრივი სკოლაა - მსგავსად კახეთისა, ქართლისა თუ ტაო-კლარჯეთისა.

მაგრამ დღესაც კვლავ და კვლავ ჩვენი „ეკოლისმყოფელი“ არ ცხრებიან, ამტკიცონ, რომ აფხაზეთის არქიტექტურა - ბიზანტიურია. შეიცვალა დროც. ამიტომ საჭიროა ყოველთვის ახალი მტკიცებულებების მოძიება და კითხვებზე სათანადო პასუხის გაცემა.

უპირველეს ყოვლისა, გვინდა რეზიუმეს სახით წარმოვადგინოთ ქართული მეცნიერების დასკვნები:

აფხაზეთი უძველესი დროიდან X საუკუნემდე იყო ჯერ რომის, შემდეგ კი ბიზანტიის იმპერიათა პოლიტიკური და, შესაბამისად, კულტურული წნევის ქვეშ. ერთ-ერთი უადრესი ბაზილიკა - ბიზონთისა - მრგვალი სვეტებითა და სავარაუდო ხის გადახურვით აშკარად ბიზანტიური წრის ძეგლია.

მაგრამ შემდგომ - უკვე VI-X საუკუნეების არქიტექტურა წარმოუდგენელია, განიხილო ზოგადქართული კულტურისაგან მოცილებულად.

1. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ტაძართა ტიპოლოგია: ეს არის ე.წ. „სამეცნიერო ბაზილიკების“ ჯგუფი (ძველი გაგრა, აბაანთა, მიუსერა, ქიაჩი). ეს ტიპი სხვა ქვეყნებში ერთეული მაგალითების სახით გვხვდება. მხოლოდ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთსა და ქართლში, ვეზავთ მას მრავლობითად და ყოველ ჯერზე - განუმეორებე-

ლი ინტერპრეტაციით. ანალოგიური სურათია აფხაზეთშიც, რაც მეტყველებს ამ ტიპოლოგიის ზოგად ეროვნულ ქართულ ძირზე.

2. მეორე ტიპოლოგიური ჯგუფია გუმბათური ტაძრები ე.წ. „ჩახაზული ჯვრისა“ (ბზიფი, ანაკოფია, ლიხნე, მოქვი – VII-X სს.). საქმე ის არის, რომ ამ დროს ზოგადად ბიზანტიის კულტურულ სივრცეში და კონკრეტულად, არქიტექტურაში გარკვეული კრიზისია. „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის ეკლესიები, ყველაზე მკაფიო და ჩამოყალიბებული ფორმულა ლიტურგიული სივრცისა, ბიზანტიის მზოლოდ IX ს. ბოლოს – X საუკუნიდან მკვიდრდება. მაშინ, როდესაც საქართველოში (პარალელურად - სომხეთშიც) უკვე VII ს. 30-იან წლებში წრომია აგებული. ასე, რომ ბზიფი-მოქვის ჯგუფი გვიჩვენებს საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის ორიგინალურ შემოქმედებით განვითარებას, არსებითად ბიზანტიისაგან დამოუკიდებლად.
 3. ტიპიური ზოგადქართულია სამშენებლო ტექნიკაც, რომელიც გარდა ბიჭვინთის გუმბათური ტაძრისა, სამშენებლო მასალა-ად იღებს თლილ ქვას (ან რიყის ქვას – ძველი გაგრის შემთხვევაში), რაც ასევე „არაბიზანტიური“ მოვლენაა, რადგან ბიზანტია უპირატესობას ანიჭებს ფასადებზე უმეტესად აგურს, ინტერიერში კი – მარმარილოს.
 4. ბოლოს დეკორი – აფხაზეთის არქიტექტურა, არსებითად, მოურთველია (ანალოგიურად კახეთისა), მაგრამ ბზიფის ორნამენტი გვიჩვენებს ძირულ კავშირს ერთიანი საქართველოს დეკორების პრინციპებთან, რადგან მის ვარიაციას წარმოადგენს.
- მაგრამ მაინც, როგორი დიალოგი, როგორი შემოქმედებითი მიმართება ჰქონდა აფხაზეთის არქიტექტურის ბიზანტიისთან? და ეს კულტურული კონტაქტი უდავოდ რომ იყო, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აქ უისტინიანემ ტაძარი ააგო. რით ავხსნით ბიჭვინთის „ოპუს მიქსტუმი“, აფხაზეთის ტაძრების მოურთველობა (მიუხედავად მათი ქვით მოპირკეთებისა, რაც სწორედ რომ ორნამენტირების შესაძლებლობას იძლევა?), თუ დასავლეთის დამაგვირგვინებელი ნართექსი პატრონიკებით,

როგორც ბიზანტიის არქიტექტურის უსაყვარლესი ელემენტი?

ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიაზროთ, თუ რას წარმოადგენს როგორც ქართული, ასევე ბიზანტიური არქიტექტურა თავისთავად, ფენომენურად და ამგვარი განსაზღვრების საფუძველზე ვაჩვენოთ აფხაზეთის ხუროთმოძღვრული სკოლის ნიშან-თვისებათა ინდივიდუალურობა.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ერთა თვითმყოფადობა ქრისტიანობის მიერ აღიარებულია. კარდინალური მსოფლმხედველობის მიხედვით ერებად (ენებად) დაყოფა მოხდა ბაბილონის გოდოლთან, რათა გაუკეთურებული კაცობრიობა დაესაჯა უფალს, ხოლო სულთოფენობის დროს კი ეს ცოდვის გამო გათიშვის შედეგი იკურთხა და განიწმინდა როგორც ახალი, ამასთანავე თანაბარი შესაძლებლობა – ყოველი ენა (ერი) კვლავ დაბრუნებულიყო სასუფეველში.

ქრისტიანობაში ეროვნებებად დაყოფის უმთავრესი ნიშანი – ენაა. რადგან სწორედ ენით გადმოიცემა განკაცებული ლოგოსის მთავარი მოძღვრება – სახარება. ამიტომ ვთვლით, რომ ბიზანტია, მოლაპარაკე არსებად, ბერძნულ ენაზე, სწორედ უძველესი საბერძნეთის კულტურის მთავარი საყრდენი და მისი გამოხატულებაა, (თუმცა ცნება „ბიზანტიური“ გულისხმობს მრავალი სხვა ერის ანონიმურ თანაშემოქმედებასაც).

რა განსხვავებაა ქართულ და ბერძნულ ტაძრებს შორის? განსხვავება ქართულ და ბერძნულ კულტურებს შორისაც ზოგადად. იმანე ზოსიმეს მიხედვით საქართველო – მარიამია, ხოლო ბიზანტია – მართა. ანუ ორი და – ნინო და ელენე. შესაბამისად, ნინო – მონაზონებაა, ელენე დედოფალი – საერო ზრუნვა. ორი ჯვარი – ნინოს ჯვარი – ღვთისმშობლისგან ბოძებული ვაზის ღერწი, შეკრული ქალწულის თმით, კონსტანტინეს ჯვარი – იმთავითვე ოქროს, თვალ-მარგალიტისა და ბისონის ქმნილება და ა.შ.

ყოველ ერს უფლისგან მიჩნილი აქვს რომელიმე ძირითადი გეოგრაფიული გარემო, სადაც ყალიბდება ერის ნიშან-თვისებები, საკუთარი თავის ძიება და თვითგამოხატულება. ამგვარად, გეოგრაფიული გარემოს თვისობრიობა, თავის მხრივ, ნებსით თუ უნებლიერ, მონაწილე ხდება ერის კულტურის ფორმირებაში.

ნამდვილი კულტურა მის კუთვნილ გარემოს აღიქვამს როგორც ლვთისგანგებულებას, ლვთის ნებას და სწორედ ამ გარემოში ამოიკითხავს სამყაროს შესაქმის საიდუმლოს. ამგვარი სულიერი განჭვრეტის შედეგი კი უშუალოდ აისახება ხელოვნებაში ზოგადად, კონკრეტულად კი – არქიტექტურაში, როგორც ყველაზე მასშტაბურ ფორმაში. ამ განზომილებით თუ შევხედავთ ქართულ და ბერძნულ კულტურებს, უდაოდ თვალშისაცემია თვით გეოგრაფიული გარემოს ინდივიდუალურობანი. საქართველოს ლანდშაფტისათვის დამახასიათებელია მიწის, როგორც პირველ-სტიქიონის დომინირება – თვალი ყოველი მიმართულებით განსრულდება მთებით. ეს ფენომენურად აისახა კიდეც ქართულ პეიზაჟში. (საკუმარისა დავასახელოთ დ. კაკაბაძის იმერეთის პეიზაჟები). ამ თავისებურებასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო მიწათმოქმედების უძველესი სამშობლოა (ვაზისა და ხორბლის კულტურებით). თვით საქართველოს სახელიც – „გეორგია“ ამაზე მეტყველებს.

საბერძნეთის გეოგრაფიულ გარემოში კი ვიზუალურად დომინირებულია ორი სტიქია – წყალი (ზღვის სახით) და ჰაერი (ცის სახით). კულტურად ყველა უმნიშვნელოვანესი ცენტრი (ათენის აკროპოლისი თუ ათონის წმინდა მთა) დგას იმგვარ ზეანეულ წერტილზე, საიდანაც კიდევ უფრო თვალნათელია ზღვისა და ცის ერთობა, როგორც შესაქმის თავისებური აბსტრაქტორება და ამასთანავე – მარადიული უსასრულობის ხატი. უდავოა, რომ წყლისა და ჰაერის სტიქიათა თვისებები, მათი განუმეორებლობა აისახა კიდეც ბერძნული ტაძრის (როგორც წარმართული, ასევე – ქრისტიანულის) სტრუქტურაში. ამაზე მეტყველებს სპეციფიკური გეგმარება, სამშენებლო მასალის გამოყენების ესთეტიკა, და სხვა. ბოლოს, განსაკუთრებით საგულისხმოა ე.წ. „ეკვფრა-სისები“, სადაც სილრმისეულად აისახება ტაძართა ერთი შეხედვით დაფარული სულიერი თვისობრიობანი.

როგორ აისახება გეოგრაფიული გარემო ქართულ და ბერძნულ ქრისტიანულ ტაძრებში? უპირველეს ყოვლისა, ქართულ ტაძარში წამყვანი მხატვრული ღირებულება გააჩნია კედელს, მის არსებით დაუნაწევრებლობას. კედელი ქართველისთვის თავისებური მეტაფორა გამხდარა მიწისა, რომლის ფორმვანებაც

გამოხატულია ქვიშაქვის მქრქალ და „მსუნთქავ“ ფაქტურაში. ბერძნულ ტაძარში კი, სადაც დაბლა იგულისხმევა ზღვა, ხოლო მაღლა – ჰაერი, მაქსიმალურად „იგნორირებულია“ კედელი, რომელიც „კეტავს“ ცას, ანუ ჰაერს. ამიტომ ბერძენი ანაწევრებს კედელს და ცენტრალური სივრცის გარშემო ქმნის პარალელურ სივრცეს (თუ სივრცეებს), ასე, რომ თვალი ცენტრიდან გადის გარეთ, თითქოს ივრცობა და უერთდება უამრავი ფანჯრიდან შემოსულ სინათლეს, რომელიც, რა თქმა უნდა, სულიერი, ფიზიკური სინათლე კი არ არის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ქრისტესი, როგორც სინათლის ხილული მეტაფორა. ამასთანავე, ჰაერი, როგორც სტიქიონი წმ. იოანე დამბაკელის მიხედვით არის „უფერო“, ანუ პუნქტით ფერისარმქონე, გამჭვირვალე, შუქამტარი (რადგან, მიმღებია სინათლისა)“ (1.გვ. 353) „ადგილი ჰაერისეულია, რადგან ყოველი სხეულის ადგილი არის მისი გარემომცველობა“ (1.გვ. 354). ამ ტექსტიდან ჩანს, თუ ბერძნული ტაძრისათვის, სადაც ჰაერი არის მსოფლხატის შექმნის ერთ-ერთი პირველადი სტიქიონი, რამდენად მნიშვნელოვანია სივრცის „გამჭვირვალება“, შუქის მიმღეობა. ბუნებრივია, რომ ამ გარემოში კედელი, რომელიც ზოგადად „კეტავს“ სივრცეს (ანუ ჰაერის მეტყველებას ენინააღმდეგება) „იგნორირებულია“.

გეოგრაფიული გარემოდან ნაკარნახევი წყლის სტიქია განაპირობებს ბიზანტიურ ტაძარში მარმარილოს უხვ გამოყენებას. მარმარილო, რომელიც საბერძნეთის კირქვოვანი ნიადაგის ერთ-ერთი დანაბადია, თავისთავად განიცდება წყლის (ზღვის) სტიქიად, ხოლო ეკურასისების მიხედვით იგი სამოთხიდან გამომდინარე ოთხი მდინარისა და მსოფლიო ოკეანის სიმბოლოს იტვირთავს (იხ. აია სოფია, სან ვიტალე, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი). ასე, რომ ქართული ტაძრების ქვიშაქვას ბერძნულ ინტერიერებში მარმარილო შეეფარდება.

ბიზანტიურ ტაძარში ძლიერია ჰორიზონტალის (ან ჰორიზონტალების) ესთეტიკა, ჯერ კიდევ წარმართული საბერძნეთის ხუროთმოძღვრებაში ფასადებზე წამყვანი იყო არქიტრავის მეტყველება, ხოლო ინტერიერში კი ქვის გრძელი კოჭები იყრდნობდა მეორე სართულის სვეტებს. ეს კონსტრუქციულ-მხატვრული თავისებურება ბუნებრივად გაგრძელდა უკვე ქრის-

ტიანული ეკლესიის სივრცეშიაც. (მაგალითად, საკმარისია აია სოფიას ინტერიერის ორსართულიანი გალერეის სივრცითი ღრმა სარტყელი მთელი ნაგებობის პერიმეტრზე).

ჰორიზონტალი, როგორც ზღვისა და ცის (ანუ წყლისა და ჰაერის) სტიქიათა შეხვედრისა და მათი ურთიერთგამიჯვნის თავისებური კოსტანტა, მყარად ცოცხლობს საბერძნეთის ეკლესიათა ფასადებზე. საკმარისია, დავასახელოთ სან ვიტალე, ჰოზიოს ლუკასი, კაპნიკარეა და ა.შ.

კიდევ ერთი ძირეული განსხვავება, რომელსაც თვალი გაედევნება ქართულ და ბერძნულ (ბიზანტიურ) ტაძრებში, ინტერიერის ორგანიზების პრინციპია. კერძოდ, ქართული ეკლესია ცენტრალური ღერძის გარშემო შემოკრებილი ერთიანობაა, რომელიც ასევე ერთიანი, დაუნაწევრებელი კედლით იფარგლება. რამდენიმე საუკუნის უძრეტი შემოქმედებითი ძიების პროცესი ალავრდის ერთიან, გრანდიოზულ და ამასთანავე სიმულტანურ სივრცეში პპოვებს დაგვირგვინებას. ამ სივრცის შინაგანი ამხსნელია სვეტიცხოველი – საქართველოს ეკლესიის უპირველესი სინმინდე – საკრალური სიცოცხლის ხე. მისი აკოლოთია, დაწერილი XII საუკუნეში კათალიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ გულაბერძისის მიერ, სულიერი სილრმითა და გამოხატვის სიმკაფიობით ქრისტიანული ეგზეგეტიკის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია, მასში გამოთქმული სვეტიცხოვლის ტროპარი კი თითქოს უმოკლესი ფორმულაა ყველა ქართული ეკლესიისა ერთობლიობაში:

„კათოლიკე ეკლესიისა დღესასწაული და სუეტისა წმიდისა და კუართისა საუფლოისა ნათელი შემოჰკრებს კიდეთა სოფლისათა,

და სანუაგედ წმიდად მიპრონსა გვინყაროებს“.

ვიმეორებ, სწორედ ამიტომ „იზრდება“ ქართული ტაძრების ზომები მინიმალისტური მცხეთის ჯვრიდან გრანდიოზულ ალავერდამდე (თუმცა, მათი შინაარსი ერთნაირია).

ბიზანტიაში კი სრულიად საპირისპირო ტენდენციას ვხედავთ; გრანდიოზულ აია სოფიას, რომელიც, შეიძლება ითქვას, მთელი წარმართული და ადრექრისტიანული ბერძნულ-რომაული კულტურის იმპერიული ამბიციების გამოხატულებაა, თანდათან X-XI საუკუნეთა მცირე ზომის კამერალური ეკლესიები მოჰყვება

(სასახლეთა კარის ან მონასტერთა, ინტიმური სივრცეებით). მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს დაფინის ან ჰოზიოს ლუკა-სის ინტერიერთა არსობრივ დაკინებას, უბრალოდ, საქმე გვაქვს ზოგადქრისტიანული მოძღვრების სრულიად განსხვავებული შემოქმედებით ინტერპრეტაციასთან. ცენტრალური გუმბათქვეშა სივრცის შეკუმშვა კომპენსირებულია თავისებური ცენტრიდანული გავრცობით, როდესაც ადამიანის თვალი საკურთხევლისწინა სივრციდან პარალელურად „შემოვლებული“ სივრცეების გზით გადის მეტაფიზიკური ნათლის დაუსრულებლობაში. ანუ ქართულ და ბერძნულ ტაძრებს დიამეტრალურად განსხვავებული აღქმა აქვს ცენტრისა და მისი მხატვრულ-კომპოზიციური ფუნქციისა.

თვალნათელია, რომ ლიტურგიულ-მსოფლმხედველობითი ერთიანობის საფუძველზე, არსებითად, ქართული და ბიზანტიური ტაძრები ავლენს დიდ თვითმყოფადობას, რომელიც ხშირად რადიკალურად განსხვავებული თვისობრიობით მუდავნდება. ამგვარი გამოკვეთა იძლევა ახალ შესაძლებლობას, ვაჩვენოთ, თუ რას წარმოადგენს აფხაზეთის საეკლესიო არქიტექტურა არსებითად.

უპირველეს ყოვლისა, სამშენებლო ტექნიკა: ბიზანტიურისა-გან რადიკალურად დაპირისპირებულია აფხაზეთის ეკლესიების ინტერიერისა და ექსტერიერის შემოსვის ჰომოგენურობა, როდესაც ხუროთმოძღვარი ერთგვაროვანი ქვიშაქვით აპირკეთებს ფასადსაც და ინტერიერსაც, რაც ქართული არქიტექტურის ძირეული თვისება (ბოლნისი-ჯვარი-წრომიდან აღავერდის ჩათვლით) და „გეორგიანულობის“ მტკიცე დაცვის გამოხატულებაა. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ტაძართა მოურთველობაც. არსებითად, ბზიფის გარდა არც ერთი ტაძარი დეკორირებული არ არის. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს ბიზანტიური ფასადების მოურთველობით უნდა იყოს სტიმულირებული, არსებითად კი იგი კიდევ უფრო მეტად მონტიპას კედლის ერთიანობისადმი ურყევ ერთგულებას, კედლის, როგორც ძირითადი ღირებულების განსაკუთრებულ ხაზგასმას. ამავე კონტექსტშია მოსააზრებელი ანაკოფის, ლიბნესა და მოქვის ტაძართა აფსიდების მკაფიო ნალისებურობაც, რომელიც ახასიათებს ქართულ არქიტექტურას X

საუკუნის ჩათვლით. საქმე ის არის, რომ ნალისებური აფსიდები და თაღები სემანტიკურად გადმოსცემს სივრცის გავრცობას, „მატებას“, რაც ქრისტიანული მსოფლმხედველობით სასუფევლის სივრცის მინიშნება და ხსნისა და ქრისტესმიერი მაცხოვარების ხატია. ქართული ხუროთმოძღვრებისთვის იმდენად ღირებულია კედლის დაუნაწევრებლობა, რომ იგი კედელს უცვლის მიმართულებას, რათა „გამოძერნოს“ გაფართოებული სივრცე. ბიზანტიელი ოსტატი კი მაცხოვარებისა და ხსნილების სახე-სიმბოლოს სრულად განსხვავებული მხატვრულ-კონსტრუქციული ხერხით აგებს: იგი ჭრის დამატებით მომრგვალებულ ექსედრებს, სადაც თხელ, მრგვალ სვეტებზე გადასროლილი თაღნარის საშუალებით თვალი უმსუბუქესად გადადის დამატებით ხალვათ სივრცეში და უერთდება მეტაფიზიკური ნათლის სიმბოლოს (ანუ თუ ქართველი „მიწის“ ნალისებური ძერნვით იღებს სასუფევლის ხატს, ბერძენი კი მაქსიმალურად დაცხაურებულ კედელში ჰაერითა და სინათლით აგებს თავისი მსოფლალქმის ესთეტიკას. კედლისადმი მტკიცე ერთგულება განსაკუთრებით მკაფიოდაა თავჩენილი ისეთი უმნიშვნელოვანეს სივრცით მონაკვეთებში, როგორიცაა საკურთხეველი – სიმბოლო სასუფევლისა. ბიზანტიელი ოსტატი საკურთხეველში ჭრის სარკმელთა ორ, სამ რეგისტრს, რათა უხვად შემოუშვას სინათლე – არსებითად, საკურთხეველი იქ დაცხაურებულია, მაშინ, როდესაც ქართული არქიტექტურა არ იცნობს ამგვარი გადაწყვეტის არც ერთ შემთხვევას. აქ ოსტატები ჭრიან ერთ ან სამ სარკმელს აფრიდის ქვედა ნაწილში იმ მიზნით, რომ იქიდან შემოსული სინათლე გადაიკვეთოს ტრაპეზზე. აფრიდის დანარჩენ კედელი კი ერთიანი და დაუნაწევრებელია. ამის განსაკუთრებულ მაგალითად მოგვყავს ვაჩინაძიანთ ყველანმინდის საკურთხეველი, რომლის ზეაზიდული, ნალისებრი სივრცე ნათდება მხოლოდ ქვედა სამი სარკმლით: დარჩენილი ბრწყინვალედ ნაძერწი კედელი მთლიანია. მხოლოდ გუმბათის ყელში გაფრილი ოთხი სარკმელი – დაძაბულობის ოთხი წერტილი – საკვირველად აძლიერებს სწორედ ერთიანი კედლით შემოზღუდული სივრცის იდუმალებას. ანალოგიურად აფხაზეთის არც ერთი ტაძარი არ ანაწევრებს საკურთხევლებს, უბრალოდ, ოდნავ მაღლა ასწევს სარკმლებს და ამით აძლიერებს ზოგადად

განათების წილს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბიჭვინთის გუმბათური ტაძრის საკურთხეველი.

ბიჭვინთის ტაძარი სხვამხრივაც ამჟღავნებს ქართული არქიტექტურის ძირეულ თვისებებს. ეს არის სამშენებლო ტექნიკის ე.წ. „ოპუს მიქსტუმის“ გამოყენების გვარობა. ამ წყობას ზოგადად სიამოვნებით იყენებს ბიზანტიური ტაძარი, როგორც თავისთავად აგებისათვის გარკვეულად ხელსაყრელ მასალათა შერევის საშუალებას, მაგრამ, ამასთანავე ბერძენი ოსტატი ქვისა და აგურის რიგებს შორის წმინდა დეკორატიული მიზნით სიხარულით რთავს აგურის დამატებით ორნამენტულ ჰორიზონტალებს, რომელიც თავისებური „ალუზია“ ზღვისა და ცის გამმიჯვნელი (თუ შემაერთებელი) ჰორიზონტისა. ამგვარი გადაწყვეტის ერთ-ერთი კლასიკური ნიმუში ჰოზიოს ლუკასის ფასადებია.

ბიჭვინთელი ოსტატი კი, იყენებს რა „ოპუს მიქსტუმს“, გარდაქმნის მას წმინდა ტექნიკურ სამშენებლო ხერხად, სადაც აგურის ფუნქციაა, დაიცვას ქვის წყობის „უსწორმასწორობას-თან“ ერთად თარაზულობა როგორც კონსტრუქციული სიმყარის პირობა. და ეს რომ უპირატესად ასეა, ჩანს იქიდან, რომ არც ერთხელ მას არ „წაუცდა“ ხელი, რათა აგურის წყობა გამოერჩია ერთიანი კედლიდან როგორც ჰორიზონტალების ხაზგასმა და დეკორირების საშუალება. ბიჭვინთელი ხუროთმოძღვარი თავისებურ სტოკურ სიმტკიცესაც კი იძენს, რაც კიდევ უფრო ღირებულია როგორც ეროვნული ესთეტიკის განუხრელი დაცვის გამოვლენა.

აფხაზეთის არქიტექტურის განსაკუთრებული მაგალითია მოქვის ტაძარი, რომელიც 957-67 წლებში მეფე ლეონმა „ალაშენა... და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“ (2. გვ. 270). ეს კათედრალი ბიზანტიის იმპერიისაგან როგორც პოლიტიკური, ასევე სულიერი (ეკლესიური) დამოუკიდებლობის საზეიმო ძეგლია. უპირველეს ყოვლისა, იგი თავისი მასშტაბურობით იქცევს ყურადღებას. ხაზგასასმელია, რომ აგების მხრივ წინ უსწრებს ოშეის კათედრალი (963-73 წ.წ.), ისე, რომ, იგი შეიძლება ჩაითვალოს კიდეც ქართული კათედრალების სათავედაც (იქნებ, ნაცვლად „ოშეი-ალავერდისა“ დამკვიდრდეს „მოქვი-ალავერდის“ განსაზღვრებაც?!).

გვინდა, განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი მოქვის გეგმის თავისებურებას. როგორც ბ-ნი ვახტანგ ბერიძე წერს, „ბიზანტიური ევოლუციის ერთადერთ ანალოგიას საქართველოს მინა-წყალბენიანი ნარმოადგენს მოქვის ტაძარი, სადაც ისევე, როგორც ბიზანტიურ ქვეყნებში, განივი მკლავები ვერ აღწევს შენობის გარე კედლებამდე. აქაც მას „გზას უღლობავს“ პატრონიკეები, რომლებიც სამხრეთით და დასავლეთით მთელ სიგრძეს მიჰყვება (7. გვ. 179). ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნარმოჩნდება ცენტრალური, გუმბათქვეშა სივრცის გარშემო არსებული მეორე, პარალელური სივრცე (მსგავსად ბიზანტიურისა). ამ თავისებურებებზე იმთავითვე გაამახვილა ყურადღება ლ. რჩეულიშვილმა და აღნიშნა, რომ მოქვის კათედრალი არსებითად ნარმოადგენს აფხაზეთში „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის ძეგლების (ბიზიფი, ანაკოფია, ლიხნე) სივრცითი ძიებების ლოგიკურ დაგვირგვინებას, ხოლო რაც შეეხება „პარალელურ სივრცეს“, იგი დიდ მსგავსებას იჩენს კახეთის ხუროთმოძღვრული სკოლის ისეთ თვითმყოფად შედევრთან, როგორიცაა გურჯაანის ყოვლადწმინდა, სადაც გვერდით ნავები დასავლეთი განივი გასასავლელით უკავშირდება ერთმანეთს, მაგრამ სწორედ ამ თავისებურებაში, ვ. ბერიძის განსაზღვრებით, „კვლავ მეორდება ჩვენთვის უკვე ადრიდანვე – ძველი შუამთის ბაზილიკიდან – ცნობილი კომპოზიციური ხერხი, როცა შიდა ნავის გარშემო გარშემოსავლელი იქნება“ (7. გვ. 154. ტ. I.). ამით კი ჩანს ბუნებრივი შესაძლებლობა, ეს კომპოზიცია აქვე დაბადებულიყო.

კიდევ უფრო საგულისხმოა მოქვის ტაძრის დ. თუმანიშვილის სეული ხედვა. მისი აზრით, განივ მკლავებში ერთიანი სამმაგი ღიობი კი არ არის, არამედ „სამი განცალკევებული კარი“ (6. გვ. 235). ბიზანტიურ ტაძრებში ე.წ. „ტრიბელიონებით“ (სამთაღედით) მთავარი სივრცე გვერდითებისკენ „გადაიხსნება“, უკანასკნელი კი ვიზუალურად „შემოდის“ მასში (6. გვ. 235). და ბოლოს, მოქვში „თაღოვან ხვრელებს შორის მორჩინილი შუაკედლისებრი საკმარისია, რათა თვალმა უფრო კედელი აღიქვას, ვითარცა სივრცეთა გამმიჯნავი, ვიდრე ღიობები, როგორც მათი დამაკავშირებლები“. და იქვე ასკვნის: „იქნებ, მოქვი სხვა ქართულ ტაძრებთან მიმართებით უფრო „მოლიავებულიც იყოს, ის კია

ნამდვილად ბიზანტიურთან შედარებით იგი ჩაკეტილი რომაა“ (6. გვ. 235).

ამრიგად, ქართული სამეცნიერო სკოლის მიხედვით, მოქვის ტაძრის გარშემოსავლელის ტიპოლოგიური პროტოტიპი შეიძლება საქართველოშიც ვიპოვოთ. მასში ისევ ურყევია კედლის ქართული ესთეტიკა ეს კიდევ უფრო მყაფიოდ გამოჩენდება, თუ შევადარებთ გურჯაანი – ვაჩნაძიანის ეკლესიებისა და თესალონიკის აია სოფიას სივრცით წყობას. გურჯაანსა და ვაჩნაძიანში მეორე სართულის გარშემოსავლელი არსებითად, ორ კედელს შორის „ჩადგმული“ სივრცეა, რომელსაც თან სდევს უწყვეტი შეგრძნება კედლისა, თესალონიკში კი ცენტრალური გუმბათქეუშა სივრცე უერთდება, ივრცობა ტრიბელიონების სუსტი სვეტების მიღმა არსებულ სინათლესა და ჰაერში. მოქვის ერთი შეხედვით თითქოს შუალედურია ძირეულ ქართულსა და ბიზანტიურს შორის, მაგრამ გადამწყვეტი აქ ის არის, რომ ბიზანტიური „ცენტრიდანულობის“ ნაცვლად ქართული „ცენტრისირგვლივი“ ჭარბობს. ფართო სარკმლებიდან შემოსული სინათლე კი თითქოს „შემოიწვია“ ოსტატმა ინტერიერში როგორც „ზემისა“ და „სანახაობის“ (ლ. რჩეულიშვილი) დამსწრე.

ამდენად, აფხაზეთის არქიტექტურა გვიჩვენებს უდავო ქართულობას. იგი მართლაც რომ ზოგადქართული ხუროთმოძღვრული ერთ-ერთი სკოლაა. მისი სპეციფიკური ნიშნები კი ბიზანტიური არქიტექტურის მხატვრული თავისებურებების ქართული, ეროვნული გადააზრებაა. ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოებების გამო აქ მძლავრობდა ბიზანტიის იმპერია, მით უფრო საგულისხმოა, რომ ბერძნულ ესთეტიკას მტკიცედ დახვდა ძირეულად ქართული მრავალშეგრძნება და გემოვნება, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო მყარად, ზოგჯერ – სტოკურადაც კი.

აფხაზეთის არქიტექტურაზე ბიზანტიური ხელოვნების გავლენა უდაოდ ზღვისპირა მდებარეობამაც განაპირობა, მაგრამ სწორედ ზღვას და მის თანმდევ ესთეტიკას, რომელიც არსებითად აყალიბებს ბერძნული ხუროთმოძღვრების მხატვრულ რაობას ჯერ კიდევ წარმართობიდან, ქართველმა მიწის კულტურისადმი ერთგულება დაუპირისპირა. იგი დარჩა ზღვის „მაყურებლად“, მაგრამ არა – „მონანილედ“, ამაში გამოვლინდა ორი

ერის უფლისმიერ ბოძებული თვითმყოფადობა.

დასასრულს, ვფიქრობთ, ზოგად ქართული და აფხაზური ურთიერთმიმართებების მკაფიოდ წარმოსადგენად საგულისხმოა „ქართლის ცხოვრების“ ერთი ეპიზოდი.

მურვან ყრუმ ალყა შემოარტყა ანაკოფიის ციხეს, სადაც იმ-ჟამად იმყოფებოდნენ სტეფანოზის ძეები – მირი და არჩილი. ციხეში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატისად-მი ვედრების წყალობით ადიდებულმა მდინარეებმა დაასუსტა მურვან ყრუს ლაშქარი. მირმა და არჩილმა უკუაგდეს მტერი.

ამის შემდეგ „წარავლინეს მოციქული წინაშე ბერძენთა მე-ფის მირ და არჩილ და ლეონ, ერისთავმან აფხაზეთისამან და აუწყეს ესე ყოველი, რაცა იქნა ღმრთისა მიერ ხელთა მათითა“.

(2. გვ. 239).

ბიზანტიის იმპერატორმა კი მირსა და არჩილს გამოუგზა-ვნა ორი გვირგვინი და გუჯარი, სადაც მოსწერა: „თქვენი იყოს მეფება, სიმხნე და სიბრძნე ქართლსა შინა“. (2. გვ. 239), ხოლო ლეონს მისწერა, ქართველმა მეფეებმა ქრისტიანობა როგორ მი-იღეს საბერძნეთიდან, ვახტანგ გორგასალმა საბერძნეთსა და სპარსეთს შორის დაამყარა მშვიდობა და ბოლოს, ქართველებს რომ არ დაესუსტებინათ მურვან ყრუ, იგი კონსტანტინოპოლსაც აიღებდა, „შვილთა შორის ნებროთისთა წარჩინებულ ყვნა ღმერ-თმან ეგენი, რამეთუ არა მოაკლდეს ნათესავსა მაგათსა ბრძენი გულისხმისმყოფელი და მებრძოლი“ (2. გვ. 240), „ხოლო შენდა მიბრძანების ერისთაობა აფხაზეთისა შენ და შვილთა შენთა და მომავალთა შენთა უკუნისამდე. არამედ კეთილად პატივს სცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა. და ამიერითგან ნულარამცა ხელგენიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდა, ანუ განვიდენ მანდით“ (2. გვ. 240).

ამ წყაროს მიხედვით ბიზანტიის იმპერატორმა აღიარა მირი და არჩილი, ხოლო აფხაზეთის საერისთავო, არსებითად გაანთა-ვისუფლა თავისი ვასალიტეტისაგან და მის ერისმთავრად „მიუ-კუნისამდე“ დაადგინა ლეონი და უბრძანა მას მშვიდობიანი ურთ-იერთობა მირსა და არჩილთან.


ანდერძის თანახმად, არჩილმა მირის გარდაცვალების შემ-

დეგ მისი ასულები გაათხოვა საქართველოს ერისთავებზე, ხოლო ლეონს მოუწოდა და რქუა: „კურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ, რამეთუ კეთილად იღვანე სტუმრობა ჩვენი, და დამიცვენ ჩვენ ადგილთა შენთა მშვიდობით... ან ითხოვე თავისა შენისათვს, რა გნებავს ჩემგან, ნაცვლად კეთილისა მსახურებისა შენისა“ (2. გვ. 242). გადამწყვეტია ლეონის პასუხი: „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკვდრობით კეთილად სიმხნითა თქუენითა. ხოლო ამიერითგან არს ესე მამულობით სამკვიდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად, სადა გადასწყდების წვერი კავკასიისა ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელიც ესე დღეს ლირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა, ესე შენდავე იყოს“ (2. გვ. 242). „მაშინ მისცა ლეონს ძმისწული მისი გურანდუხტ და გვირგვინი იგი, რომელი ბერძენთა მეფეესა წარმოეცა მირისათვს. და ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი“ (2. გვ. 241).


ამ უმნიშვნელოვანების წყაროს მიხედვით, არაბობის დროს კეისარმა ლირსებით სცნო საქართველო, აფხაზეთი კი გაანთავისუფლა „მიუკუნისამდე“. მაგრამ ლეონმა მაშინვე აღიარა თავი „მონათა თანა“, ანუ მიიღო ვასალიტეტი, სამაგიეროდ კი, – არჩილმა უბოძა უპირატესი გვირგვინი მირისა და მისი ასული გურანდუხტი. ამით ნათელია, რომ იმთავითვე სულიერად ერთიანი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, უკვე არაბობის დროიდანვე ისახება აფხაზეთი ბიზანტიისაგან თავის დაღწევისთანავე ბუნებრივად მყისიერად უერთდება დანარჩენ საქართველოს აღთქმითა და „საშინელი“ ფიცით. ვფიქრობთ, რომ სწორედ მირის გვირგვინის მფლობელობა უნდა განაპირობებდეს შემდგომში უკვე ბაგრატ მესამის ტიტულატურის დაწყებას აფხაზეთით (ვიმეორებ, როგორც უპირატესი საერისთაოს ვასალთა შორის). აქ ეს არის მთავარი, ხოლო ლეონ I-ის გვარ-ტომობა კი ცალკე საკითხია, რომელსაც ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამ ფონზე სრულიად გასაგები ხდება, თუ რატომ ყალიბდება აფხაზეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონული სკოლა ერთიანი საქართველოსი.

ბიბლიოგრაფია


1. წმ. იოანე დამასკელი. მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინევნითი გადმოცემა. ობილისის სასულიერო აკადემია. მართლმადიდებელ მამათა შრომები. I. ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა) გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ. ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ე. ჭელიძემ. თბ., 2000.
2. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ეველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. სახელმწიფო, თბ., 1955.
3. Рчеулишвили Л. Д. Некоторые аспекты грузинской архитектуры черноморского побережья.//Средневековое искусство. Русь. Грузия. М. 1978 г. 21-28 стр.
4. Рчеулишвили Л. Д. Купольная архитектура VIII-X вв. в Абхазии. Тб. «Мецниереба». 1988 г.
5. თუმანიშვილი დ. ქრისტიანული ხელოვნება აფხაზეთში. „გზაჯვარედინზე“. წერილები, ნარკვევები. თბ., 2008. გვ. 174-202.
6. თუმანიშვილი დ. კვლავ მოქვის ტაძრის ხუროთმოძღვრების შესახებ/ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. შრომები IV. „მერიდიანი“, თბ., 2012 წ. გვ. 227-239.
7. ბერიძე ვ. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია. 2 ტომად. თბ., 2014 ნ. I ტომი. ძირითადი ტექსტი.
8. ლორთქიფანიძე მ. აფხაზები და აფხაზეთი. მეორე შევსებული გამოცემა. თბ., 2012 წ.
9. III საერთაშორისო კონფერენცია „ტაო კლარჯეთი“. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მოხსენებათა ოეზისები. თბ., 2014 წ. დენის ბელებსკი, ანდრეი ვინოგრადოვი, დენის იოლშენი. კალატოზთა ჯგუფები X საუკუნის მიწურულს საქართველოში. გვ. 114.




მიუსერა





აბაანთა




ბზიფი




მოქვი



ალავერდი



აია სოფია



სან ვიტალე



Երոմի



առ Տօղոս



მცხეთის ჯვარი





გოდვი



ლიხანი



სოზიოს ლუკასი



ვაჩნაძიანის
ყველაწმინდა



გურჯაანის ყველაწმინდა



მოქვი



თესალონიკის აია სოფია



ბიჭვინთა



ხოზიოს ლუკასი

თამარ ხუნდაძე, თამარ დადიანი
გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული
ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის
ეროვნული კვლევითი ცენტრი

შუა საუკუნეების რელიეფური ქანდაკება აფხაზეთში¹⁰

საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი შუა საუკუნეების ქვის რელიეფურ სკულპტურას უჭირავს. ისევე, როგორც საქართველოს მრავალ რეგიონში, ქვაზე კვეთილი რელიეფები შემორჩენილია ამჟამად რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზეც. ბუნებრივია, ოკუპაციის პირობებში ჩვენთვის რთულია იმ მასალის სრულყოფილი შესწავლა, რაც აფხაზეთის მიწამ შემოგვინახა. თუმცა, ფოტოებისა და მუზეუმებში დაცული ნუმუშების საშუალებით გარკვეულწილად შესაძლებელია ამ რეგიონის ხუროთმოძღვრული სკულპტურის საერთო სურათის წარმოდგენა და მისი ზოგადქართული ქვის პლასტიკის განვითარების კონტექსტში განხილვა.

რუსი და აფხაზი კოლეგების ნაშრომებში აშკარად იკვეთება აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული შუა საუკუნეების ძეგლების, მათ შორის რელიეფური სკულპტურის, საერთო ქართული ხელოვნებისგან გამიჯვნისა და მისი ბიზანტიასთან უშუალო დაკავშირების ან, როგორც მხოლოდ ლოკალური აფხაზური მოვლენის წარმოჩენის ტენდენცია.¹¹ ამ მოსაზრებების საწინააღმდე-

10 სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის („შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება“) ფარგლებში.

11 Л. Г. Хрушкова, Скульптура средневековой Абхазии V-X вв., Тб., 1980; Л. Г. Хрушкова, Раннехристианские памятники восточного Причерноморья (IV-VIII вв.), М., 2002; L. Khroushkova, Les monuments chrétiens de la côte orientale de la mer Noire. Abkhazie IVe-XVe siècles, Bibliothèque de l'antiquité Tardive 9, Brepols Publishers, 2006.; L. Khroushkova, Les monuments paléochrétiens de L'Abkhazie: entre L'Orient et L'Occident, Acta XIV Congressus Archeologiae Cristianae. Vindobonae, 19-26. 9. 1999. Città del Vaticano-Wien, 2006, v. 62, gv. 475-482; L. Khroushkova, Les dalles

გოდ აფხაზეთის რეგიონის ძეგლებზე შემორჩენილი ქართული წარწერებისა და ამ ნიმუშების მხატვრული მახასიათებლების ზოგადქართულ სტილურ მიმართულებებთან მჭიდრო კავშირის გარდა, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ბიზანტიის ხუროთმოძღვრებისთვის, ქართულისგან განსხვავებით, არ არის დამახასიათებელი ქვის რელიეფური ქანდაკების, მეტადრე სიუჟეტური კომპოზიციების ფართო გამოყენება.¹² აფხაზეთში კი, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ეკლესიათა კედლების, კარ-სარკმელთა, კაპიტელებისა თუ კანკელების შემამკობელი ფიგურული და სიუჟეტური რელიეფები უხვადაა შემორჩენილი. სამწუხაროდ, მათი უმეტესობა ჩვენამდე ფრაგმენტულადაა მოღწეული, ხშირად უცნობია რელიეფთა თავდაპირველი ადგილმდებარეობაც. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული მასალა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შუა საუკუნეების საქართველოს ამ რეგიონის ქვის ძებნდაკებლობის ძირითად თემატურ და სტილურ მახასიათებლებზე.

აფხაზეთში შემონახული ქვის ქანდაკების უძველესი ნიმუშები ადრეული შუა საუკუნეებით თარიღდება. მაგალითად, სოხუმის მუზეუმში დაცული ხარის თავი დრანდიდან (სურ. 1)¹³ და ლომის მარმარილოს თავი ლიხნედან.¹⁴ ხარის თავის უადრესი რელიეფური გამოსახულებები საქართველოში ბოლნისის სიონის სანათლავის კაპიტელსა (Vს.) და სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ ფასადზე (VIს.) გვხვდება. სავარაუდოდ, დრანდის ეს ჰორელიეფ-

de Chancel de Tsebelda en Abkhazie. La Sculpture Byzantine. VIIe-XIIe siècles. Actes du colloque international d'Athènes, 6-8 septembre 2000, École française d' Athènes Athènes, v. 49, gv. 577-587; Р. М. Барциц, Абхазский религиозный синкретизм в культовых комплексах и современной обрядовой практике, Монография, М., 2009, გვ. 46-67.

12 ნდრე ჩრაბარ, შცულპტურეს ყზანტინეს დე ჩონსტანტინოპლე (IV-X ს.), ჯარის, 1963; Н.Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, М. 1977, გვ. 238, 259-260 (სქოლიო-24).

N. Iamanidzé, Les Installations Liturgiques Sculptées des Églises de Géorgie (VI^e-XIII^e siècles), Bibliothéque De L'antiquité tardive _ 15, Turnhout, 2010, gv. 111-114 (aqve ix. Lliteratura am Temaze)

13 ფოტო მოგვაწოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ.

14 Л. Г. Хрушкова, Скульптура средневековой Абхазии..., გვ. 39-40, ტაბ. XXIV(1,2).

ური გამოსახულებაც ამავე ხანას უნდა განეკუთვნებოდეს და ისიც საეკლესიო ხუროთმოძღვრებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

რაც შეეხება ლიხნეს ლომს, ის მსგავსებას პოულობს თბილისში აღმოჩენილ გლადიატორისა და ლომის ბრინჯაოს ქანდაკებასთან (იბერიის სამეფოს დროინდელი სამარხი, I ს.)¹⁵ და ანტიკური ხელოვნების გავლენით არის შექმნილი. ფაფრის დამუშავების მხრივ ლიხნეს ერთგვარი პარალელი მოიძებნება VI საუკუნის სტელაზე დმანისის რაიონის სოფ. განთიადიდან.¹⁶

ადრეულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება რელიეფური ფილა მრამბიდან, რომელიც საფასადო მორთულობის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს.¹⁷ ჭუილაზე ტოლმკლავა ჯვრის ორსავ მხარეს ამოკვეთილია ვაზი მტევნებით, რომლებსაც ჩიტები კენკავენ და ორი მბრუნავი დისკო. იკონოგრაფიულად კომპოზიცია საკმაოდ არქაულია – მისი პირდაპირი პარალელია ბოლნისის რაიონის სოფ. აკვანების VI საუკუნის ეკლესის რელიეფური კომპოზიცია. ალსანიშნავია მრამბის ჯვრის მკლავებში ჩახაზული პალმეტებიც, რომლებიც VII საუკუნის ჟალეთის ემბაზის ჯვრის მკლავებს შორის ამოკვეთილ ვარდულებს მოგვაგონებს. საინტერესოა კომპოზიციის კიდეებში მოცემული ბორჯდალოები – სოლარული ნიშნები, რომელთა ერთგვარი პარალელი ბრდაძორის დიდი ქვასვეტის ბაზისზე გვხვდება (VI-VII ს.ს.). ამ მსგავსებათა საფუძველზე მრამბას ფილის შესრულების პერიოდიც VI-VII საუკუნეთა მიჯნით შეიძლება განისაზღვროს.

კიდევ ერთი ფილა მრამბიდან აუზის ორსავ მხარეს განთავსებულ ფარშევანგების წყვილს წარმოგვიდგენს.¹⁸ ადრექრისტიანულ ხელოვნებაში საქმაოდ გავრცელებულ სცენებს ფარშევანგებით ვხედავთ ბოლნისის სიონის კაპიტელზე (VII ს.), საკირეს “წითელ საყდარში” (VII ს.) და სხვ. თუმცა, ზემოხსენებული ძეგლებისაგან განსხვავებით, მრამბის სცენა შესრულების ერთ-

15 გ. ქავთარაძე, წარმართული იბერიის ლვთაებათა არსისათვის, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრიბული, XIII, თბ., 2009, სურ. 1 (წწწ. საუნჯე-გე).

16 კ. მაჩაბელი, დმანისის ახლადაღმოჩენილი ქვაჯვარი, საქართველოს სიძველენი, 10, თბ., 2007, გვ. 7-46, სურ. 6.

17 ლ. გ. ხრუშკოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 32-33, ტაბ. XIX (1).

18 იქვე, გვ. 34-35, ტაბ. XX(1).

გვარი სიტლანქით გამოირჩევა: რელიეფის ფონისკენ მკვეთრად ჩაჭრილი კიდეები, კუთხოვანი კონტური, დამუშავების მოუხეშავი ხასიათი და ხისტი ირიბი კვეთა, ასევე კომპოზიციის ასიმეტრიული წყობა IX საუკუნის ძეგლებთან პოვებს პარალელებს, მაგალითად, უბისის ეკლესიის რელიეფი და სხვ.

ქვის ქანდაკების საინტერესო ნიმუშს ნარმოადგენს რელიეფი დრანდიდან აღსაყდრებული მაცხოვრისა და მისკენ მიმართული ორი ანგელოზის გამოსახულებით.¹⁹ ეს ფილა დაკარგულია და მხოლოდ პ. უვაროვას ფოტოთია ცნობილი.²⁰ როგორც ფოტოზე ჩანს, ძეგლი მაშინაც დაზიანებული იყო. სავარაუდოდ, ქრისტეს მეორე მხარესაც ანგელოზთა წყვილი იქნებოდა გამოქანდაკებული. იკონოგრაფიულად დრანდის რელიეფური კომპოზიცია ილორის X საუკუნის ვერცხლის ბარძიმს მოგვაგონებს.²¹ მხატვრული შესრულების მხრივაც, დრანდის რელიეფი X საუკუნის სტილის ნიშნებს ამჟღავნებს – ფიგურათა ბლოკური მოცულობები, დამჯდარი პროპორციები, ცალმხრივი ირიბი კვეთით შესრულებული ნაკეცები, ანგელოზთა ფრთების დამუშავება დოლისყანის (Xს.), კუმურდოს (XIს.) და სხვა გამოსახულებებს უახლოვდება.

დრანდიდან არის რელიეფური ქანდაკების კიდევ ერთი საინტერესო ნიმუში, წნ. იონას სასწაულებრივი ხსნის გამოსახულებით (სურ. 2-3). ჭფოტოს მიხედვით, მრგვალი ფორმის ქვაზე (შესაძლოა კაპიტელზე), იონას ისტორიის ორი საკვანძო მომენტი – განსაცდელი, ვეშაპის მიერ წინასწარმეტყველის ჩანთქმა და მისი ხსნაა გამოსახული. ადრექრისტიანულ და შუა საუკუნეების ხელოვნებაში პოპულარული ძველი აღთქმის ეს სიუჟეტი, რომელიც მაცხოვრის ვნებისა და აღდგომის წინახატს და სულის ხსნის სიმბოლოს ნარმოადგენს, ხშირად გვხვდება X-XI საუკუნეების ქართულ რელიეფურ სკულპტურაში, მაგალითად, ერუდვის, კვაისის ჯვარის, საღამოს, ჯონისუბნის, ხახულის, გომარეთისა და სხვა რელიეფები. აღსანიშნავია, რომ ადრექრისტიანული პერიოდიდან საყოველთაოდ დაკანონებული ნარატიული ხასიათით, რამდენიმე სცენით იონას ისტორიის გადმოცემის ნაცვლად, ქა-

19 იქვე, გვ. 38-39, ტაბ. XXII(4).

20 MAK (Материалы по археологии Кавказа), вып. IV, 1894, გვ. 30, ტაბ. XII.

21 აფხაზეთი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, თბ., 2007, გვ. 61.

რთველმა ოსტატებმა მაქსიმალურად ლაკონიური გახადეს ეს თემა და მაცხოვრის ვნებებისა და აღდგომის მოკლე სიმბოლოდ აქციეს იგი. ადგილობრივ ნიადაგზე შემოქმედებითად შემუშავებული შემოკლებული იკონოგრაფიული ვერსიითაა წარმოდგენილი იონას ისტორიადრანდის რელიეფზეც. სტილური შესრულებით – ბლოკური, განზოგადებული ფორმებით, დამჯდარი პროპორციებით, ზედაპირის ცერად და ორმხრი ჩაკვეთით დამუშავებით დრანდის რელიეფი X საუკუნის II ნახევრის ქართული ქვის პლასტიკის ნიმუშებთან იჩენს მსგავსებას.

მნიშვნელოვანია ანაკოპიის, ახალი ათონის მონასტრის წმ. თევდორე ტირონის ეკლესიაში ჩაშენებული რელიეფები²² (სურ. 4). ქველი, ამჟამად უცნობი ეკლესის რელიეფურ-ორნამენტური დეტალები XIX საუკუნის ბოლოს მონასტრის ბერებმა შეკრიბეს და ციხის ეკლესის საკურთხეველში ჩააშენეს. აფსიდის ფრონტონიანი კედელი რამდენიმე ათეული სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ქვისგანაა შედგენილი, მათგან ორი ფილა ფიგურული რელიეფებითაა დაფარული (სურ. 5-6). ფილებს IX-X საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი სარკმლის თავსართის ფორმა აქვს, რაც გვაფიქრებინებს, რომ რელიეფთა შექმნაც ამ პერიოდით უნდა განისაზღვროს. ამგვარ დათარიღებას პარალელური მასალაც მოწმობს. პირველ ფილაზე (სურ. 5) გამოსახულია ლომი ორ მბრუნავ დისკოსა ანუ სოლარულ ნიშანთა შორის. მზის სიმბოლიკასთან დაკავშირებულ ლომს ქრისტიანობაში ასევე აპოტროპეული ფუნქციები ჰქონდა მინიჭებული. სარკმლის თავსართზე გამოსახული ლომის ფიგურას ვხედავთ, მაგალითად, პარხლის ბაზილიკაში (X ს.). ანაკოპიის მეორე ფილაზე ამოკვეთილია თევზი კვიპაროსებით ორსავ მხარეს (სურ. 6). ამ ადრექტრისტიანული იკონოგრაფიული სქემის ვარიაციები ჯვრით თევზის მაგივრად და კვიპაროსებით გვხვდება VI საუკუნის სტელაზე ბოლნისიდან (VI ს.; საქართველოს ეროვნული მუზეუმი), თელოვანის ჯვარპატიოსნის ეკლესის

22 ლ. ხრუშკოვა რელიეფებს VI-VII სს-ით ათარიღებს, ე. ენდოლცევა კი X ს-ით – Л. Г. Хрушкова, დასახ. ნაშრ., გვ. 26-31, ტაბ. XVII(1,2), XVIII(1); Е. Ю. Ендольцева, Рельефы Анакопии и архитектурная пластика Абхазского царства: к постановке проблемы. Византийский временник, 68, 2009, гვ. 225-242; ფოტოების მოწმდებისთვის მადლობას ვუძიოთ ბ-ნ დ. ბელეცკის.

დასავლეთ კარის ზღუდარზე (VIII ს.) და სხვ. აღარ შემორჩა ანა-კოპიის მესამე ფილა, რომელიც მხოლოდ გრაფიკული ნახაზითაა ცნობილი. ჯვრის ორსავ მხარეს, მისგან “ამოზრდილი” ლომისა და ხარის თავებია მოცემული. ჭფილის ზედაპირი დაფარულია, მოგვიანებით XI ს-ში შესრულებული ბერძნული წარწერით.²³ ხარისა და ლომის წყვილადი ფიგურები, როგორც მაცხოვრის მსხვერპლისა და მეუფების სიმბოლური გამოხატულება საკმაოდ გავრცელებული იყო შუა საუკუნეების ქართულ ქვის რელიეფებზე, განსაკუთრებით X საუკუნეში – მაგალითად, ვალეს (Xს.), ოშკის (X ს.), ბზის წმ. გიორგის (X ს.), ქასაგინას (XIს.) რელიეფები. სტილისტურადაც სიბრტყობრივ-გრაფიკულ მანერაში შესრულებული ანაკოპიის რელიეფიები X საუკუნის ძეგლებს უახლოვდება.

ანაკოპიის რელიეფებს სტილისტურად და თემატურად უკავშირდება ფილა სოხუმის მთიდან, რომელზეც ჯვრის ორსავ მხარეს ლომისა და ხარის ფიგურებია ამოკვეთილი.²⁴ ლომს ცალი თათი ხარის რქას აქვს ჩაჭიდებული, რაც პირობითად ამ ორი ცხოველის შერკინებას უნდა გამოხატავდეს. ეს მოტივი ქართულ ქვის ქანდაკებაში გვხვდება ოშკში, ხახულში და სხვ. აქედან გამომდინარე, ეს რელიეფიც X საუკუნით შეიძლება დათარიღდეს.

აფხაზეთის საფასადო სკულპტურიდან აღსანიშნავია ლაშქენდარის (ტყვარჩელთან) ტაძრის დასავლეთი შესასვლელის ზღუდარზე (სურ. 7) გამოკვეთილი ლომები, რომლებიც ნინა თათებით გაურკვეველ საგანს ეხებიან.²⁵ (ამჟამად რელიეფი შეთეთრებულია). კომპოზიციური აგების ცენტრულ-სიმეტრიული წყობით, მკაფიოებით, ლაკონიურობითა და სისადავით, გამოსახულებათა განზოგადებული, დაუნაწევრებელი სილუეტე-

23 Л. Г. Хрущкова, დასახ. ნაშრ., გვ. 28; В. В. Латышев, К истории христианства на Кавказе. Греческие надписи из Ново-Афонского монастыря. Сборник археологических статей, поднесенных графу А. А. Бобринскому, Спб., 1911, გვ. 195.

24 ლ. ხრუშჩოვა ამ რელიეფსაც VI-VII სს-ით ათარიღებს – Л. Г. Хрущкова, დასახ. ნაშრ., გვ. 31, ტაბ. XVIII(2).

25 М.М. Трапშ, Материалы по археологии средневековой Абхазии, Т. 4. Сухуми: Алашара, 1975. გვ. 185; Р. М. Барцыц, Абхазский религиозный синкретизм..., გვ. 58.

ბით და გლუვი ზედაპირით ლაშქენდარის რელიეფი X საუკუნის ქართულ რელიეფებს, მაგალითად, ვალეს, ტაბაწყურის, გუმბათის და სხვ. უკავშირდება.

ასევე კარის ზლუდარს უნდა წარმოადგენდეს რელიეფური ფილა ფსკალის ტაძრიდან,²⁶ რომელზეც უხეში, მარტივი კვეთით გამოყვანილი ჩუქურთმა, ჯვარი და ადამიანის ფიგურა წარმოდგენილი. მხატვრული და შინაარსობრივი გადაწყვეტით ეს რელიეფი შეიძლება IX-X საუკუნეების ე. წ. “ხალხური” მიმართულების ნიმუშად მივიჩნიოთ, რომელიც ხეზე კვეთას მოგვაგონებს. ამგვარივე ხასიათისაა გალის რაიონის სოფ. თაგილონის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი ძალზე უხეშად ნაკვეთი მარტივი ფორმების ფიგურა და ორნამენტული სახეები.²⁷

საინტერესოა გალის რაიონის სოფ. დიხაზურგას რელიეფური ფილა (სურ. 8) ჯვრის წინაშე მავედრებელი მამაკაცის ფიგურითა და მხედრული წარწერით – “ქ გრიგოლს გალატოსთუხუცესს შეუნდოს ღმერთმან, ამენ”.²⁸ ამ წარწერას მოსე ჯანაშვილი X-XI საუკუნეების მიჯნით ათარიღებს,²⁹ ვალერი სილოგავა კი, XI საუკუნით.³⁰ ეს ფილა დაცული იყო გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მეორე მავადრებელი მამაკაცის გამოსახულებასთან ერთად, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო ამ რელიეფთან. ჯვრის ორსავ მხარეს წარმოდგენილი ისტორიული პირების გამოსახულებები ხშირია შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში და VI საუკუნიდან მოყოლებული გვხვდება მაგალითად, სამწვერისში (VI ს.), ბრდაძორის დიდ ქვასვეტზე (VI-VIII ს.), ოშორის (IX-X ს.), კვაისა ჯვარის (X ს.), ზედა თმოგვის (XI ს.-ის დას.) რელიეფებზე.

საფასადო სკულპტურის საინტერესო ნიმუშია ილორის (ოჩამჩირის რაიონი) წმ. გიორგის ტაძრის (XI ს.) აღმოსავლეთ ფასა-

26 აფხაზეთი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, გვ. 100.

27 ფოტკ მოგვაწოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ.

28 აფხაზეთი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, გვ. 109.

29 М. Джанашвили, От Ново-Сенак до сел. Дихазурга, ИКОИМАО, вып. II, 1907, გვ. 18.

30 გლაპიდარული წარწერები, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ), თბ. 1980, გვ. 83.

დის რელიეფი³¹ (სურ. 9). ფილაზე დიოკლეტიანეს მღახვრელი წმ. გიორგი არის ამოკვეთილი. ურნმუნო მეფის დათრგუნვის ტრადიციული სცენა საქართველოში ძირითადად VII-XI საუკუნეების განმავლობაში გვხვდება,³² რაც რელიეფის ადრეულობაზე მეტყველებს. რამდენადმე უჩვეულოა წმინდანის აღმართულ ხელში ნაჩვენები ხმალი და წვერიანი უშარავანდო სახე. ორიგინალური იკონოგრაფიული გადაწყვეტა, შესრულების ერთგვარი სიმარტივე და სიტლანქე, ფორმათა პრიმიტიულობა, ამ რელიეფს X-XI საუკუნეების ე. წ. “ხალხური” მიმართულების ძეგლებთან აახლოვებს, როგორიცაა, ბზის, ჯრუჭის, განსაკუთრებით კი საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფილა (სავარაუდოდ კაცხიდან).

არანაკლებ საინტერესოა აფხაზეთში შემორჩენილ მცირე არქიტექტურულ ფორმათა რელიეფური გამოსახულებანი. მაგალითად, წებელდის კანკელი³³, რომლის ორი ნაკლული ფილა (სურ. 10-11) საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ხოლო მისი ფრაგმენტები სოხუმის მუზეუმშია დაცული. კანკელის ფილებზე გამოკვეთილი სცენები რთულ იკონოგრაფიულ პროგრამას წარმოგვიდგენენ. წებელდის რელიეფები XIX ს-ის ბოლოდან დღემდე არაერთი მეცნიერის კვლევის ობიექტი ყოფილა. მკვლევართა უმეტესობა მას ადრეული შეუსაუკუნეებით ათარიღებს.³⁴ თუმცა, ზოგიერთი მეცნიერი წებელდას X-XI საუკუნეების ძეგლად

31 Отчет о миссии ИКОМ России в республике Абхазия, М., 2011, გვ. 15.48.

32 Г.Н.Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გვ. 325.

33 ფილები პირველად გამოაქვეყნა პ. უვაროვამ, რომლის ფოტოებზე განირჩევა ამჟამად დაკარგული ფრაგმენტები – კ, გვ. 22, ტაბ. VII, VIII.

34 Д. В. Айналов, Некоторые христианские памятники Кавказа, Археологические известия и заметки, т. III, вып. 7-8, М., 1895, გვ.233-243; Д.В. Айналов, Эллинистические основы византийского искусства, записки русского археологического общества, т. XII, Спб., 1901, გვ. 202-203; გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936, გვ. 208-209; Р. О. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 68-69; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 143-144; Н. Чубинашвили, Хандиси, Тб., 1978, გვ. 86-90; 6. ალადაშვილი, VIII-IX საუკუნეების ქვაზე ავეთილი რელიეფების ადგილი შეუსაუკუნეების ქართული სკულპტურის განვითარებაში. საქართველოს სიძველენი, №7-8, თბ., 2005, გვ. 51-52; N. Iamanidzé, Les Installations Liturgiques Sculptées des Églises de Géorgie, გვ. 115-129.

მიიჩნევს.³⁵ ჩვენ ამ ნიმუშის ადრეული შუა საუკუნეებით და-თარიღებას ვემხრობით. ჯერ კიდევ აინალოვი აღნიშნავდა წე-ბელდის ფილების ზედაპირის მონაკვეთებად დაყოფის V-VI საუ-კუნეების ბიზანტიური სპილოსძვლის დიფტიქონებთან მსგავსე-ბას, რის საფუძველზეც მათ ადრეული პერიოდით ათარიღებდა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა გამოსახულებების ცალკეულ მოსაზღვრულ მონაკვეთებში განთავსება გვხვდება ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ქვაჯვარებზეც. ქვაჯვა-რებთან მსგავსება ჩანს თემატური რეპერტუარის შერჩევაშიც, რითიც განსხვავდება ბიზანტიურისგან. ქვასვეტებთან კავშირი მუღავნდება ასევე წებელდის გამოსახულებებში სასანიდური ხელოვნების ნიშნების არსებობაში, მაგალითად, წმ. ევსტათეს ირანული ლენტებიანი თავსაბურავი (სურ. 10), როგორიც გვხ-ვდება აგრეთვე ატენის სიონის VII საუკუნის ნადირობის ამსახ-ველ რელიეფზე. ირანულ ხელოვნებასთან სიახლოვე ვლინდება ასევე წმ. მხედრების ჰერალდიკური კომპოზიციის აგებაში (სურ. 11) – მშვიდად მდგომი ტორანეული ცხენები, რომლებიც შუბ-ლებით ეხებიან ერთმანეთს ტრადიციულია სასანიდური ირანი-სთვის (მაგ., ნაკშ-ი-რუსტამის კლდის ჰორელიეფი).³⁶ წებელდის ფილაზე წარმოდგენილ ფიგურათა სახეების პროფილით გამო-სახვაც ფასში ნაჩვენები თვალით (მაგ., წმ. ევსტათეს, ნათლის-ლების სცენაში მაცხოვრის გამოსახულებები და სხვ.) აღმოსავ-ლურ ტრადიციას მისდევს, რაც გვხვდება VI საუკუნის განთია-დის ქვაჯვარაზე³⁷ და უცნობია მომდევნო პერიოდის ქართული ქრისტიანული პლასტიკისათვის. ადრეულ პერიოდზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ წებელდის არც ერთ ფიგურას, ისევე როგორც განთიადის ქვასვეტის გამოსახულებებს არ გააჩნია შარავანდი.

ცალკე ჯგუფს წარმოადგენს სოხუმის მიდამოებში ნაპოვნი კანკელის ფრაგმენტები (X ს.).³⁸ ორი ნაკლული ფილა საქართ-

35 L. Khroushkova, Les dalles de Chansel de Tsebelda en bkhazie, gv. 577-587; L. Khroushkova, Les monuments chrétiens de la côte orientale de la mer Noire. bkhazie IVe-XVe siècles, gv. 145-152.

36 В. Г. Луконин, Иран в эпоху первых Сасанидов, Л., 1961, Табл. V.

37 ქ. მაჩბელი, დმანისის ახლადაღმოჩნდილი ქვაჯვარი, გვ. 7-46, სურ. 3, 7

38 Г. Алибегашвили, Рельефная плита из окрестностей Сухуми, Сообщения АН.

Грузинской ССР. Т.ХII, № 8, Тб., 1951, გვ. 511-515.

ველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული (სურ. 12-13), თუმცა, არ-სებობს პ. უვაროვას ძველი ფოტოებიც, რომლებზეც დაკარგული ნაწილები განირჩევა.³⁹ პირველზე (სურ. 12) ლიტურგიული შინაარსის სცენაა გამოსახული – თაღედში ორი სასულიერო პირი და მაკურთხეველი ანგელოზი არიან წარმოდგენილნი. ამ სცენის ერთგვარ გაგრძელებად აღიქმება მეორე, ამჟამად დაკარგული ფილა – აქაც ჩვენ არქიტექტურულ თაღში მოქცეულ სასულიერო პირს ვხედავთ. მესამე ფილა (სურ. 13) ასევე დაზიანებულია, მას ზედა ნაწილი აკლია. პ. უვაროვას ფოტოზე ჩანს – მხედრის შარავანდის ნაწილი, შტანდარტი მის ხელში. სავარაუდოდ, ფილაზე წმ. გიორგი უნდა ყოფილიყო გამოსახული, რომელიც საკმაოდ უჩვეულო იკონოგრაფიითაა მოცემული – წმ. გიორგის გამოსახულება, საქართველოში ძირითადად ან დიოკლეტიანეს ან ვეშაპის ფიგურებს განგმირავს.

არქიტექტურულ თაღებში ფიგურების მოქცევის მხატვრული ხერხი ხშირად გვხვდება ბიზანტიურ ხელოვნებაში ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული და არც საქართველოსთვის არის უცხო. მაგალითად, ქართველები ცაიშის სამრეკლოზე (X ს.), აწყურის კანკელის ფილა (XI ს.) და სხვ. ყველა სტილისტური ნიშნით სოხუმის ფრაგმენტები X საუკუნეს მიეკუთვნება.

დეკორატიულ თაღებშია ჩანერილი დრანდის კანკელის «ვე-დრების» კომპოზიციის რელიეფებიც.⁴⁰ ქართულ ქვის პლასტიკაში ეს სცენა უფრო მეტად X საუკუნის ძეგლებში გვხვდება, მაგალითად, ზარზმის (X ს.), ოშკის სამხრეთ ფასადისა და სამხრეთ სტოის რვანახნაგა ბურჯის (X ს.) რელიეფებზე. დრანდის კომპოზიცია სტილური ნიშნებით, ოშკის რელიეფების მსგავსად, ბიზანტიური სპილოს ძვლის ნიმუშებთან იჩენს სიახლოვეს. სავარაუდოა, რომ ისიც X საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება.

ბედიის ტაძრის კანკელის ფილა დიოკლეტიანეს დამთრგუნველი წმ. გიორგის გამოსახულებით სამეცნიერო ლიტერატურაში რენე შმერლინგის მიერ X-XI საუკუნეების მიჯნით

39 Л. Г. Хрущкова, Скульптура средневековой Абхазии..., гვ. 86-88, ტაბ. X₂IV, X₂V, X₂VI; МАК, гვ. 20-21, бაბ. 9-11.

40 Л. Г. Хрущкова, Скульптура средневековой Абхазии..., гვ. 91 ტაბ. X₂VI (3); კ, გვ. 30. ტაბ. XII,2.

თარიღდება.⁴¹ მოჩარჩოების ორნამენტით, პროფილით და რიგი სხვა მხატვრულ-სტილური ნიშნებით ის ამ ეპოქის ქართულ კანკელებს – სხიურს, სალხინოს, ზარცემს, სამწევრისს და ჭედურ ხატებს – ნაკიფარს, ლაბეჭინას, შოდს უახლოვდება.

ანუხვას კანკელის ფილა ჯვარცმის გამოსახულებით (დაცულია სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) XI საუკუნით არის დათარიღებული.⁴² ამ დათარიღების საფუძველიც XI საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ კანკელთა ფილების საერთო კომპოზიციურ გადაწყვეტის, ჩუქურთმის სახეების, პროფილირების, კვეთის მანერის მსგავსებაშია.

როგორც მასალიდან ჩანს, აფხაზეთის რელიეფები მხატვრულ-სტილური გადაწყვეტისა და შესრულების ხარისხის მხრივ მრავალფეროვნებით ხასიათდება. გვხვდება, როგორც მაღალი დონის, დახვეწილი ტექნიკით შესრულებული ნიმუშები, რომლებიც დაკავშირებულია იმდროინდელი საქართველოს მქანდაკებლობის წამყვან სკოლებთან (ტაო-კლარჯეთი, მესხეთ-ჯავახეთი), ისე „ხალხურ“ შემოქმედებას ნაზიარევი ხელოსნური ძეგლებიც.

ბუნებრივია, რომ აფხაზეთის რეგიონის რელიეფური ქანდაკება ღრმა და სერიოზულ კვლევას საჭიროებს, მაგრამ აქ წარმოდგენილი მასალის ზოგადი მიმოხილვაც კი ცხადყოფს, რომ აფხაზეთში შექმნილი ქვის რელიეფები სტილური თუ იკონოგრაფიული მახასიათებლებით უშუალო კავშირშია ზოგადქართული პლასტიკური ხელოვნების თავისებურებებთან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

41 P.O.Шмерлинგ, დასახ. ნაშრ., გვ. 109-111, ტაბ. 25(3).

42 იქვე, გვ. 158-159, ტაბ. 58(1).



დრანდა. ხარის თავი.



დრანდა. წინასწარმეტყველ იონას სასწაულებრივი ხსნის ამსახველი
რელიეფი.



ანაკოპია. №მ. თევდორე ტირონის ეკლესიის საკურთხეველში
ჩაშენებული რელიეფები.



ანაკოპია. რელიეფი ლომის გამოსახულებით.



ანაკოპია. რელიეფი თევზისა
და კვიპაროსების
გამოსახულებით.



ლაშქენდარი.
კარის
ზღუდარი
ლომების
გამოსახ-
ულებებით.



დიხაზურგა. ჯვრის წინაშე მავედრებელი ისტორიული პირი.



ილორი. წმ. გიორგის რელიეფი.



წებელდის კანკელის
ფილები.





სოხუმის მიდამოები. კან-
კელის ფილების ფრაგ-
მენტები.



მარიამ დიდებულიძე
გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა
და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

შუა საუკუნეების მხატვრობა აფხაზეთში

აფხაზეთი საქართველოს ისტორიული რეგიონია, რომელიც როგორც პოლიტიკურად, ასევე კულტურულადაც უძველესი დროიდან მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობს ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლი, როგორც საკულტო, ასევე საერო და მათთან ერთად – მონუმენტური მხატვრობის ნიმუშები.

აფხაზეთში შემორჩენილი მონუმენტური მხატვრობის ნიმუშებია: ბიჭვინთის ბაზილიკის იატაკის მოზაიკები (Vს.); ბედის ტაძრის მოხატულობა (XI; XIV. XVIIIსს); მოქვის ტაძრის მოხატულობის ფრაგმენტები (XI ს.); ლიხნეს ტაძრის მოხატულობა (XI; XIV); ბიჭვინთის საძვალის მოხატულობა (XVI); წკელკარის მოხატულობა (XI; XIV; XVIსს.), აკაფის ეკლესიის მოხატულობა (XIVს.); მაფაშ ოხუამეს ეკლესიის მოხატულობა (XV); მოხატული ყოფილა სვიმონ კაკანელის X-XI ს-თა ტაძარი, ასევე ილორის ეკლესია. ალბათ ბევრ სხვა ტაძარშიც იქნებოდა ფერწერის ნაშთები, რომლებსაც არ მოუღწევია ჩვენს დრომდე.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთში შემორჩენილი მხატვრობა საკმაოდ დიდი დროითი დიაპაზონისაა: დაწყებული ადრექრიეტიანული ხანიდან და დამთავრებული გვიანა შუა საუკუნეებით. ზოგი მათგანი ძალზე ფრაგმენტირებული სახით შემორჩა, მაგ. მოქვის ტაძრის ფრესკები, ზოგი კი საკმაოდ კარგად არის შემონახული, მაგ. ლიხნეს კედლის მხატვობა.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაისახა სავალალო ტენდენცია აფხაზეთის, ამ ძირძველი ქართული მხარის, ტერიტორიაზე შემორჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სრულად გამოყოფისა და მოწყვეტისა ქართული კულტურული არეალი-

დან⁴³, და, რადგან თარიღები არ იძლეოდა მათი რუსული ხელოვნებისადმი მიკუთვნების საშუალებას, აქცენტი მათ წმინდა ბიზანტიურ ნარმომავლობაზე კეთდებოდა.

ამიტომ, საინტერესო და არსებითია იმის გარკვევა და დადგენა, რამდენად არის აქ არსებული ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობის ნაწარმოებები პრინციპულად განსხვავებული ზოგად-ქართული მხატვრული აზროვნებისა და ენისგან. ქართველ მეცნიერთა მიერ არა ერთი ნაშრომი მიეძღვნა ამ საკითხებს⁴⁴.

სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში ამ ნაშრომებმა და მათში მოცემულმა დასკვნება ვერ მოიპოვეს სათანადო საერთაშორისო ჟღერადობა და წონა. ასევე სამწუხაროა, რომ ახლა ეს წმინდა სამეცნიერო საკითხები უკიდურესად პოლიტიზირებულია და აქტიურად გამოიყენება ანტი-ქართული პროპაგანდისთვის

ქართველი ხელოვნებათმცოდნების მიერ დადგენილია, რომ საერთო-ქართული კულტურულ-მხატვრული თვითმყოფადობისა და ერთიანობის ფარგლებში საქართველოს ყველა კუთხეს თავისი სპეციფიკური მხატვრული ენა გააჩნდა,⁴⁵ რასაც ჩვენი უცხოელი კოლეგებიც იზიარებენ.⁴⁶

საკმარისია შევადაროთ ერთმანეთს კახური და იმერული ხუროთმოძღვრება. იგივე ითქმის ფერწერაზეც. შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის უდავო ერთიანობის და თვითმყოფადობის ფარგლებში მეცნიერები გამოჰყოფენ ფერწერულ სკოლებს: სვანეთის, ტაო-კლარჯეთის, დავით-გარეჯის, დედაქალაქურსა და სხვ.⁴⁷

ეს მარავალფეროვნებათა ერთიანობა საერთოდაც ახასიათებს ქართულ შუა საუკუნოვან ხელოვნებას და ამ მხრივ, აფხაზეთს, როგორც ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს ქართული ისტორიულ მხარეს, რომელიც ტაო-კლარჯეთთან ერთად საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანების ნარმართველი

43 Ю.Воронов, В мире Архитектурных памятников Абхазии, Москва, 1978

44 Л. Рчевишивили, Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии, Тб., 1988.

45 ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.

46. Ipago-Novello, V. eridze, J. Lafontaine-osogne, E. Hybsch, G. Ieni, N. Kauchtschishvili, Art and Architecture in medieval Georgia, Louvain-la-Neuve, 1980.

47 А. Вольская, Живописные школы средневековой Грузии, II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1977.

იყო, ცხადია, საკუთარი განუმეორებელი მხატვრული მეტყველება ჰქონდა, რაც ბევრი ფაქტორით იყო განპირობებული, მათ შორის ბიზანტიისთან მეტი კავშირით სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან შედარებით. ეს ხუროთმოძღვრებაზეც ითქმის და კედლის მხატვრობაზეც.

თუმცა კედლის მხატვრობის, ისევე როგორც ხუროთმოძღვრების ნიმუშების მიმოხილვა, განსაკუთრებით კი მათი მხატვრული სახისა, გვარწმუნებს, რომ არავითარი პრინციპული განსხვავება ზოგადად ქართულ მხატვრობასთან ამ ნაწარმოებებში არ შეინიშნება.⁴⁸

საერთოდაც, მიუხედავად პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა, ქართული სამეფო-სამთავროები გასაოცარ ერთიანობას ავლენენ კულტურული, ენობრივი, რელიგიური თვალსაზრისით, რასაც ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვხედავთ, სადაც აღნერილია, თუ როგორ ავრცელებს მამა გრიგოლი თავისი სამონასტრო მოღვაწეობის ფარგლებს აფხაზეთზეც, როცა აგზავნის თავის ბერებს აფხაზეთის მეფესთან მონასტრის დაარსების თხოვნით. აյ ნათლად ჩანს, რომ პოლიტიკური საზღვრები ძალიან გამჭვირვალე და არა-არსებითი იყო.

მოკლედ მიმოვიხილოთ აფხაზეთში არსებული კედლის მხატვრობის ძირითადი ძეგლები:

თავისი მნიშვნელობით და თარიღითაც უპირველესად უნდა დავასახელოთ **ბიჭვინტის** ადრექრისტიანული ხანის ბაზილიკის ნანგრევებში მიკვლეულ იატაკის მოზაიკა, რომელიც ოპუს ტეს-სელატუმის ტექნიკით არის შესრულებული.⁴⁹

მოზაიკა ფარავდა საკურთხევლისა და სანათლავის იატაკს; გამოსახულებები: ქრიზმა, პალმა, ირმები შადრევანთან, ჩიტები წყალთან, თევზები და სხვა, ეჭვა არ ტოვებს მათ ქრისტიანული მხატვრობისადმი მიკუთვნებაში. გარდა საკულტო ნაგებობისა, იატაკის მოზაიკები საერთო ფუქციის ნაგებობის ნანგრევებშიც

48 Шервашидзе Л., Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980, с. 222

49 Ш Амирланашвили, История грузинской монументальной живописи, Тбилиси, т.1, 1957,сс.21-23; В.А. Леквинацзе, О древней базилике Питиунта и ее мозаиках, ВДИ,2, 1970. с. 174; Шервашидзе Л., Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980, с. 8-41;

იქნა ნაპოვნი. ყოველივე ეს ამ პრიოდში ბიჭვინტის კულტურული განვითარების მაღალ დონეს მიუთითებს. წარწერები ბერძნულია, რაც აფიქრებინებდათ, რომ ჩამოყანილი ოსტატების შექმნილია.

მიუხედავდ იმისა, რომ მოზაიკები ბევრ საერთოს პოულობს ახლო აღმოსავლეთის, ჩრდ, აფრიკის და სამხრეთ ევროპის ნი-მუშებთან, პალესტინურ ნაწარმოებებთან, ისინი უფრო სიბრტყ-ოვანია, ფერების შეზღუდული რაოდენობით. სავარაუდოა, რომ აქ ადგილობრივი ოსტატები მუშაობდნენ, რომლებმაც განსწავ-ლა სხვაგან მიიღეს, მაგ. პალესტინაში (აქ შემორჩენილი ქართუ-ლი მონასტრის – ბირ-ელ-კატის – იატაკის მოზაიკებთან პოვებს სიახლოვეს).⁵⁰ მათი დათარიღება ხდება როგორც მხატვრული სახით, ასევე გამოყენებული ორნამნტული მოტივებით, ბერძნუ-ლი წარწერების პალეოგრაფიით და სხვ.

რა თქმა უნდა, ბიჭვინტის აქტიური კონტაქტების გათვალ-ისწინებით ბიზანტიასთან, თითქოს ცხადი უნდა იყოს, რომ ეს მოზაიკები სწორედ რომ ბიზანტიურ მხატვრობას განეკუთვნება. მაგრამ თუ გავიხსენებთ შუხუტის მოზაიკებს დას. საქართველო-ში, გურიაში, ანდა ძალისას მოზაიკებს ქართლში, ეს კავშირები გაცილებით უფრო მჭიდრო ჩანს, თანაც გავლენის წყაროებიც უდავოდ საერთოა, ანუ მთლიანად საქართველოში მსგავსი და ერთიანი ტენდენციები ვითარდება.

ბედის ტაძრის მოხატულობას, ისევე როგორც მთლიანად ამ სამონასტრო კომპლექსს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ მთლიანად საქართველოს ისტორია-ში.⁵¹

რენე შმერლინგი ბედის მხატვრობაში სამ ფენას გამო-ყოფს⁵²: ტაძრის აგების თანადროულს, ანუ XI ს-ის დასაწყისს, ბაგრატ III-ის დროინდელს; შემდეგ მეორე დიდი აღმშენებლობის პერიოდს, ანუ XIII ს-ის ბოლო – XIV ს პირველი ნახ. მხატვრობას,

50 Л.А. Мацулевич, Мозаики Еир-Эль-Кута и Пицунды, Византийский Временник, т. XIX, ც. 140

51 აფხაზეთი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, ტ.1 თბილისი, 2007. გვ14;

52 რ. შმერლინგი, ბედის ტაძრის მხატვრობის დათარიღების საკიტხისათვის, // მოამბე, საქართველოს სსრ მეცნიერებატა აკადემია, 1947, ტ.18, № 4, გვ. 503-511;

მესამე პერიოდი კი XVI-XVII სს განეკუთვნება. ახლა შემორჩენილი მხატვრობა ძირითადად XIV საუკუნის ქმნილებაა ან ამ დროს გაცხოველებულ-განახლებული (მაგ., ბაგრატ III-ის პორტრეტი).⁵³

XX ს-ში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ეკლესიის მამები აფ-სიდში, მათ თავზე აბრამის სტუმართმოყვარეობა;

სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე ქვედა რეგისტრში ქტი-ტორები, მათ ზემოთ მედალიონების რიგები წმინდანთა გამოსახულებებით, ქრისტე და სამარიტელი ქალი, ქრისტეს მიერ ბრმის განკურნება, დასავლეთ კედელზე – სავარუდოდ მიძინება (დარჩენილია სამხედრო სამოსში ხმალმოლერებული მთავარანგელოზი), ქვედა რეგისტრში წმ. ელენე და კონსტანტინე. ბასტოფორიუმებში შესასვლელების თავზე ქრისტე და მარიამი.⁵⁴; წარწერები ასომთავრული შრიფტით არის შესრულებული.⁵⁵ ჩრდილო კედელზე – ოთხფიგურიანი ქტიტორული პორტრეტი, – სავარაოდოდ, დადიანების ოჯახი, იყითხება მათი ვაჟის კახაბერის წარწერა. ეს ნაწილი XIV ს-ით თარიღდება. დედოფალ მარებისა და მისი ვაჟის, მანდარტურტუხუცესის გიორგი დადიანის, პორტრეტები უფრო გვიანი დროისაა, XVI ს-ის.

ბედის მოხატულობაში განსაკუთრებულ ინეტრესს იწვევს ბაგრატ III ქტიტორული პორტრეტი სამხრეთ კედელზე.⁵⁶ რომელიც, სამწუხაროდ, როგორ ჩანს, აღარ არსებობს,

ლიხნის ღმრთისმშობლის ტაძარში კედლის მხატვრობის ყველაზე დიდი რაოდენობაა შემორჩენილი.⁵⁷ არის ადრეული, X-XI ს-ის ძალიან მცირედი ფრაგმენტები სადიაკვნეში⁵⁸, ძირითადად კი XIV ს-ისა.⁵⁹ დამახასიათებელია, სცენათა სიმრავლე

53 Н.И. Толмачевская, Фрески древней Грузии. Тбилиси, 1931, с. 8

54 Шервашидзе Л., Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980, с. 42-66;

55 **ლ. ახალაძე**, ბედის ტაძრის ეპიგრაფიკა, რინა, თბილისი, 2006, № 1, გვ. 93-113.

56 И. Лордкипанидзе, Роспись в Цаленджиха, Тб., 1992. ст 163.

57 Шервашидзе Л., Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980, с. 67-149

58 Н.И. Толмачевская, Фрески древней Грузии. Тбилиси, 1931, с. 21;

59 В.Н. Лазарев, История византийской живописи, Т. 1, М., 1947, с. 248-249; აფხაზეთი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, ტ.1 თბილისი, 2007. გვ. 22;

საკურთხეველში, განსაკუთრებით ძველი აღთქმიდან, თუმცა ეს სულაც არ არის უცნობი ქართული ტრადიისთვის მუთუმეტეს პალეოლოგოსთა ხანაში (მაგ. ზარზმა)

გუმბათში გამოსახულია მარიამი ორანტა და შვიდი მთა-ვარანგელოზი; კონქში – აღსაყდრებული ჩვილედი მარიამის დიდება;⁶⁰ ქვედა რეგისტრში = ზიარება (მიტრიალებული იუდას ჩათვლით), ბემის კედლებზე – მენელსაცხებლე დედანი, ქრისტეს გამოცხადება წმინდა დედებისადმი; აბრაამის სტუმართმოყვარეობა, აბრაამის მსვლელობა სამსხვერპლოსკენ; აბრაამის მსხვერპლშენირვა; მოსე და აარონი აღთქმის სკინიაში, კონსტანტინოპოლის პატრიარქები ნიკოფორე და გერმანე.⁶¹ სულ ქვემოთ- მსხვერპლის თაყვანისცემა და ეკლესიის მამები. საუფლო დღესასწაულებიდან დარჩა მხოლოდ შობა და ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა. დასავლეთ კედლებზე მიძინების დიდი კომპოზიცია იყო ვრცელი რედაქციით; სამხრეთ ეგვეტერში – მეორედ მოსვლა. სვეტებზე და პილასტრებზე ცალკეული წმინდანების ფიგურები და ნახევარფიგურები.

ეს მოხატულობა გამოირჩევა ძალიან მაღალი მხატვრული დონით და პალეოლოგოსთა სტილის მხატვრობის ერთ საუკეთესო ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ მხრივ იგი არ ჩამოუვარდება უბისისა და ნაბახტევის მხატვრობებს.

მცირედი ფრაგმენტები გამოვლინდა მოქვის ტაძარშიც 1980-იანი წლების რესტავრაციის დროს.⁶² გამოვლენილი ფრაგმენტების მიხედვით საკურთხეველში გამოსახული ყოფილა ძველი აღთქმის სცენები (აბრაამის სტუმართმოყვარეობა), ეკლესიის მამათა მრავალრიცხოვანი ფიგურები. კამარებეზე ჩანს საუფლო დღესასწაულთა ფრაგმენტები (ზარება, შობა, მირქმა, ამაღლება, სული წმიდის მოფენა; ასევე მარიამის ცხოვრების სცენები. მოხატული ყოფილა სადიაკვნე და სამკვეთლო. როგორც ჩანს, მოხატულო-

60 П.С. Уварова, Христианские памятники, МАК. Вып. 4, IV., 1894, с 15.

61 И. Лордкипанидзе, Ростпись в Цаленджиха, Тб., 1992. с.158-159;

62 УГ.Чеишвили, Т.Джапаридзе, Н.Кутателадзе, И. Якобашвили, Ш.Лежава, Д. Гагошидзе, Вновь раскрытые стенописи нач. 14 века церкви Богоматери в Мокви, Материалы 6 Международного Симпозиума по Грузинскому Искусства, 1989 г. ст.14-16; аფხაზეთი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, ტ.1 თბილისი, 2007. გვ. 20

ბის პროგრამა ბევრ წილად უახლოვდება ლიხნეს ტაძრის მოხატულობის პროგრამას. ტაძარში გამოვლინდა როგორც ქართული, ასევე ბერძნული წარწერები. მოქვის ტაძრის კედლის მხატვრობა XIV ს-ით თარიღდება,

ერთი-ორი ფრაგმენტი ახალი ათონის წმ. სვიმეონ კანანელის ეკლესიაშიც გამოჩნდა.⁶³

აკაფას (ოდიში) დარბაზული ეკლესის მოხატულობა სავარაუდოდ XIV ს-ით თარიღდება. აქ შემორჩენილია კონქში მაცხოვარი, მის ქვემოთ – ეკლესის მამები; ბზობის ფრაგმენტი; წმინდანები მკერდამდე; ჩანს ქტიტორების ფიგურის ფრაგმენტები.⁶⁴

ფშაურის დარბაზული ეკლესის მხატვრობა ძალიან დაზიანებულია.

გამოსახულებები: კონქში – აღსაყდრებული მარიამი, ქვემოთ ეკლესის მამები; დას. კედელზე – მირქმის ნაწილი და სხვ. უდავოდ პალეოლიტოსთა სტილს განეკუთვნება და XIV სით უნდა თარიღდებოდეს.⁶⁵

მაფაშ ოხუამე – დარბაზული ეკლესის მოხატულობის მხლოდ მცირედი ფრაგმენტითა, თუმცა საკმაოდ ორიგინალური გადაწყვეტით- კერძოდ ეკლესის მამების ფიგურების გამოსახვა კედელზე „დაკიდებული“ ფარდის ფონზე. ეს მხატვრონა XV ს-ით თარიღდება.⁶⁶

ცკელკარის დარბაზულ ორ-ეგვტერიან ეკლესიაშიც მხატვრობის რამდენიმე ფენა: I ფენა – ვედრება, კონქში სავარაუდოდ XI ს.

II ფენა- დასავლეთი ეგვტერის მოხატულობის ფრაგმენტები – XIV ს.

III ფენა – ეკლესის მამები, ქტიტორები, ევსტათეს ნადირობა და სხვ. თავისი მხავრული სახით, ქართული წარწერების პალეოგრაფიით და გამოსახულ ქტიტორთა ვინაობის იდენტიფიკაციით (ჩიჩუების ოჯახის წარმომადგენლები) XVI-XVII სს. თარიღდება.⁶⁷

ბიჭვინტის ტაძრის ინტერიერში რესტავრაციის დროს გამოვ-

63 П.С. Уварова, Христианские памятники, с.9.

64 Шервашидзе Л., Средневековая монументальная, с.150-155;

65 Шервашидзе Л., Средневековая монументальная с.155-163;

66 Шервашидзе Л., Средневековая монументальная с. 163-171

67 Шервашидзе Л., Средневековая монументальная, с. 193-211;

ლენილი მხატვრობის მცირედი ფრაგმენტები (მედალიონებთა რიგები წმინდანთა ნახევარფიგურებით) სავარაუდოდ XIV ს-საა; არ არის გამორიცხული, რომ X-XI სთა მიჯნაზე ტაძარი მთლიანად ყოფილიყო მოხატული, (არსებობს ბაქრაძის აღწერები, გაგარინის ჩანახატები). სამწუხაროდ, XX ს-ის დასწავისში აქ მოღვაწე რუსმა ბერებმა შეათეთრეს მთლიანად.⁶⁸

უკეთესად შემორჩენილი **საძვალის** მოხატულობა⁶⁹. კონქში -პანტოერატორი მკერდამდე, ქვემოთ ეკლესიის მამები. კონქის თავზე, შუბლის კედელზე – ჯოვანხეთის წარმოტყველება, მისი პირისპირ – ჯვარცმა. კამარის სამხრეთ კალთაზე – ჯვარზე გაკვრა; ჩრდ კალთაზე – დატირება, კარის ტიმპანში – ევმანუელი.

სამხრეთ კედლეზე, თაღებს ქვეშ, ნიშაში – წმ. ანდრეა და წმ სიმეონი, რაც ძალიან საგულისხმოა. ეს პროგრამა ტიპიურია საძვალეთა მოხატულობისთვის ბიზანტიური სა საქართველოშიც.⁷⁰

ეს მოხატულობა ნათლად ავლენს სიახლოვეს ათონის მონასტრების XVI ს-ის მხავრობასთან, და შესაბამისად, ამავე დროის კახეთის მოხატულობებთან პოულობს პარალელებს, რაც ბუნებრივია, ვინაიდან საერთო შთაგონების წყარო აქვთ.

საგულისხმოა, რომ მოხატულობათა უმეტესობა ძირითადად სამ პერიოდში სრულდება: ადრექრისტიანული ხანა; შემდეგ XI საუკუნე; XIV-XVI სს.; ეს უეჭველია, თვით ამ მხარის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენებით არის განპირობებული. და ასევე მჭიდროდ უკავშირდება მთლიანდ საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პრცესებს.

XI ს-ში ძალიან მჭიდროა კავშირი საქართველოს სხვადასხვა მხარეებს შორის. იქნება ერტიანი ძლიერი სახელმწიფო. სწორედ XI ს-ში დავით აღმაშენებლი აწესებს ბედიელ-ალავერდელის წოდებას.

ამ პერიოდს განეკუთვნება ბედის, ლიხნეს, ცხელკარის ფერწერული ფრაგმენტები;

68 Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках Христианства, Записки Общества любителей кавказской археологии, Кн.16 Тифлис, 1875, с.121.

69 Шервашидзе Л., Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980, 172-190;

70 И. Лордкипанидзе, Ростислав в Цаленджиха, Тб., 1992. с. 145-147

შემდეგი ეტაპი – XIV ს., ეს ის დროა, როცა საქართველო დიდ გასაჭირებია მონღოლების შემოსევების გამო, აფხაზეთში კი შედარებით სიწყნარეა, ისევე როგორც სამცხეში და ისევე როგორც იქ, გააქტიურებულია კულტურული მოღვაწეობა. XV ს-დან აფხაზეთი და საბედიანო შედის იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში

ამ პერიოდს განეკუთვნება ბედის || ფენა, ლიხნის ძირითადი მოხატულობა, ბიჭვინტის ტაძრის მედალიონების რიგი, ფშაურის, მაფაშ ოხუამეს, აკაფას ეკლესიებისა, ცკელკარის დასავლეთ ეგვტერის მოხატულობები.

ბოლო ეტაპი – XVI-XVII სს. – ემთხვევა აფხაზეთის სათავადოს შექმნას;

ამ პერიოდისაა ცკელკარის, ბიჭვინტის საძვალეს, ბედის III ფენის მოხატულობები.

ამის შემდეგ იწყება თურქების შემოსევები, ჩრდილო კავკასიელთა ჩამოსახლება და მოსახლეობის გამაპმადიანება. XVIII ს-დან ქრისტიანულ კულტურა სრულიად აღარ ვითარდება, და, სხვათაშორის, არც მაპმადიანური კულტურის აყვავება შეინიშნება.

ასე რომ აფხაზეთში კულტურული მოღვაწეობის გააქტიურება, კერძოდ კი ტაძართა შემკვა ფრესკებით, დიდ წილად უკავშირდება მთლიანად საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს.

წარმოდგენილი მოხსენების თემა არის არა იმდენად ამ ნანარმობების მხატვრული სახის თუ თეოლოგიური შინაარსის ანალიზი და შეფასება, თუნდაც მათი დათარიღება, არამედ, ერთი მხრივ, მათი ამა თუ იმ კულტურულ წრესთან მიერთვნების საკითხი და მეორე, მათი არსებობისთვის დღეს შექმნილი საფრთხეები.

აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი კედლის მხატვრობის ძეგლები ეჭვს არ ტოვებს ზოგადად ქართული შუა საუკუნეების მხატვრობისადმი მათ კულთურისტებაზე. და არა მხოლოდ მრავალრიცხოვანი ქართულენოვანი წარწერების გამო, არამედ მათი მხატვრული სახის გამოც. სხვათა შორის, გავლენების საერთო წყაროების თვალსაზრისითაც.

ბიჭვინტისა და ძალისა – შუხუტის მოზაიკებში ყველგან სახეზეა ელინისტურ-რომაული სამყაროს იატაკის მოზაიკების ტრადიციის გავლენა, და ასევე ყველა ამ შემთხვევასი თვალში საცემია განსხვავება ამ ტრადიციისგან, რაც მეტ ხაზობრიობაში, მარტივ მოდელირებაში, თვადაჭერილ ფერადოვნებაში გამოიხატება.

იგივე ლიხნეს მხატვრობა, რომელიც, ცხადია, წმინდა პალეოლიგოსთა სტილის ნანარმობია, პრინციპულად არაფრით განსხვავდება უბისის მხატვრობისგან (მხოლოდ ოსტატთა ინდივიდუალური მანერით), ან ნაბახტევის, ან სხლათის. ლიხნე და უბისი ორივე ატარებს კონსტანტინოპოლიური ხელოვნების გავლენის კვალს, და ამავე დროს, ორივე ნათლად ავლენს სპეციფიკურად ადგილობრივ ნიშნებს.

ლიხნეს საკურთხევლის პროგრამის ძლიერ დანაწევრებული და გართულებული ხასიათი არ არის უცხო მოვლენა ამ დროის ქართულ მხატვრობაში (მაგ. ნაბახტევი,⁷¹ ზარზმა და სხვ.) და მისი მყაფიოდ გამიჯვნა ამავე პერიოდის სხვა ქართული ნაწარმოებებისგან, რთულია.

პალეოლიგოსთა სტილის განვითარებას ქართულ გარემოში მოქვის სახარება მოწმობს, რომელიც მოქვის მონასტერში გადაიწერა 1300 წელს ქართულ ენაზე და შემკულია მინიატურებით, რომლებიც ამ სტილის ადრეულ ნიმუშთა ჯვეუფლენება, ანუ კვლავ ვხედავთ, რომ XIV ს-შიც ქართულ კულტურულ გარემოს განეკუთვნება მოქვის სკრიპტორიუმიც და მთლინად ამ დროის აფხაზური ხელოვნება.

ასევე საერთო შთაგონების წყარო აქვს კახეთის XVI-XVII ს-ის მოხატულობებს და ბიჭვინტის საძვალეს მოხატულობას – ამ თვალსაზრისით კონსტანტინოპოლის ადგილს ათონი იკავებს და მისი ზეგავლენა ერთნაირად აისახა აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოშიც, აფხაზეთის ჩათვლით.

ყოველივე ეს შესანიშნავად აქვს შესწავლილი და გაანალიზებული პროფ, ლეონიდე შერვაშიძეს თავის ცნობილ ნაშრომში Средневековая монументальная живопись в Абхазии⁷², რომელშიც

71 ი. ლორთქიფანიძე, ნაბახტევის მხატვრობა, თბ., 1973.

72 Шервашидзе Л., Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980

ყველა ზემოთხსენებული ძეგლი საგანგებოდ არის აღწერილ-შეფასებული არა მხოლოდ მხატვრული, არამედ ისტორიულ და სოციალურ კონტექსტშიც. ალბათ უნდა ვენდოთ აფხაზი თავად-აზნაურობის შთამომავალს, როცა იგი ამტკიცებს, რომ არ არის განსხვავება არც განვითარების ხაზში და და არც მხატვრულ ფორმაში მთელს საქართველოსა და საკუთრივ აფხაზური კედ-ლის მხატვრობის ნაწარმოებებს შორის.⁷³

რაც შეეხება ამ ნაწარმოებების ამჟამინდელ მდგომარეობას, ამის თაობაზე ძალიან ძნელია დაბეჯითებით საუბარი ინფორმაციის სიმწირესა და არასანდონობის გამო ეს ჩვენთვის მხოლოდ სხვათა მონათხრობით და ფოტო-გამოსახულებებით არის ცნობილი. თანაც ინფორმაცია არც თუ ყოველთვის სარწმუნოა.

მაგალითად, ვიცით, რომ ლიხნეს ტაძარს გაუკეთდა დროებითი გადახურვა ფრესკების დასაცავად წყლისგან და მონვეული იყვნენ იტალიელი სპეციალიტები მათი მდგომარეობის შესაფასებლად. მეორე მხრივ, ვიგებთ რომ განადგურდა ბაგრატ III-ის პორტრეტი.

თუმცა რუსეთის იკომის და იტალიელთა ჯგუფის ანგარიშები ერთგვარად წინააღმდეგობრივ ინფორმაციას გვაძლევს ამის შესახებ.

რუსეთის იკომის მიერ გაკეთებულ ანგარიშის მიხედვით ბედიაში ბაგრატ III-ის პორტრეტი აღარ არსებობს⁷⁴. ბოლო დროს ჩვენს ხელთ მოხვედრილი იტალიელი სპეციალისტების ანგარიში კი ამას თითქოს არ ადასტურებს⁷⁵. ფაქტია, რომ ქართული კვა-

73 Шервашидзе Л., Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980, с. 222

74 ОТЧЕТ О МИССИИ ИКОМ РОССИИ В РЕСПУБЛИКЕ АБХАЗИЯ. 31 октября – 5 ноября 2011 года. с.6

В рамках Культурного сезона «Россия-Абхазия»: В дальнейшем, предположительно, в ходе ведения работ по усилению южной стены трансепта, произошло осыпание значительных фрагментов росписи с изображениями большой историко-культурной значимости (изображение основателя Храма с макетом здания). Нужно отметить, что на этом участке инъектирование требовалось в

неизмеримо меньшем объеме, чем это было произведено.

75 Technical Assessment of the condition of Bedia Cathedral and Lykhny Temple.

ლის წაშლის გარკვეული მცდელობები ნათლად შეინიშნება. ამის მაგალითად ილორის ტაძრის დღევანდელი მდგომარეობა მოწმობს.

ჩემი აზრით, სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ სხვადასხვა ენებზე მაღალპოლოგრაფიული დონეზე წიგნების გამოცემა აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის თაობაზე (მაგ., ლ. Рчеулиშვილი, Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии, Тб., 1988. Шервашидзе Л., Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980). აქტიური ვებ-გვერდების შექმნა; წარწერების კორპუსის გამოცემა. და ყოველივე ამის ყველა შესაძლებელი გზით გავრცელება მსოფლიო მასტაბით;

უპირველესად კი უნდა ბევრ ენაზე ითარგმნოს და გავარცელდეს 1916 წლის აფხაზ თავადაზნაურთა მიმართვა რუსეთის იმპერატორსადმი პრიმორსკის გუბერნიასთან აფხაზეთის მიერთების გამო. ეს იმდენად ზუსტად იმეორებს დღევანდელ სიტუაციას, რომ უდავოდ მოახდენს შთაბეჭდილებას ყველაზე, პირველ რიგში კი თვით აფხაზებზე.

ОТЧЕТ О МИССИИ ИКОМ РОССИИ В РЕСПУБЛИКЕ АБХАЗИЯ.

31 октября – 5 ноября 2011 года. с.6

В рамках Культурного сезона «Россия-Абхазия»: В дальнейшем, предположительно, в ходе ведения работ по усилению южной стены трансепта, произошло осыпание значительных фрагментов росписи с изображениями большой историко-культурной значимости (изображение основателя Храма с макетом здания). Нужно отметить, что на этом участке инъектирование требовалось в неизмеримо меньшем объеме, чем это было произведено.

Preliminary finding and recommendations. Fausta Pugnaloni, 2015. p. 46. “A fragment of the tenth century, probably in the fourteenth century, attests to the will of Bagrat III (975-1014) to make Bedia an affirmation of his prestige: the king is represented in the attire of the Byzantine Emperor and offereing a model of the church to the Virgin”.

TECHNICAL ASSESSMENT OF THE CONDITION OF BEDIA CATHEDRAL AND LYKHNY TEMPLE

Preliminary findings and recommendations

Fausto Pugnaloni

June 2015

Technical Assessment of the condition of Bedia Cathedral and Lykhny Temple. Preliminary finding and recommendations. Fausta Pugnaloni, 2015. p. 46. "A fragment of the tenth century, probably in the fourteenth century, attests to the will of Bagrat III (975-1014) to make Bedia an affirmation of his prestige: the king is represented in the attire of the Byzantine Emperor and offereing a model of the church to the Virgin".

Fausto Pugnaloni, Architect and Full Professor of Architecture at Università Politecnica delle Marche, Italy,

(46) A fragment of the tenth century, probably redone in the fourteenth century, attests to the will of Bagrat III (975-1014) to make Bedia an affirmation of his prestige: the king is represented in the attire of the Byzantine Emperor and offering a model of the church to the Virgin.

ბიბლიოგრაფია:

Амиранашвили Ш., История Грузинского искусства, (Москва, 1963).

აფხაზეთი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, ტ.1 თბილისი, 2007.

Ш Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, Тбилиси, т.1, 1957,

ИГ.Чеишвили, Т.Джапаридзе, Н.Кутателадзе, И. Якобашвили, Ш.Лежава, Д. Гагошидзе, Вновь раскрытые стенописи нач. 14

века церкви Богоматери в Мокви, Материалы 6 Международного Симпозиума по Грузинскому Искусства, 1989 г. ст.14-16

Л. Рчеулишвили, Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии, Тб., 1988.

გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების გზები,
თბილისი, 1936

Ю.Воронов, В мире Архитектурных памятников Абхазии,
Москва, 1978



ბაგრატ მეფე



ბიჭვინთის მოზაიკა



ბიჭვინთის საძვალე



ლიხნეს მოხატულობა, აბრაამის სტუმართმოყვარეობა

ნატო გენგიური
საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს უნიერსიტეტი

**რუსეთის პოლიტიკა XIX საუკუნეში და საეკლესიო
მშენებლობანი საქართველოს მთიან რეგიონებში**

ქართლის მთიან რეგიონში, რომელიც დღეს ოკუპირებულია რუსეთის მიერ, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების არაერთი ნიმუშია დარჩენილი. მათ შორის არის მხატვრულ-არქიტექტურულად გამორჩეული, ეპოქალური ძეგლები, სოფლის მოკრძალებული ეკლესიები, კომქების ნანგრევები და სხვა. ბევრი მათგანი კარგადაა შესწავლილი, ზოგიერთს კი სპეციალური ყურადღება არ დატომობს. ამ უკანასკნელთა შორის არის ორი ეკლესია, რომლებსაც არ აქვთ თავისი ადგილი მიჩენილი არქიტექტურის ისტორიაში. არა და, როგორც ქვემოთ დავინახავთ ჩვენი ისტორიის ერთი პერიოდის მატერიალურ მონასტრებს ნარმოადგენენ. მხედველობაში მაქვს სოფ. ნაქალაქევის წმ. გიორგი⁷⁶, შამბიეთის ეკლესია⁷⁷. ისინი ორივე მეტად გავს ერთ-მანეთს – ორივე თავისუფალი ჯვრის ტიპის მცირე ეკლესიაა და დეტალებშიც იმეორებენ ერთმანეთს. ნაქალაქევის და შამბიეთის ეკლესიები წიგნში „შიდა ქართლი“ მოხსენიებულია, როგორც გვიანი შუა საუკუნეების ნიმუშები, რაც ჩემი აზრით, შეცდომა უნდა იყოს. მათი ისტორიულ-მხატვრული ადგილის დასადგენად თავდაპირველად მივმართე ფორმის ანალიზისა და შედარებითი ანალიზის მეთოდს, ხოლო შემდგომ ისტორიული მონაცემების და ლიტერატურული წყაროების მოშველიებით გამოიკვეთა მათი ადგილი და მნიშვნელობა.

76 შიდა ქართლი, I, თბილისი, 2002, გვ. 148-149.

77 იქვე, გვ. 213-214.



ნაქალაქეების წმ. გიორგი 2. შამბიეთის ეკლესია.



საქართველოს მთიანმა რეგიონებმა კი შემოინახა გუმბათოვანი ეკლესიების ჯგუფი, რომელიც საერთო ნიშნებით გამოირჩევა და შამბიეთ-ნაქალაქარის ეკლესიებთან დიდ მსგავსებას იჩინს. საფიქრებელია, ისინი XIX საუკუნის მშენებლობებს მიეკუთვნებოდეს (თუ რატომ, ამაზე ქვემოთ შევჩრდები). დუშეთის მუნიციპალიტეტში, არსებული მაღაროსკარის და თიანეთის ზემო არტანის ეკლესიები⁷⁸ ამ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ. ასევე მაგალითად, თუშეთში შენაქოს ეკლესია⁷⁹. არდოტეტშიც არის დარჩენილი ეკლესიის ნანგრევები, რომელიც თავისი უფალი ჯვრის ტიპის კი კი არ არის, არამედ სწორკუთხედში ჩანერილი ჯვარია.

თუმცა საერთო არქიტექტურული გადაწყვეტით, არქიტექტურული მასებითა და ფორმებით აღნიშნული ჯგუფის ეკლესიების წრეში შედის. მსგავსი ეკლესიები შესაძლოა სხვაგანაც მოიძებნოს. თუმცა დასახელებული ნიმუშებიც საკმარისია, მათი მხატვრულ-არქიტექტურული მახასიათებლები რომ გამოვყოთ. ამ ტაძრების აღნერები და ზოგიერთი მათგანის გეგმაც გამოქვეყნებულია, თუმცა მათი მხატვრულ-ისტორიული კვლევა არ



78 საქართველოს ისტორიისა და კუტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, ობ. 2008, გვ. 273; 382.

79 იქვე, გვ. 158

ჩატარებულა. ამან განაპირობა ის, რომ თუ ერთგან მათ თარიღზე პირდაპირ XIX საუკუნეა მითითებული, მეორეგან გვიანი შუა საუკუნეები სახელდება (ნაქალაქარი, შამბიეთი). მათი არქიტექტურული დახასიათებისა და ლიტერატურული წყაროების მონაცემების შეჯარებით, შევეცდებით გამოვიტანოთ დასკვნები.



1. ნაქალაქევის წმ. გიორგი. 2. შამბიეთის ეკლესია.



3. მალაროსკარის წმ. გიორგი. 4. შენაქის ეკლესია.

ამ ჯგუფის თავისუფალი ჯვრის ტიპის ტაძრები, ერთი, ტიპიური პროექტით არის აშენებული. თანაც არ ვგულისხ-

მობ საეკლესიო ტიპს – თავისფალ ჯვარს, არამედ ამ ტიპის გადაწყვეტის დეტალებსა და პროპორციებსაც: ზემოაღნიშნულ ეკლესიებში ყველგან გვაქვს სამი მოკლე მკლავი და აღმოსავლეთით ღრმა საკურთხევლის აფსიდი, რომელიც მკვეთრადაა შვერილი და გარედან წახნაგოვან ფორმას ატარებს (ძირითადად ხუთწახნაგაა). გარე მასებს აგვირგვინებს გუმბათი, რომელსაც რვანახნაგა, არც თუ მაღალი ყელი აქვს. მასში ოთხი ან რვა სარკმელია გაჭრილი. კარი სამივე მკლავის ცენტრშია დაყოლებული და ყოველი შესასვლელის წინ მცირე კარიბჭეა მოთავსებული. კარიბჭებს უმეტესწილად აქვთ კვადრატული გეგმარება, კვადრატულ ბურჯებზე გადაყვანილი თაღებით ისინი სამივე მხარეს გახსნილია და ღია პორტიკის ტიპის მოცულობას ქმნის. სამშენებლო მასალა ყოველთვის ადგილობრივია. შენაქო, მაგალითად, ფიქლითა და კირის დუღაბითაა ნაშენი, მაღაროსკარი – რიყის ქვით, შამბიანი – უხეშად გათლილი ქვით. ამ ეკლესიებს საერთო აქვთ ისიც, რომ მათმა კედლებმა შემოინახა ნალესობის და თეთრი სალებავის კვალი: ასე რომ, თავის დროზე ისინი შელესილი და შეთეთრებული იყო. პროპორციები, გუმბათის რვანახნაგა ყელი, ფასადების სისადავე, ქართული არქიტექტურის ადრეული ეტაპის ნიმუშების ასოციაციას ბადებს, თუმცა საერთო იერი, შაბლონურობა ამხელს, რომ აქ ძველ ხუროთმოძღვრებასთან ნამდვილად არ გვაქვს საქმე. ქართული შუა საუკენების არქიტექტურისთვის სახასაითოა ერთი ან რამდენიმე საეკლესიო ტიპის პოპულარობა გარკვეულ პერიოდებში, მაგრამ ყოველთვის კონკრეტული ნიმუში განუმეორებელია და გადაწყვეტის ინდივიდუალურობით გამოირჩევა. ამას კი ვერ ვიტყვით ზემოაღნიშნულ ეკლესიათა ჯგუფზე: მათ შორის განსხვავება მინიმალურია და არქიტექტურული კომპოზიციის შაბლონურობით გამოირჩევიან.

ამდენად, დასახელებულ ეკლესიებს იმდენად ბევრი აქვთ საერთო, რომ ეჭვი არაა, ერთი არქიტექტურული პროექტის მიხედვით არიან აგებულნი. მაგრამ საიდან შეიძლება მომდინარეობდეს ეს პროექტი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ შევეცადეთ XIX ლიტერატურული წყაროებისთვის მიგვემართა. რუსულენოვან პერიოდულ გამოცემებში მივაკვლიერ ინფორმაციას, რომელმაც პრობლემურ საკითხს ნათელი მოყინა.

საქმე ისაა, რომ XIX საუკუნეში მოხდა ეკლესიების (მათ შორის თავისუფალი ჯვრის ტიპისა) ორგანიზებული მშენებლობა, ძირითადად კავკასიის მთის რეგიონებში. ამ საქმეს იმპერატორის ბრძანებით დაარსებულმა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ“⁸⁰ მოკიდა ხელი. მისი მოღვაწეობის სფერო ძირითადად კავკასიის ის რეგიონები იყო, სადაც ქრისტიანობა აღარ იყო მოსახლეობის დიდი ნაწილის რელიგია, მაგალითად, ოსეთი. ოსები, ისევე როგორც ჩრდილოკავკასიის სხვა ხალხები, არ იყვნენ ქრისტიანული აღმსარებლობის და მათი გაქრისტიანება საზოგადოებას მთავარ ამოცანად ჰქონდა გაცხადებული. თუმცა მთის ქართველებს ქრისტიანობა არც არასდროს დაუკარგავთ. აქ თავისი მოღვაწეობის აუცილებლობაზე, საზოგადოებას სხვა არგუმენტი ჰქონდა: მთის რეგიონებში ქრისტიანობას წარმართობის ელემენტები შეერია და ამიტომ ამ რეგიონებშიც ცდილობდნენ ისინი საქმიანობას (თუშეთი, ხევსურეთი, სვანეთი...). ასევე, ქართლის მთიან რეგიონში, მაჩაბლების ადგილ-მამულების ჩრდილოეთ ნაწილში ოსებიც იყვნენ გადმოსახლებული და ამ საბაბით, საზოგადოებამ საქმიანობა, აქაც გააჩალა.

კარგად ჩანს, რომ რუსეთის იმპერიის პოლიტიკის განხორციელებაში ამ საზოგადობასაც ეკისრებოდა თავისი როლი, როგორც იქამდე ე.წ. „ოსეთის სულიერ კომისიას“⁸¹. ცნობილია, რომ სწორედ ქრისტიანობის გავრცელების საზოგადოებამ თავისი გამოცემებითა და დოკუმენტებით ნელ-ნელა დაამკვიდრა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“⁸², რომელიც პირველად 1830-იან წლებში ჩნდება. მათი ოფიციალური მიზნები კეთილშობილური იყო: ეკლესიების შეკეთება ან აშენება. ეკლესიებთან კი სკოლების გახსნა, ოსური დამწერლობის მიღებას რუსული გრაფემებით, რუსული ენის სწავლება, რაც პასუხობდა ერთი მხრივ, რუსიფიკაციის პოლიტიკას, მეორე მხრივ ქართულ მინაზე ოსური მოსახლეობის მომძლავრებას, მათ თვალში ნდობის მოპოვებასა და დასაყრდე-

80 აქამდე კი, XIX ს-ის პირველ ნახევარში არსებობდა „ოსეთის სულიერი კომისია“, ასევე რუსეთის მთავრობის მიერ შექმნილი.

81 3. Абасиадзе, Осетинская духовная комиссия и просвещение Осетии. <http://www.pravenc.ru/text/168201.html>

82 ს. ლეკვაშვილი. როდის გაჩნდა ტერმინი “სამხრეთ ოსეთი?” იხ. წიგნი: ოსთა საკითხი. გორი-თბილისი: პითაგორა, 1996

ნის გაჩენას.

რუსეთი დაინტერესებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე ოსური მოსახლეობის მომრავლებითა და ქართველების „გაოსებით“, რასაც აქ გამოგზავნილი ჩინოვნიკები უწყობდნენ ხელს. ჩვენ ვიცით, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ოს-დვალები ქართლის მთიანეთში ახალი შემოსახლებულები იყვნენ. ისინი ბატონიშვილი ვახუშტის აღნერის მიხედვით, იკავებდნენ დღევანელი ჯავის რაიონის ერთ ნაწილს⁸³. მაშინ იქ ოსები ცხოვრობდნენ ქართველების მნიშვნელოვან რაოდენობასთან ერთად. XIX საუკუნეში რუსი ჩინოვნიკები ცდილობდნენ აღნერების დროს, ქართული გვარები ასური დაბოლოვებით ჩაენერათ. მაგ. ბიბილური ჩანერებს ბიბილოვად⁸⁴, ხარქეაშვილები – ხარქებოვად და ა. შ. ამის გარდა, რუსეთის ხელისუფლება სპეციალური დადგენილებებით ცდილობდა პროცესის დაჩქარებას: 1852 წელს იმპერატორ ნიკოლოზ პირველის რეზოლუციის შედეგად, რომელიც მან დაადო მეფისნაცვალ ვორონცოვის წარდგინებას, ბატონყმობიდან განთავისუფლდნენ ქართლში მცხოვრები ოსი ეროვნების ყმები. ვორონცოვმა მაჩაბელს ყოველწლიური პენსიაც კი დაუნიშნა - 5 ათასი მანეთი, რომ მას ოსი ყმები გაეთავისუფლებინა⁸⁵. ოს-

83 ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 634-650

84 რ. თოფჩიშვილი, XIX ს-ის მოსახლეობის აღნერის მასალები, მნათობი, 1987, 12, გვ. 160-161

85 Тадтаев Т., Социальno-экономические и демографические процессы в Южной Осетии, 2009. დისერტაციის ავტორეფერატი წამოდგენილია ვებ-გვერზე <http://cheloveknauka.com/sotsialno-ekonomicheskie-i-demograficheskie-protsessy-v-yuzhnay-osetii> დისერტაციის ავტორი – თემურაზ თადტაევი, მოიხმობს რა აღნიშნულ ფაქტს, ნიკოლოზ პირველის მიერ 1852 წელს სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მოსახლე ოსების ყმობიდან განთავისუფლებისა და მაჩაბლისთვის გადასახადების გადახდის ვალდებულებიდან განთავისუფლების თაობაზე, მეცნიერისთვის მეტად „გულუბყვლოდ“ სწორხაზოვან ინტერპრეტაციას ახდენს. ამ ფაქტს ხსნის იმით, რომ რუსეთის „კეთილმა“ იმპერატორმა გადაარჩინა ოსები „ბოროტი“ ქართველი თავადებისგან, რომლებიც გადასახადების გადახდას სთხოვნენ მათ. თითქოს ქართველ თავადებს ქართველები „მაღალ, პრივილეგირებულ“ რასად მიაჩნდათ, ხოლო ოსები „დაბაალ“ რასად. რომ ქართველების შევინიზმი საბჭოთა კავშირის დროს ბოლშევიკებმაც ვერ აღმოვხვერეს, რომლებიც ხალხთა მეგობრობას უჭერდნენ მხარსო. ვხედავთ, რომ სამეცნიერო კვლევისა და დასკვნების ლოგიკურობის მიღმაა რუსულ-ბოლშევიკური იმპერიალიზმის სულში დაწერილი ეს ტექსტი, რომელიც 2009

ები, ბატონყმობის საყოველთაო გაუქმებამდე გაცილებით ადრე გათავისუფლდნენ და ალმოჩნდნენ პრივილეგირებულნი, რადგან ისინი თავისუფალი სახაზინო გლეხები გახდნენ და შეეძლოთ დასახლება სახაზინო მიწებზე. ეს საშუალებას აძლევდა მათ საქართველოს სხვა რეგიონებშიც განსახლებულიყვნენ. საინტერესოა, რომ 1886 წლის აღნერის მონაცემებით, ცხინვალში და ახალგორში ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ ოსები. თუმცა ამავე აღნერით დასტურდება, რომ ბარის სოფლებში უკვე ათეული წლის წინ ჩამოსახლებულან ოსები, რომელთაც ადგილობრივები „ხიზნებად“ მოიხსენიებდნენ⁸⁶. ეს ყმობისგან გათავისუფლებული ოსები იყვნენ, რომელთაც სახაზინო მიწებზე დასახლების უფლება და სხვა პრივილეგიები უკვე 1850-იან წლებში რუსეთის ხელისუფლების ხელშეწყობით მიიღეს. ისე ჩანს, რომ ქართველი ყმა-გლეხებისთვისაც ოსობა სასურველი გახდა.

თავის საქმეს აკეთებდა რუსული საეგზარხოსოც: ოსურ მოსახლეობას აქრისტიანებდა, ნათლავდა მათ; მონათლულებს კი ურიგებდა საჩუქრებს და ფულად ჯილდოს აძლევდა. არსებობს იმდროინდელი მღვდლების ჩანაწერები. მაგალითად, მღვდელი ალექსეი გატუევი წერს: „1817 წლიდან ოსეთში მღვდლები ქრისტიანობას ავრცელებდნენ ძალით ან ფულის დარიგების გზით“⁸⁷. მღვდელი ნიკოლაი სამარგანვი კი ასეთ საინტერესო ამბავს ყვება: მოინათლა 5 ათას ადამიანზე მეტი, ყველამ საჩუქრად მიიღო ვერცხლის ჯვარი, ქსოვილის ნაჭერი, სარკე, მაკრატელი. „ამ საჩუქრების მიღების სურვილი ისეთი დიდი იყო, რომ ზოგი რამდენჯერმე მოინათლა. ამისთვის ისინი სახელს იცვლიდნენ და სხვა ადგილზეც კი მიდიოდნენ“⁸⁸.

საჩუქრებით, ფულადი ჯილდოებით, პრივილეგიებით, რომ-ლებსაც ქართლში მცხოვრებ ოსებს ხელისუფლების დაგენილებები აძლევდა, რუსები მოიპოვებდნენ ოსების სიმპათიებს. როგორც ჩანს, მთიელი ქართველების გარკვეული ნაწილი ამ პრივილეგის მიღების მიზნით ოსებში ენერებოდნენ და ინათლე-

წელსაა გამოქვეყნებული ინტერნეტში.

86 რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 160-161

87 Гагуев А. Христианство в Осетии. Владикавказские ЕВ. 1900. № 12, С. 188

88 Скитский Б. В. Очерки об истории осет. народа с древнейших времен до 1867 г. // Изв. Сев.-Осет. науч.-исслед. ин-та. 1947. Т. 10, С. 180-191

ბოდნენ თავიდან. საინტერესოა, საფლავის ქვების წარწერები ამ პერიოდში. თუ ძველ ქვებს აწერია გვარები – ჯიოშვილი, თიგიშვილი, გასიშვილი, ფილიშვილი, მოგვიანებით, საფლავის ქვებზე იგივე გვარების ახალი ვარიანტებია მოცემული: ჯიო-ევი, თიგიევი, გასიევი, ფილიევი. საფლავებზე დაფიქსირებული გვარების ორივე ვარიანტზე წერს იოსებ მეგრელიძე, რომელმაც საფლავის წარწერები წაიკითხა და გამოაქვეყნა⁸⁹.

შემდგომ ამას დაემატა „მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება, რომლის გამოცემებში დამკვიდრდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“. „კავკასიაში მარლომადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება“ დაარსდა 1860 წელს, იმ-პერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანებით. იდეა ეკუთვნიდა კავკასიის ნამესტნიკს 1856-1862 წლებში, ალექსანდრე ბარიატინსკის. ეს საზოგადოება ოფიციალურად მისიონერულ საქმიანობას ისახავდა მიზნად. როგორც ითქვა, საზოგადოება მთის რეგიონებში აშენებდა ეკლესიებს და ზოგან იქვე ხსნიდა სკოლებს. საზოგადოებამ 1917 წლამდე იარსება და ყოველწლიურად გამოსცემდა ანგარიშს მათი საქმიანობის ამსახველი მასალით.

ეს ანგარიშები ჩვენთვის მნიშვნელოვანი წყაროა, რადგან ზოგიერთი მათგანი ასაშენებელი ეკლესიების პროექტებს შეიცავს. მათ შორის არის თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიები. პროექტები ნახაზების გარდა, შეიცავენ სხვა ინფორმაციასაც: რამდენ კაცს დაიტევს ეკლესია, რა ჯდება მისი აგება. ეს ნახაზები 1865 წლის ანგარიშშია დაბეჭდილი⁹⁰. ეკლესიების პროექტების ავტორი, რომლის გვარიც, სამწუხაროდ, აქ არაა მითითებული, თავისუფალი ჯვრის ტიპის რამდენიმე ვარიანტის პროექტს იძლევა. განსხვავება მოცულობაში, გაფორმების დეტალებსა და მშენებლობის ხარჯებშია. ყველა მათგანს აღმოსავლეთით ღრმა, გარედან შვერილი და დანახნაგებული აფსიდი აქვს; სამ მკლავში ცენტრალურ ღერძებზე გაჭრილი კარებებით და მათ წინ კარიბჭე-პირტიკებით წარმოგვიგებიან. არის ასევე ჩანერილი ჯვრის ტიპის გეგმაც, რომელსაც იგივე მახასიათებლები

89 ი. მეგრელიძე, სიმველეები ლიახვის ხეობაში, 1984, გვ. 234-235.

90 Отчет общества возстановления православного християнства на Кавказе за 1864 год Тифлис 1865.

აქვს: აღმოსავლეთით დრმა, გარედან შვერილი და დაწახნაგებული აფსიდი, ხოლო დანარჩენ, სამივე მკლავში კარია გაჭრილი, რომელთა წინაც პორტიკებია განთავსებული.

როგორც ეტყობა, აღნიშნული პროექტების ავტორი იცნობს ქართულ ხუროთმოძღვრებას და ეკლესიებს ადგილობრივი არქიტექტურისთვის დამახასიათებელ იერს აძლევს. ჩვენ აქ ვხედავთ რუსული არქიტექტურისთვის სახასიათო დეკორის ელემენტსაც – კარნიზის ქვეშ გაყოლებულ „კბილანებს“, თუმცა მთლიანობაში უფრო მეტია თავისებურება, ადგილობრივი ხუროთმოძღვრების გათვალისწინებას რომ გვიჩვენებს: ქართული არქიტექტურის ადრეული ეტაპებისთვის ნიშანდობლივი, შედარებით „დამჯარი“ პროპორციების გარდა, ის გუმბათის ყელზე თაღედს ათავსებს, ერთ პროექტზე პორტიკების ბურჯებს შეწყვილებული ნახევარკოლონებით რთავს. მათ, თავის მხრივ, სფეროსებრი ბაზისებითა და კაპიტელებით აფორმებს, რამაც შეიძლება განვითარებული შუა საუკუნეების დეკორატიული ნახევარკოლონები მოგვაგონოს. უცნაურად ჩანს, ამ პროექტებში ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ფორმების მიბაძვა: ჩვენ ვიცით, რომ სხვაგან, მაგალითად, თბილისში, რუსული საეგზარხოსო სულაც არ ცდილობდა საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში ადგილობრივი, ქართული ათასწლეულებგამოვლილი არქიტექტურის ტრადიცია გათვალისწინებულიყო. პირქით, ხაზგასმულად რუსული ტაძრისთვის სახასიათო ფორმებით აშენებდა ახალ ეკლესიებს (თბილისის ეკლესიები წმ. მიხეილ ტვერელის ტაძარი, ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი, იოანე ლვთისმეტყველის ეკლესია). ისიც ხომ ვიცით, რომ საეგზარხოსო ქართველ წმინდანებს არ აღიარებდა: გააუქმეს წმ. მეფე თამარის, დავით აღმაშენებლის, ქეთევან წამებულის და სხვათა მოსახსენებელი ლიტურგიკის ჩატარების ტრადიცია, მხოლოდ წმ. ნინოს ხსენება შენარჩუნდა. წმ. აბო თბილელის ეკლესია მეტების ხიდთან კი წმ. მიხეილ ტვერელის სახელზე აკურთხეს⁹¹.

ამ ფონზე საკითხავია, რამ გამოიწვია, ქრისტიანობის გავრცელების საზოგადოების მხრიდან ეკლესიების ისეთი პრო-

91 3. Абасиадзе, Осетинская духовная комиссия и просвещение Осетии. <http://www.pravenc.ru/text/168201.html>

ექტების მიღება, რომელიც ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებს მოგვაგონებს? საფიქრებელია, აქ იგივე მიზეზი იყო, რის გამოც მონათლულებში ფულის და საჩუქრების დარიგება ხდებოდა – ფსიქოლოგიური ზემოქმედება: ეს ეკლესიები ხომ გააზრებული იყო, როგორც რუსიფიკაციის ერთ-ერთი საშუალება. საქართველოს მოსახლეობისთვის ახლობელი, ადგილობრივი ფორმებით რუსეთის პოლიტიკისთვის სასურველის მიწოდება, მთის მოსახლეობის ნდობის მოპოვება, მათთან დაახლოება და ნეიტრალიზება უნდა ყოფილიყო.

პროექტებში წარმოდგენილი გეგმებისა და არსებული ეკლესიების გეგმების შედარება თავდასაჩინოდ გვაჩვენებს, ზემოაღნერილი ეკლესიებისა და ამ ნახაზების დიდ მსგავსებას. თუმცა ეკლესიები ხშირად უფრო გამარტივებული სახით არის აგებული. მაგალითად, გუმბათის ყელი ყველა პროექტზე მრავალნახნაგაა მოცემული, შემორჩენილ ეკლესიებზე კი, რომლებზეც ჩვენ ინფორმაციას ვფლობთ, ყველგან, რვანახნაგა გუმბათის ყელი გვაქვს. დეკორატიული თაღედის არსებობა გუმბათზე შეგვიძლია მხოლოდ ნაქალაქევის ეკლესიაზე დავაფიქსიროთ, სხვა, შემორჩენილ გუმბათებზე, ის უარყოფილია. იგივე ითქმის არქიტექტურულ და დეკორატიულ ელემენტებზე (პილასტრები გუმბათქვეშა კუთხეებთან, კარიბჭეთა პორტიკების ნახევარსვეტები, სფერული კაბიტელები, „კბილანები“), რომელთაც მხოლოდ პროექტებზე ვხედავთ და ტაძრებზე კი არ გვაქვს.

ამდენად, არსებული მასალა მიგვითითებს, რომ XIX საუკუნის თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიების ერთი ჯგუფი (შამბიანი, ნაქალაქევი, მაღაროსკარი და სხვა) კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების ზემოაღნიშნული საზოგადოების ორგანიზებით აშენებული უნდა იყოს. შესაძლოა, მათ მშენებელ-ხელოსნები ადგილობრივი მოსახლეობიდან შეარჩიეს. თუმცა არქიტექტურული კომპოზიცია ადასტურებს, რომ ისინი 1865 წელს გამოქვეყნებული პროექტების მიხედვით არის აშენებული. ჩვენ ისიც შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ასეთი ეკლესიები შემორჩენილია საქართველოს მხოლოდ მთიან რეგიონებში, ანუ იქ, რომელი გეოგრაფიული მონაკვეთიც აღნიშნული საზოგადოების მოღვაწეობის ძირითადი არეალი იყო.

ლიტერატურა

- თოფჩიშვილი რ., XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის მასალები, მნათობი, 1987, 12, გვ. 160-161
- ლეკიშვილი ს., როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი?“ იხ. წიგნი: ოსთა საკითხი. გორი-თბილისი, 1996
- მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, 1984.
- საქართველოს ისტორიისა და კუტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ. 2008.
- შიდა ქართლი, I, თბილისი, 2002.
- ქართლის ცხოვრება ტ. 4: აღწერა სამეფოსი საქართველოსა: ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ვაუმტი ბატონიშვილი. თბ. 1973
- 3. *Абашидзе*, Осетинская духовная комиссия и просвещение Осетии. <http://www.pravenc.ru/text/168201.html>
- Отчет общества возстановления православного християнства на Кавказе за 1864 год Тифлис 1865.
- Гатуев А. Христианство в Осетии. Владикавказские ЕВ. 1900. № 12, С. 188
- Скитский Б. В. Очерки об истории осет. народа с древнейших времен до 1867 г., Изв. Сев.-Осет. науч.-исслед. ин-та. 1947. Т. 10, С. 180-191

ნაქალაქევისა და შამბიეთის ფოტოები და ნახაზები გამოყენებულია წიგნიდან „შიდა ქართლი“, I, თბილისი, 2002. სხვა ნხაზები წიგნიდან „საქართველოს ისტორიისა და კუტურის ძეგლთა აღწერილობა“, ტ. 2, თბ. 2008.

მურთაზ ურიდია
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის სამინისტროს,
კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური

1000 წლის გაუჩინარებული ისტორიისა და კულტურის ძეგლის კვალდაკვალ ...

(მსჯელობა იმპერატორ იუსტინიანეს მიერ აბაზებთან
აგებული ერთი ტაძრის შესახებ)

ეს ისტორია ასე იწყება:

1978 წელს გუდაუთის რაიონ სოფ. ლიხნში ჩაქართველოს ცკის პირველ მდივანს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს სოხუმის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა გიორგი ძიძარიამ აფხაზი ხალხის სახელით სთხოვა აღედგინათ იქვე, ლიხნის ცნობილი მინდვრის განაპირას ნანგრევებად მდგარი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ტრაგიული პიროვნების მიხეილ შერვაშიძის სასახლე. აფხაზები სასახლეში მიხეილ შერვაშიძის მემორიალური სახლ-მუზეუმის მოწყობას აპირებდნენ. საქმის ორგანიზება დაევალა საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსს ბ-ნ ირაკლი ციციშვილს.

შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. მე როგორც სოხუმიელ რესტავრატორს დამევალა საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელობა და სასახლის რესტავრაციის პროექტის მომზადება (კონსულტანტი ქ-ნი რუსუდან გვერდნითელი).

ობიექტის დათვალიერებისას შერვაშიძეების სასახლის ორსართულიან კედლებზე ნათლად იყითხებოდა სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენები, განსხვავებული ხასიათის კედლების წყობითა და სამშენებლო მასალით. თავიდანვე ჩანდა, რომ სასახლე რთულ ნაგებობას წარმოადგენდა დიდი ოდენობის მიშენება-ჩაშენებებით და გადაკეთებებით.

1978-83 წლებში ძეგლზე ჩატარებულმა კომპლექსურმა კვლევებმა (ძეგლზე ერთობლივად ვმუშაობდით არქიტექტორები

და არქეოლოგები) დაადგინა, რომ სასახლე სავარაუდოდ სამი ძირითადი სამშენებლო ფენისაგან შედგებოდა, რომელთაც დროის სხვადასხვა პერიოდში სამი სხვადასხვა არქიტექტურული სახე და დანიშნულება ჰქონდა. არქეოლოგიურმა მასალებმა მრავალი უპასუხოდ დარჩენილი კითხვებიც გააჩინეს რომელთა უმეტესობა ძირითადად ნაგებობის უძველეს ფენებს ეხებოდა და ამგვარად მნიშვნელოვანი იყო ამ კუთხისა და სასახლის ისტორიისათვის.

დადგინდა, რომ სასახლეში სამი სხვადასხვა პერიოდის ნაგებობათა ნაშთია შემორჩენილი:

1. ბოლო პერიოდის სამშენებლო ფენა ორსართულიან სასახლეს წარმოადგენს, რომელიც XIX ს-ის დასაწყისში აშენდა. ნაგებობის გეგმა დაბალფეხებიანი II პე-ასოს ფორმისაა. მისი გაბარიტული ზომების სიგრძე 27,0 მ; სიგანე 23,0 მ.; შემორჩენილი სიმაღლე 9,0 მ; ათ-ათი ოთახით პირველ და მეორე სართულზე, 8 ბუხარი ორივე სართულზე. სასახლეს გარს უვლიდა ხის ბოძებზე შემდგარი აივანი, რომლებიც სასახლის მხატვრულ სახეს ჰქონიდნენ ხის დეკორატიული მორთულობებით.
2. ბოლოსწინა პერიოდის საამშენებლო ფენა წარმოადგენდა ერთსართულიან, დიდი ზომის დარბაზს (X – XI ს-ები). დარბაზის გრძივ სიმეტრიის ღერძზე ორი მასიური სვეტი იდგა, რომლებზეც სახურავის ხის კონსტრუქცია ეყრდნობოდა. სასახლეს საინტერესო დეკორატიული მორთულობები აქვს ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ ფასადებზე. ესენია კედლის თაღებიანი მონაკვეთი, სვეტი-პილასტრები მარტივი ფორმის კაპიტელებით. კაპიტელს ზემოთ ემბლემებით: ა) ექვსქიმიანი ვარსკვლავით ცენტრში ჩაკვეთილი ტოლმკლავები ჯვრით და ბ) რომბი, ცენტრში ჩაკვეთილი ტოლმკლავება ჯვრით. ემბლემები და კედლის თაღები შესრულებულია აგურის კედლის ფონზე აგურისავე მასალით. კედლის თაღში შემორჩენილია ვიწრო და მაღალი სარკმლის ფორმა (ამჟამად ამოშენებული). სარკმლის თავზე ტოლმკლავება ჯვრებია მოწყობილი.

ასეთივე სახის მორთულობაა სასახლის სამხრეთ დასავლე-

თით მოწყობილ გუმბათოვანი კარიბჭის ფასადზეც. იხ. ფოტო.

კარიბჭის ღიობი გაფორმებულია ორი ცალი სვეტი-პილონით, რომლებზეც გადაყვანილია ტრიუმფალური თაღი აგურის წყობით და ა.შ. (იხ. ფოტო).

სამშენებლო მასალებიდან გამომდინარე ვფიქრობთ ეს ერთ-სართულიანი შენობა X-XI ს-ებში აშენებული იმ პერიოდში, როდესაც ლიხნის მინდოოში X-XI ს-ის ღვისმშობლის მიძინების სახელობის გუმბათიანი ტაძარი აშენდა. ზოგიერთ მასალათა და არქიტექტურულ ფორმათა იდენტურობა გვაფიქრებინებს, რომ ეს ნაგებობა მღვდელმთავრის საცხოვრებელს წარმოადგენდა.

შარვაშიძეების სასახლის უძველესი, ანუ თავდაპირველი ფენა წარმოადგენს თ-ტესებური გეგმის მქონე ნაგებობას. ნაგებობათა ორი მკლავის გადაკვეთისას მიიღება ძალიან პატარა ზომის მეოთხე მკლავი.

გამოვლენილია ამ ნაგებობის საძირკვლის დიდი ნაწილი და კედლები, რომლებიც ზოგან პირველი სართულის მთელს სიმაღლეზეა შემორჩენილი.

ეს კედლები მოგვიანებით შემდეგდოინდელ ნაგებობათა სამშენებლო ფენებში ჩაერთო, რის გამოც დღემდე ვერ ხერხდებოდა მისი აღქმა (იგი ამ გვიანდელ ნაგებობათა ნაწილად აღიქმებოდა).

ნაგებობა გეგმით „თავისუფალ ჯვარს“ წარმოადგენს, მცირე ზომის „ზედა“ მკლავით (ქრისტეს ჯვარცმის ჯვარი); ჯვრის გაბარიტული ზომებია: სიგრძე – 23,0 მ; სიგანე – 23,0 მ. შემორჩენილი სიმაღლე \approx 5,0 მ.

საქართველოში ამ ნაგებობას ანალოგი არ გააჩნია. ყოველ შემთხვევაში დღემდე ვერ მივაგენით.

მის ანალოგიას მივაკვლიერ იტალიის ქალაქ რავენაში. ესაა რავენას ცნობილი ადრესისტიანული პერიოდის ტაძარი – „სან-ტა კროჩეს“, ანუ წმინდა ჯვრის სახელობის ტაძარი, რომელიც აშენებულია V ს-ის შუა წლებში.

ცნობილია, რომ აბაზგებმა იმპერატორ იუსტინიანეს დროს VI ს-ში მიიღეს ქრისტიანობა „... მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელთმ-სახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრის-

ტიანო წესები“. გეორგიკა ტომი II, წიგნი VIII ომი გუდებთან გვ. 220-221.

VI საუკუნის შუა წლებში, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინი-ანეს დროს (527- 565 წ.წ.), აბაზებმა მიიღეს ქრისტიანობა. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ახალგაქრისტიანებულ აბაზებს იუსტინიანემ აუგო ტაძარი, ღვთისმშობლის სახელზე, გაუგზავნა მღვდლები და ზრუნავდა მასზე, რომ მათ აბაზები-სათვის ესწავლებინათ ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი.⁹²

ამ ამბავს გადმოგვცემს იმპერატორ იუსტინიანეს თანამე-დროვე პირი, ბიზანტიის იმპერიის კარის ცნობილი ისტორიკოსი და მემატიანე პროკოპი კესარიელი.

ამ ცნობას თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებენ მომდევნო საუკუნეების ავტორები.

მაგრამ წყაროებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ სად აშენდა ეს ტაძარი, ამიტომ დღემდე უცნობია მისი ადგილსა-მყოფელი. იგი ამჟამად დაკარგულად ითვლება.

მეცნიერები დიდი ხანია ეძებენ ამ ტაძარს. მკვლევარები ხან რომელ ტაძარზე იტყვიან იუსტინიანეს აგებულია, ხან რომელზე, მერე ამას ვერ ასაბუთებენ და ტაძრის პოვნის მცდ-ელობები ახალვერსიებად რჩება. აი, იმ „ერთადერთ“ ტაძრის მისამართები, რომელიც თითქოს იუსტინიანემ აუგო აბაზებს გაქრისტიანებასთან დაკავშირებით, ესენია: გაგრის სამეცნიერო ბაზილიკა, განთიადის სამნავიანი ბაზილიკა, ბიჭვინტის ღვთისმშობლის სახელობის გუმბათიანი ტაძარი, ანაკოპის ბაზილიკა, სებასტოპოლისის ბაზილიკა და სხვა.

ბოლო პერიოდში (XVIII-XIX სს-ები) დამკვიდრდა აზრი, რომ იუსტინიანეს მიერ აბაზებთან აგებული ტაძარი პროკოპი კე-სარიელის ინფორმაციის თანახმად-ბიჭვინტის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარია! დანვრილებითი კვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პროკოპის არსად არ უწერია ასეთი რამ.

...მერე „თქვეს“ ამას გვიანდელი ავტორები ადასტურებენო...

არც ეს აღმოჩნდა მართალი! არავინ ადასტურებს ამას, არც პროკოპის თანამედროვე და არც მომდევნო საუკუნის ავტორები

92 „მოგზაურობა კავკასიის გარშემო“ დენკევიჩ-პუშჩინა სოხუმი, აბგიზ“. 1937 წ. გვ. 106-111.

(ყოველ შემთხვევაში XVIII საუკუნემდე!);

საბოლოოდ გაირკვა, რომ ბიჭვინთის ტაძრის სტილი X საუკუნეშია ჩამოყალიბებული და იუსტინიანე მას VI ს-ში ვერ ააშენებდა.

ამის მერე დაიწყეს მტკიცება, რომ ბიჭვინთის დღევანდელი ტაძრის ადგილას მანამდე სხვა ნაგებობა იდგა, რომელიც იუსტინიანემ აუგო აბაზგებს გაქრისტიანებასთან დაკავშირებით, ... დღევანდელი ბიჭვინთა კი ამ ნაგებობის რეკონსტრუქციის შედეგია, რომელიც მას თითქოსდა X-XI საუკუნეებში ჩაუტარდა.

არც ეს გამოდგა სწორიაზრი!

ბიჭვინთის ტაძარზე ადრინდელი ფენების კვალი არ შეინიშნება.

მკვლევარებმა სცადეს აბაზგების განსახლების ადგილებში მოეძებნათ ეს ტაძარი, მაგრამ აქ მეორე პრობლემას წააწყდნენ. საქმე ის არის, რომ დღემდე უცნობია (საკამათოა) კონკრეტულად რომელ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ აბაზგები.

... ამ კვლევა ძიებაში გავიდა საუკუნეები, იუსტინიანისეული ტაძარი კი ვერ გამოვლინდა. ძიებამ შედეგი ვერ გამოიღო, ... ალმოჩნდა, რომ ამ ტაძრის მისაგნებად საჭირო მონაცემები ძალზე მწირია, ... და შეიძლება ითქვას თითქმის არ არსებობს! ისტორიას არ შემოუნახავს წერილობითი ინფორმაცია, რომელიც მიგვანიშნებდა მის ადგილსამყოფელს. ზეპირიგადმოცემაც დუმს ამ ტაძრის შესახებ.

ზოგჯერ ჩნდება ეჭვი, აშენდა კი ეს ტაძარი?!

ტაძარი რომ აშენდა – უეჭველია! ამის სასარგებლოდ მეტყველებენ საკმაოდ სარწმუნო ფაქტები, მაგალითად: – ტაძრის მშენებლობა დაკავშირებულია ისეთ რეალურ ისტორიულ ფაქტთან, როგორიცაა ქრისტიანობის გავრცელების პროცესი მსოფლიოში, რომელმაც კოლხეთის ეს პატარა კუთხეც- აბაზგიაც მოიცვა VI საუკუნის შუა წლებში, ... რაც სხვა წყაროებითც დასტურდება.

ცნობილი ბიზანტიური მემატიანე – პროკოპი კესარიელი ისე რეალურადგადმოგვცემს აბაზგების ყოფა-ცხოვრებას, მათ იმუამინდელ დუხჭირ მდგომარეობას, რომ ძნელია მას არ დაუჯერო, მითუმეტეს როცა ვიცით, რომ ასეთი ვითარება იყო იმ დროს

მთელს კოლხეთში.

გვიანდელი მემატიანეებიც არ გაიმეორებდნენ, ალბათ, ამ ხნის განმავლობაში პროკოპის ამ ინფორმაციას... მის „ლირებულებაში“ დარწმუნებულები რომ არ ყოფილიყვნენ.

ეს ინფორმაცია ლოგიკურადაც სავსებით რეალური ჩანს, რადგან ტაძრის მშენებლობა ბიზანტიის იმპერიის ზრახვებშიც შედიოდა, (ამით იმპერია თავის გავლენის სფეროს საზღვრებს აფართოებდა) ამისი მაგალითებია ბიჭვინტის ნაქალაქარში IV-V საუკუნეებში აგებული ეკლესიები.

და ბოლოს, ცრუ ინფორმაციას ტაძრის მშენებლობის შესახებ სხვა რომ არაფერი ვთქვათ – აზრი არა აქვს და ასეთ ტყუილს მემატიანე უბრალოდ არ მოგვაწვდიდა.

ზუსტად იმან, რომ ეს ინფორმაცია სავსებით რეალურ ფაქტს ეხება, განაპირობა კიდეც ის დიდი სურვილი ამ ტაძრის პოვნისა, რომელიც დღემდე არ განელებულა.

საუკუნეების სილრმიდან წამოსულა ეს წერილობითი ცნობა, აბაზების გაქრისტიანების შესახებ და იუსტინიანეს მიერ აქ, აბაზებთან, ლვითისმშობლის სახელობის ტაძრის აგება, ამ პატარა ერის ისტორიის ნაწილია, ჩვენს დრომდე დოკუმენტურად მოღწეული ამ ტაძრის პოვნა და ბუნებაში მისი არსებობის დაფიქსირება ამ ინფორმაციის რეალობის დამადასტურებელი თვალსაჩინო ფაქტი იქნება.

აი, ეს არის ის ძირითადი მიზეზი იმ შეუნელებელი ინტერესისა, რაც დღემდე ამოძრავებთ და არ ასვენებთ მკვლევარებს... რაც გვაფიქრებინებს, რომეს ტაძარი აუცილებლად მოიძებნება, რადგან ის სრულიად რეალურ ისტორიასთანაა დაკავშირებული.

დღესდღეობით კი საოცარია, ასე უკვალოდ როგორ გაქრა ისტორიის თვალსაწირებიდან ეს ზარ-ზემით აგებული ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობა, ანუ ის პირველი ქრისტიანული ტაძარი, რომლის მშენებლობა

დაკავშირებულია კონკრეტულად აბაზების გაქრისტიანებასთან?

ტაძრის ამდენი ხნის უშედეგოდ ძიების შემდეგ ძალაში ისევ რჩება ის კითხვა, რომელზეც დღეს პასუხს ვერც ერთი მკვლევარი ვერ იძლევა!.. სავარაუდო პასუხი კი ასეთია: იუსტინიანემ ეს

ტაძარი ბიჭვინთაში ააგო, რომელიც მოგვიანებით ჩატარებულ რეკონსტრუქციის შედეგად გადაკეთდა ბიჭვინტის დღევანდელი ღვთისმშობლის სახელობის ტაძრად.

ეს არის ზერელე და დაუსაბუთებელი პასუხი!

ბიჭვინთის ტაძარზე არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები დღემდე არ ჩატარებულა და იქ „ადრე აშენებული“ იუსტინიანესული ტაძრის კვალი არავის დაუფიქსირებია.⁹³ არავის უცდია მისი რეკონსტრუქციის პროექტის წარმოდგენა. ... ვიზუალური დათვალიერებით კი ბიჭვინტის ტაძარზე რაიმე მნიშვნელოვანი გადაკეთების კვალი და ძველი ფენის არსებობა არ შეინიშნება, ამიტომ, პასუხი, რომ იუსტინიანესული ტაძარი განადგურდა ან გადაკეთდა და მის ადგილზე დღეს სხვა ტაძარი დგას, არადამაჯერებელია და მეცნიერულად დასაბუთებული არ არის.

აი, ამ ბუნდოვან და არაფრისმთქმელ პასუხზე დღეს ძეგლის მკვლევართა მსჯელობა შეჩერებული, რომელიც ძალიან სუსტი არგუმენტია საზოგადოებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

დღის წესრიგში კი ისევ დგას იგივე კითხვა: – სად არის იუსტინიანესული ტაძარი?!...

მე, რომელსაც არასოდეს მიფიქრია ამ ტაძრის „მაძიებელთა“ სიაში ყოფნა, გასული საუკუნის 80-იან წლებში, აფხაზეთში სრულიად შემთხვევით, სულ სხვა ობიექტის კვლევისას წავანყდი ბიზანტიური სტილის ადრექტისტიანული პერიოდის ტაძრის ნაგრევების ნაშთს. მსგავსი გეგმარების საკულტო ნაგებობა საქართველოში დღემდე არ დაფიქსირებულა... ვფიქრობ, ეს აღმოჩენა ახლო მომავალში, ამომწურავ პასუხს გასცემს შემდეგ კითხვებს:

1. სად აშენდა იუსტინიანესული ტაძარი.


2. როგორი იყო ამ ტაძრის არქიტექტურა.

93 ვფიქრობ, ბიჭვინტის ღვთიმშობლის სახ. ტაძრის არქეოლოგიური კვლევა ვერ გამოავლენს იქ იუსტინიანისეულ ტაძარს, რადგან იქ, სადაც იუსტინიანემდე 200 წლით ადრე, კონსტანტინე დიდის დროიდან უკვე იდგა ეკლესიები (ბიჭვინტის ნაქალაქრი) იუსტინიანე აბაზგებს (ცალკე ეკლესიას არ აუგებდა და ცალკე მღვდლებს არ გაუგზავნიდა... იგი, უბრალოდ, ბიჭვინტელ მღვდლებს დაავალებდა მათ მონათვლას! რაც პროკოპის ინფორმაციას ეწინააღმდეგება.


3. გააჩნია თუ არა მას ანალოგიები.
4. როგორ გაქრა თვალთახედვის არედან ეს ტაძარი.
5. სად იყო აბაზგების განსახლების არეალი VI ს-ში.

დღეს ჩემს ხელთ არსებული სამეცნიერო-კვლევითი მასალები: არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები (ჩემს მიერ შესრულებული), არქეოლოგიური კვლევის დასკვნები (აფხაზეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შესრულებული), ფოტო-დოკუმენტური მასალები და საარქივო წერილობითი მასალების დიდი ნაწილი მაძლევს შესაძლებლობას კამერალურად, (ძეგლზე გაუსვლელად) დასაბუთებული პასუხი გავცე ზე-მოთალნიშნულ კითხვებს.


ის, რაც ადრე საუკუნეების განმავლობაში დიდი სურვილისა და ძალისხმევის მიუხედავად ვერ ხერხდებოდა, ვფიქრობ, დღეს უკვე გადაწყვეტადია. ვფიქრობთ, ახლო მომავალში წერტილი დაესმება ამ ხნის განმავლობაში დაკარგულად მიჩნეული „ერთი“ ისტორიული მნიშვნელობის ძეგლის ადგილმდებარეობის დადგენის და გამოვლენის მრავალსაუკუნოვან სურვილს.



XIX საუკუნის შერვაშიძეების სასახლის I სართულის გეგმა



XIX საუკუნის შერვაშიძეების სასახლის II სართულის გეგმა



X-XI საუკუნის სასახლის გეგმა



VI საუკუნის ტაძრის გეგმა



რავენას სანტა-კროჩეს ტაძრის (რეკონსტრუქცია)



შერვაშიძეების სასახლე



სასახლის I სართულის
ინტერიერი, VI საუკუნის
კედლის ნუობა



კარიბჭის დეკორატიული
აფრა



X-XI საუკუნის სასახლის
კარიბჭე



ბუხარი



XI საუკუნის ბუბარი |
სართულზე



XI საუკუნის სვეტის
ბაზა



XIX საუკუნის შერვაშიძეების სასახლის ფოტო
ფრანგული ჟურნალიდან

რეზო ხვისტანი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაგიდის სამაროვანი

იმ დიდძალ კულტურულ ფასეულობათა შორის, რაც აფხაზე-თის ბოლოდროინდელმა, ცნობილმა ტრაგედიამ შეინირა, განსა-კუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ფიჩორის ბაზაზე დაცული უახლესი არქეოლოგიური კოლექციები, რომელთა ნაწილი კამერალურადაც კი არ იყო დამუშავებული.

ოკუპირებულ აფხაზეთში არც არქეოლოგიური ძეგლები არის დაცული. სამწუხაროდ მათი ნაწილი იძარცვება და ჩვენი ქვეყნის უძველესი ისტორიის რეკონსტრუქციისათვის მნიშვნელოვანი არ-ქეოლოგიური მასალა უცხოეთში გაედინება.

ბოლო წლებში ე.ნ. „შავ ბაზარზე“ გაიყიდა ბრინჯაოს ნივთების ძვირფასი კოლექცია (შუბისპირები, სატევრისპირები, გრძელყუნწიანი ისრისპირები, ყუამილიანი ცულები, დისკოსე-ბრთავიანი საკინძეები, დუგმები, საკიდები და სხვ.), რომლის მცირე ნაწილი ჩვენი ქვეყნის მუზეუმებში მოხვდა, დიდი ნაწილი ალბათ უცხოეთში იქნა გატანილი. მკვლევართა მიერ ჩატარებული ინტენსიური ძიების შედეგად საბოლოოდ დაზუსტდა, რომ აღნიშნული ბრინჯაოს მასალა განძის მაძიელებებმა გალის რაიონის სოფელ გადიდას ზღვისპირა ზოლში, ადგილ „ნაჭკადუ“-ში „მოიპოვეს“.⁹⁴

აღნიშნულ კოლექციაში შემავალი ნივთების შემცველობამ და მისმა მრავალსახეობამ მკვლევარებს უფლება მისცა დაე-

94 გ. ფხავაძე, მ. ბარამიძე. ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი გალის რაიონში. – ძიებანი, დამატება VI, 2001, გვ. 125-128; რ. ხვისტანი, ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, კ. ფიფუა. შეუა ბრინჯაოს ხანის შემთხვევით არქეოლოგიური აღმოჩენა (მათივე ბრინჯაოს ხანის ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა მდ. ენგრუსი აუზიდან, – საისტორიო ძიებანი“, კ. 2002 გვ. 237-243); მდ. ენგურის აზუში. – საისტორიო ძიებანი, 4, 2001, გვ. 203-208. ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, რ. ხვისტანი. შეუა და გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენა გალის რაიონის სოფელ გაგიდაში. – ძიებანი, №13-14, 2004, გვ.74-82.

სკვნათ, რომ გაგიდას ბრინჯაოს ხანის მასალები დანგრეული (გაძარცული) სამაროვნის (სამარხის) კუთვნილებად ჩაეთვა-ლათ.⁹⁵ რადგან ცნობილი მიზეზების გამო ქართველი მკვლევა-რებისათვის შეუძლებელია აღმოჩენის ადგილის დათვალიერება, ბოლომდე გაურკვეველი რჩება რა ტიპის სამარხებთან ან სა-მარხთან გვაქვს საქმე⁹⁶.

ქვემოთ მოცემულია გაგიდას კოლექციაში შემავალ ნივთების აღწერილობა, ტიპოლოგიურ-შედარებითი ანალიზი და დათარი-ლება. კოლექციაში შემდგევი სახის ნივთებია წარმოდენილი:

1.13 სხვადასხვა ზომის მკვეთრქედიანი, მასრაგახსნილი და მოკლემასრიანი შუბისპირი (ტაბ. I, II₁₋₅). ზოგიერთს გახსნილი მასრა წვერამდე გასდევს, უმრავლეობისა კი, ქედს უერთდება. ყველა მათგანი ნაჭედია, ახასიათებს სამკუთხა მოყვანილო-ბის პირი, მომრგვალებული და დაშვებული მხრები. ზოგიერთი შუბისპირი გვერდებზე ნაკლულია.

კოლხეთის დაბლობზე როგორც ქედიანი ასევე უქედო ბრინ-ჯაოს შუბისპირები (მხედველობაში გვაქვს მათი ჩამოსასხმელი ყალიბები) სათავეს იღებს ძვ.ნ. III ათასწლეულის დასასრულს და ძვ.ნ. II ათასწლეულის დასაწყისში (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VIII-VII კულტურული ფენა).⁹⁷ გაგიდას შუბისპირები ტიპოლოგიურად განსაკუთრებით ახლოს დგას ფიჩორის ნა-მოსახლარის VII ფენაში მიკვლეულ მკვეთრქედიან და მასრიან შუბისპირთან (ყალიბის მიხედივთ),⁹⁸ რომელიც შუაბრინჯაოს საწყისი პერიოდით თარიღდება. ცალკეული დეტალების მიხედ-ვით გარკვეული მსგავსება შეინიშნება მოდინახეს (შუაბრინჯაოს ხანის სამარხები), თლიას (უადრესი კომპლექსები) წალვლის, ბრილის, ნულისა და მესხეთ-ჯავახეთის შუაბრინჯაოს ხანისა და

95 ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, რ. ხვისტანი. შუა და გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენა... გვ. 74.

96 იქვე.

97 ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია, თბ., 1997, გვ. 83, 20, გვ. 100.

98 ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ძვ.ნ. III-II ათასწლეულის ნამოსახლარები. სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი. თბ., 2002 ტაბ. ჩIV3.

გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდის შუბისპირებთან⁹⁹. მოყვანილი პარალელების გათვალისწინებით დასაშვებად მიგვაჩნია გაგიდას შუბისპირების განსაზღვრა ძვ.წ. 11 ათასწლებულის შუახანებით (დაახლოებით ძვ.წ. XVI-XV სს-ები).

2. გაგიდის კოლქციაში ბრინჯაოს 10 სატევრისპირია წარმოდგენილი (ტაბ. II₁₋₁₀). ყველა მათგანი ნაჭედია. მათში ტიპოლოგიურად შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ქვეტიპი. გვხვდება ყუნიანი, ასევე უქედო, ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის მაგვარი სატევრისპირები (ტაბ. IV₁₋₄). ზოგიერთ ეგზემპლარს მომრგვალებული და მრგვალებურელიანი სატარე ყუნი გააჩნია. ამ ქვეტიპის გაგიდის სატევრისპირებთან გარკვეული დეტალების მიხედვით ტიპლოგიურად ახლოს დგას ჭოლიპას ნამოსახლარის, საჩხერის ყორლანული სამარხების, თლიასა და ბრილის სამაროვნების უადრესი კომპლექსების ანალოგიური ნივთები¹⁰⁰ ზოგერითი ამ რიგის იარაღის ახლო პარალელები შეინიშნება ზემო სვანეთის (ბოგრეშის სამარხი) სატევრისპირთანაც¹⁰¹. ასევე ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VIII კულტურულ ფენაში გამოვლენილ მრავალგანყოფილებიანი (კომპინირებულ) ყალიბის ერთ-ერთ

99 გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952. ტაბ. X10-12; ლომთათიძე გ. მოდინახეს შუაბრიჯაოს ხანის სამაროვანები – არქეოლოგიური ჟურნალი, I, 2000, გვ. 5-18; მისივე, მოდინახეს შუაბრიჯაოს ხანის სამარხები. – არქეოლოგიური ჟურნალი, II, 2002, გვ. 13. რამიშვილი ალ. შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიური პრობლემები. სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998, ნახ. VIII; ფინცხავა ლ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. ბრილის სამაროვანის 1939 წ. გათხრილი №12 სამარხის დათარიღებისათვის. – ძიებანი, №8, 2001, გვ. 39-48, ტაბ 11; კუტინ ბ.ა. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию. Тб., 1949. таб. XVIII; მიკელაძე თ.კ., მუხელიშვილი დ.ლ., ხახუთაშვილი დ.ა. Итоги полевых исследований Колхидской археологической экспедиции. – ПАИ, 1977 (1980), с. 33-39. ტაბ. 93.

100 გობეჯიშვილი გ. მითით. ლიტ. ტაბ. X10-12; მურვანიძე ბ. რამდენიმე ექსპორტი ლანჩხუთის მხარეთმცოდნების მუზეუმიდან, – გურია, III, თბ., 2001, გვ. 37; ჯაფარიძე ო. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხუზე. თბ., 1961. გვ. 127; ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულის ნამოსახლარები. სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი. თბ., 2002. ტაბ. ჩVII16;

101 Чартолани Ш.Т. К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи. Тб., 1989. ტაბ. ხVII8

წახნაგზე ამოკვეთილ სატევრისპირთან;¹⁰² 3 სატევარი უყუნ-ნოდაა შემორჩენილი. ისინი ფორმის მიხედვით რამდენადმე გან-სხვავდებიან ზომით მოხსენიებულ სატევრისპირებისაგან. ორ მათგანს თითქმის თანაბარი ზომის ტანზე ბოლომდე გასდევს დაბალი ქედი. მათ ვიწრო წვერი აქვთ (ტაბ. II_{5,6}). მესამე სატ-ევრისპირი ბრტყელგანივაკვეთიანია და აქვს თანაბარი სიგანის ტანი (ტაბ. II₁₀). მომდევნო ორი სატევარი შედარებით პატარა ზომისაა (ტაბ. II_{8,9}). ერთ ეგზემპლარს თითქმის სამკუთხა მოყანი-ლობის ტანი და პირი გააჩნია, მომრგვალებული ხვრელიანი ყუნ-ნით. აქვს ვიწრო დაქანებული მხრები და ბრტყელი განივაკვეთი. მეორე სატევრისპირი გვერდებზე ოდნავ ნაკლულია. აქვს მრა-ვალხვრელიანი ვიწრო გრძელი ყუნწი, თანაბარი სიგანის ტანი, დაქანებული მხრები და დაბალი ქედი. ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით ამ ორი სატევრის პირის ზუსტი ანალო-გიები არ გაგვაჩნია.

3. გაგიდის კოლექციიდან თავისი ორიგინალური ფორმით ყურადღებას იპყრობს გრძელყუნწიანი ისრისპირები (ტაბ. III_{1,5}). ერთი მათგანი სრულადაა შემონახული. აქვს ქედიანი სამკუთხა მოყვანილობის პირი. მეორე ისრისპირი ფრაგმენტულად სამ ნაწილადაა შემორჩენილი. მრგავლდეროიანია. გააჩნია დაშვებუ-ლი მხრები და თითქმის სამკუთხა, გვერდებზე ოდნავ ნაკლული ქედიანი პირი. საქართველოს ტერიტორიაზე იდენტური ფორმის ამგვარი იარაღი არ გვხვდება. საყურადღებოა, რომ გაგიდის სა-ბრძოლო დანიშნულების ბრინჯაოს ეს ნივთები ზოგიერთი დეტა-ლის მიხედვით (გრძელი ყუნწი, მოკლე ქედიანი პირი) ემსგავსება საქართველოს ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანაში ცნობილ შუბისმაგვარ იარაღებს¹⁰³. გაგიდის გრძელყუნწიანი ისრისპირები გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდით უნდა განისაზღვროს.

4. გაგიდის მასალებში 3 ყუამილიანი ცულია წარმოდგენი-ლი (ტაბ. II₁₁₋₁₃). ერთი ნიმუში სრულადაა შემონახული, გააჩნია მრგვალხვრელიანი საშუალო ზომის ყუა, რომელიც წინა მხრი-

102 ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია, თბ., 1997. ტაბ. IX.

103 ჯაფარიძე ო. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხუზე. თბ., 1961, გვ. 159, სურ. 33, 23.

დან ოდნავ დაქანებულია. ახასიათებს მხუბუქად მოხრილი ტანი, მომრგვალებული პირით. მეორე ეგზემპლარს გააჩნია წინა მხრი-დან საჭრელი მრგვალხვრელიანი ყუა ზემოდან დატანილი განივი ქიმით (ტაბ. II₁₂). აქვს შვერილი ტანი და მომრგვალებული პირი. მესამე ყუამილიანი ცული პატარა ზომისაა. აქვს წელში ძლიერ მოხრილი ნამგლისებური მოყვანილეობის ტანი, სწორი სოლისებური ფორმის პირი (ტაბ. II₈). ამ ცულის ყუა არ არის შემორჩენილი. გაგიდის ყუამილიანი ცულები გარკვებული დეტალების მიხედვით შეხების წერტილებს პოულობს ფიჩორის ცენტრალური ბორცვის, ორბელისა და ზემო სვანეთის (მხედველობაში გვაქვს ზოგიერთი ტიპი) ამ რიგის იარაღთან¹⁰⁴. ისინი ტიპოლოგიურად უფრო ადრეული ჩანს კოლექციაში შემავალ სხვა ნივთებთან შედარებით.

ვფირიქრობთ, ყოველივე ამის გათვალისწინებით გაგიდის ბრინჯაოს ყუამილიანი ცულები განისაზღვროს ძვ.წ. II ათას-წლეულის პირველი ნახევრის შუა ხანებით (დაახლოებით ძვ.წ. XVIII-XVII სს-ები).

5. სოფ. გაგიდაში მოპოვებულ ბრინჯაოს მასალებში 4 ცალი მრგვალგანივეკეთიანი ნაჭედი დისკოსებრთავიანი საკინძი შედის, რომელსაც ღეროზე დატანილი აქვს მრგვალი ხვრელი (ტაბ. III_{2,3,4,6}). ანალოგიური საკინძები გვხვდება ბრილის (ადრეული კომპლექსები), მოდინახეს (შუაბრინჯაოს ხანის სამარხები), თლიასა და წალვლის სამაროვნებზე¹⁰⁵. სავარაუდოა, რომ გაგიდის დისკოსებრტანიანი საკინძები დათარიღდეს შუაბრინჯაოს მიწურულით და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდით.

104 ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარის (ძირითადი პრიბლებები). სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1999 გვ. 14; ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულის ნამოსახლარები. სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი. თბ., 2002, ტაბ. III; ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი, თბ. 1957, სურ. 1; ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 163.

105 ბარამიძე მ. ბრილის აკლდამა, – არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1960, თბ., 1961, გვ. 11-12; ლომთათიძე გ. ახლადაღმორჩნილი სამარხი მოდინახედან. – ნარკვევები, III, 1997, გვ. 9, სურ. VIII; ლომთათიძე გ. მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. – არქეოლოგიური ჟურნალი, II, 2002, გვ. 14; თხოვ ვ.Б. თლის მოგილის ტო, 1980, გვ. 24; თხოვ ვ.Б. ცენტRALНЫЙ Кавказ в XVI-XV вв. до н.э. М., 1977, ხურ. 218.

6. ბრინჯაოს ერთ-ნახევარი სპირალი ან აგრაფის რგოლი 3 ცალითაა წარმოდგენილი (ტაბ. IV₁₁₋₁₃). ისინი ოვალურ და მრგვალგანივევეთიანია. ბრინჯაოს ერთ-ნახევარი სასაფეთქლე ხვიებს მოქმედების დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონი გააჩნია. მიუხედავად ამისა, არქეოლოგიურ კულტურებში მაინც დგინდება მათი გავრცელების სივრცე, ზედა და ქვედა ქრონოლოგიური საზღვრები. კოლხებთში ერთნახევარი სასაფეთქლე ხვიები ჩნდება ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულით დათარილებული ფიჩორის ცენტრალური ბორცვის ნამოსახლარზე (VIII ფენა)¹⁰⁶. ასევე წარმოდგენილია იგი ადრებრინჯაოს დასასრულისა და გვიანბრინჯაოს დასაწყისის ეშერის და ოთხარის დოლმენებში¹⁰⁷.

გაგიდის ერთ-ნახევარი ხვიის რგოლები ტიპოლოგიურად ახლოს დგას ჩამოთვილი ძეგლების ანალოგიურ ნივთებთან. თან-მხებ მასალებთან ერთად ეს ფაქტი გვაძლევს საშუალებას გაგიდაში გამოვლენილი ერთ-ნახევარი სასაფეთქლე რგოლები დავათარილოთ შუაბრინჯაოს მიწურულითა და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდით.

7. გაგიდის კოლექციაში მრავალდეროიანი, სპირალურბოლოებიანი (სათვალისებური ფორმის) დუგმა 6 ეგზემპლარადაა წარმოდგნილი (ტაბ. IV₁₄₋₁₉). ისინი სხვადასხვა ზომისაა. 3 ერთეული სრულადაა შემორჩენილი, ხოლო დანარჩენზე წარმოდგენა გვექმნება ფრაგმენტების მიხედვით. ეს ნივთები შუაბრინჯაოს მიწურულსა და გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპს უნდა მიეკუთვნოს. თითქმის სინქრონულ პერიოდში იჩენს თავს ანალოგიური ნივთები მოდინახეს, ბრილის, წალვლისა და თლიას სამაროვნებზე¹⁰⁸, ასევე მესხეთ-ჯავახეთში¹⁰⁹. მრგვალგანივევეთლეროიანი სოკოსებრთავიანი საკინძი ყელდაგრეხილლეროიანია. შუა წაწილში

106 ჯიბლაძე ლ. კოლხებთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულის ნამოსახლარები. სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი. თბ., 2002, ტაბ. გXXVI16

107 ჯაფარიძე ო. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961. გვ. 222, სურ. 47; ცვინარია И.И. Новые памятники доильменной культуры Абхазии. Тб., 1990. 26, ტაბ. 288,32.

108 რამიშვილი ალ. შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიური პრობლემები. სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998. ნახ. 4651,2; თეხოვ ვ.Б. Тлийский могильник. Тб., 1980. ტაბ. 87, 99.

109 ლომთათიძე გ. ახლადაღმოჩენილი სამარხი მოდინახედან. – წარკვევები, III, 1997, გვ. 3-11.

დატანილი აქვს მრგვალი ხვრელი (ტაბ. IV₄). მეორე ლურსმნისებურთავიანი საკინძი უფრო მცირე ზომისაა. გააჩნია პრტყელი თავი, მრგვალი ღერო და ზედა ნაწილში დატანილი ხვრელი (ტაბ. IV₇).

კოლხეთის დაბლობზე ამ ტიპის საკინძები იშვიათად გვხვდება. ისინი სათავეს იღებენ შუაბრინჯაოს პერიოდიდან (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის V ფენა) და განაგრძობენ არსებობას გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანაშიც (ჩოლოქი IV ფენა, ნაოხვაუმუ III ფენა). აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ლურსმნისებური და სოკოსებურთავიანი საკინძები დასტრუდება შუაბრინჯაოს ხანაში და ფართოდ მკვიდრდება მომდევნო პერიოდში. გაგიდას მოხსენიებული საკინძები ტიპოლოგიურად ახლოს დგას როგორც კოლხეთის დაბლობზე, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ ლურსმნისებურ და სოკოსებურთავიან საკინძებთან. სავარაუდოა, რომ ისინი განისაზღვროს გვიანბრინჯაოს საწყისი ეტაპით.

კოლექციაში გვხვდება ჩვენთვის გაურკვეველი დანიშნულების მქონე, ორბურცობიანი ნივთი, რომელიც შესაძლოა კალისაგან იყოს დამზადებული (ტაბ. IV₉). ამ ნივთის მეტალოგრაფიული ანალიზის ჩატარება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

გაგიდის მასალებში ერთი მინიატურული ფორმის საკიდია წარმოდგნებილი. იგი მომრგვალებულდეროობიანია, აქვს გახვრეტილი ყუნწი. სფეროსებური დაბოლოებები ხუთი კოპითაა შემკული (ტაბ. IV₁₀). ეს ნივთიც გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდისა ჩანს.

გაგიდის კოლექციაში შუაბრინჯაოს მიწურულისა და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდის სხვადასხვა ტიპის საკინძებია წარმოდგენილი. მრგვალლეროიანი, ჯვრისებურთავიანი ორი საკინძი შუაში დატანილი ხვრელით (ტაბ. IV_{2,3}); მომრგვალებულ ღეროიანი გახვრეტილი ყუნწიანი საკინძი, რომლის სფეროსებური დაბოლოებები ხუთი კოპითაა შემკული (ტაბ. IV₁). მრგვალლეროიანი ორი საკინძი, რომელთაც ტანის ზედა და შუა ნაწილში დატანილი აქვთ მრგვალი ხვრელი. საკინძებს თავთან გააჩნია გამონაზარდები, დატოტვილია ორად და ოთხად (ტაბ. IV_{5,6}). მათ შორის ერთი საკინძი, როგორც ჩანს, ორ ნაწილადაა წარმოდგენილი (ტაბ. IV₅₋₂₀). ზედა ნაწილი დატოტვილია და ზემოდან აზის

სპირალისებური ხვეული. კოლექციაში ყველაზე გვიანდელს წარმოადგენს გაურკვეველი დანიშნულების რკინის ნივთი, რომელიც გარედან სქელი ჟანგითაა დაფარული (ტაბ. IV₈).

ამგვარად, გალის რაიონის სოფელ გაგიდაში აღმოჩენილ ბრნიჯაოს მასალის სახით მინიშვნელოვან არტეფაქტებთან გვაქვს საქმე. მვლევარები გაგიდის კოლექციას შუა და გვიანბრინჯაოს ხანით (ძვ.წ. XVIII-XV სს-ები) ათარიღებენ¹¹⁰ კოლექციაში შემავალი ნივთების სიმრავლე და მრავალფეროვნება ნათელყოფს, რომ ისინი უეჭველად სამაროვანს განეკუთვნებიან. ამ მასალის მნიშვნელობა იმითაცაა მნიშნელოვანი, რომ კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე დღემდე არ გამოვლენილა შუა და გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის სამაროვნები და მათგან მომდინარე მასალები.

R. Khvistani

RECENT ARCHAEOLOGICAL DISCOVERIES IN THE VILLAGE OF GAGIDA (GALI DISTRICT) DATING TO THE MIDDLE AND BEGINNING OF THE LATE BRONZE AGE.

(Summary)

Numerous bronze artefacts from the village of Gagida, coastal line of gali district, represent casual finds. The diversity and composition fo the bronze collection affords the authors to conclude that the archaeological material from v. Gagida comes from a collapsed (or gobbed) necropolis (or burials). The present discovery is especially noteworthy owing to the fact that no necropolis and their contents of the Middle-beginning of the late Bronze Age have been unearthed hitherto on the territory of Kolkheti Lowland.

The authors define the chronology of the collection at 18th-15th cent.
B. C.

110 ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, რ. ხვისტანი. შუა და გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის არქეოლოგიური აღმოჩენა... გვ. 76.

ფაგულების აღმრიღობა

tab. I _ 1-13. Subispirebi.

tab. II _ 1-10. satevrispirebi, 11-13. brinjaos yuamiliani culebi.

tab. III _ 1,5. grZelyunwiani isrispirebi; 2, 3, 4, 6. diskoseburTaviani sakinZebi.

tab. IV _ 1. sferosebrTaviani xuTi kopiT Semkuli sakinZi; 2, 3. jvrisebrTaviani sakinZebi; 4. sokosebrTaviani da grexilReroiani sakinZi; 5,6. mrgvalReroiani sakinZeebi, romlebsac TavTan gaaCnia orad da oTxad datovtili Sverili; 7. lursmnisebrTaviani sakinZi; 8. gaurkveveli daniSnulebis rkinis nivTi; 9. gaurkvveli daniSnulebis mqone nivTi ori burcobiT; 10. miniaturli formis sakidi; 11-13. 1,5 agrafis xviebi; 14-19. spiralurboloebiani dugmebi; 20. sakinZis fragmenti zemodan spiraluri xveuliT.

Description of the Plates and Figures

Pl. I _ I-13. Spearheads

Pl. II _ 1-10. Blades of daggers; 11-13. Tube socketed bronze axes.

Pl. III _ 1-5. Long shaft arrowheads; 2, 3, 4, 6. Discoid pins.

Pl. IV _ 1. pin with spheroid heads adorned with five bosses; 2, 3. Pin with cross-shaped heads; 4. Pin with mushroom-shaped head; 5-6. Pins with the heads, divided into two and four part projections; 7. Pin with nail-shaped head; 8. Iron item of ambiguous design; 9. An item of ambiguous design, in the shape of a female breast; 10. Tiny pendant; 11-13. agraffe coils; 14-19. Spiral shaped hooks; 20. Fragment of a pin with a spiral coil.

ტაბულები

ტაბ.







Fig. II



Год. III



Grav. IV



ემილია ალავერდოვი,
სოციალური მეცნიერებების აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ასისტენტ – პროფესორი

დარეჯან ცუცქირიძე,
ისტორიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ასისტენტ – პროფესორი

სახალხო დიპლომატიის როლი ოკუპაციის პირობებში

კონფლიქტი კაცობრიობის განვითარების თანამდევი მოვლენაა. კონფლიქტის ფენომენს ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ავტორები ცდილობდნენ ჩასწვდომობდნენ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, ჰერაკლიტეს ნააზრევი, რომლის თანახმადაც, ომი ყველაფრის მამა და ყველაფრის მეფეა. მისით ენიჭება ზოგს ღმერთად ყოფნა, ზოგს ადამიანად, ზოგს მონად... ჰერაკლიტეს მსჯელობა სამეცნიერო ლიტერატურაში კონფლიქტის ახსნის პირველ რაციონალურ მცდელობადაა მიჩნეული, კონფლიქტი საზოგადოებრივი ცხოვრების ატრიბუტად, მისი განვითარების პირობადაა წარმოდგენილი¹¹¹. ჰერაკლიტეს ნააზრევი ანტიკური ჰერიოდის კიდევ ერთმა ავტორმა ეპიკურემ გაიზიარა, რომელიც იმავდროულად მიიჩნევდა, რომ შეჯახებების უარყოფითი შედეგები ადამიანებს როდესმე მუდმივი მშვიდობის პირობებში ცხოვრებას აიძულებენ. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრება, რომ კონფლიქტის პირველ თეორიულ განსჯებს არაკონფლიქტური საზოგადოების შესახებ თვალსაზრისი დაემატა¹¹². მას შემდეგ სხვადასხვა დროისა და ეპოქის მოაზროვნეები

111 Дмитриев А. В. Конфликтология, Гардарики, МОСКВА, 2000. <http://vk.com/doc-21140581-9443871?dl=e949236fd833351fb5>

112 Дмитриев А. В. იგივე, 2000.

კონფლიქტის შესახებ იდეებს სხვადასხვაგვარად ავითარებენ, მაგალითად, მე-18 საუკუნეში კრიტიკას გამოთქვამდნენ ფრანგი განმანათლებლები. კიდევ უფრო მოგვიანებით მოსაზრებების მთელი რიგი გამოითქვა, რომელთა თანახმადაც, კონფლიქტი და შეჯახებები გარდაუვალი მოვლენაა¹¹³. სამყარო დღესაც აღსავ-სეა კონფლიქტებითა და დაპირისპირებებით. კაცობრიობის გან-ვითარების მიუხედავად, მათი რიცხვი არ კლებულობს. დროთა განმავლობაში იცვლება მხოლოდ მასშტაბები, გამოვლინების ფორმები, სახეები. მე-20 საუკუნეში, ცივი ომის დასრულების შემდეგ, კიდევ ერთხელ გაჩნდა იმედი, რომ კაცობრიობა შედარ-ებით მშვიდობიანი განვითარების ფაზაში გადავიდოდა. თუმცა, მალევე სხვადასხვა სახის რელიგიურმა, ეთნიკურმა, ტერიტო-რიულმა კონფლიქტებმა იჩინა თავი. ლია, შეიარაღებულმა კონ-ფლიქტებმა პოსტ-საბჭოთა სივრცეც მოიცვა და უამრავი ადამი-ნის სიცოცხლე შეიწირა. დროთა განმავლობაში, ლია, შეიარაღებ-ული კონფლიქტები შეწყდა, მაგრამ არ დასრულებულა. არაერთი მათგანი გაყინულ კონფლიქტში გადაიზარდა. მართალია, გაყ-ინული კონფლიქტის “პირობებში შეიარაღებული დაპირისპირება შეწყდა, მაგრამ პრობლემა მოუგვარებელი დარჩა და მისი გა-ნახლების საფრთხეები კვლავაც არსებობს.

დღეს, ცივილიზებული სამყაროსათვის, მშვიდობიანი მეთო-დებით კონფლიქტის დარეგულირება უპირობო არჩევანია. იგი მისაღებია, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რთუ-ლად მისაღწევი. დროთა განმავლობაში, სხვადასხვა ეთნო-სისა და კონფენსიის ადამიანები, ერთ დროს თანაცხოვრებას მიჩვეულნი, კულტურულ, ყოფით და მსოფლმხედველობრივ დო-ნეზე უცხოვდებიან. რთულია თანამშრომლობამდე მისასვლელი გზები, ნდობის აღდგენა, რაც უამთა სვლასა და თაობათა ცვ-ლასთან ერთად კიდევ უფრო რთულდება. შესაბამისად, ნდობის აღდგენის გზები და საშუალებებიც უფრო ბუნდოვანი ხდება. ამიტომ მეცნიერები, მკვლევრები, პოლიტიკოსები, ძალისხმევას არ იშურებენ კონფლიქტის დასრულების ალტერნატიული გზე-ბის საძიებლად. საზოგადოებაში ნელ-ნელა ფეხს იკიდებს მო-საზრება, რომ ოფიციალური დიპლომატია საკმარისი აღარაა და

113 Дмитриев А. В. იგივე, 2000.

სახალხო დიპლომატია მეტ აქტუალობას იძენს. იგი ნდობის აღ-დგენის ის საშუალებაა, როდესაც მთავარი ძალა საზოგადოება და მასში აღმოცენებული ინიციატივებია. სახალხო დიპლომატიის პირობებში ადამიანები მეტად გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს, ურთიერთობებიც შედარებით ღია, გახნილი და გულწრფელია, ვიდრე ამის საშუალებას ოფიციალური დიპლომატია იძლევა. ეს ყოველივე ადამიანებს თანაცხოვრების დადებით მხარეებს ახ-სენებს, აახლოვებს. სახალხო დიპლომატიის საფუძველი ტოლ-ერანტობა, თანამშრომლობა, კომპრომისი, დიალოგია. ესაა „ჩა-ტეხილი ხიდის“ გამთლიანებისა და აღდგენის მცდელობის ჰუმა-ნური აქტი, რომელსაც წარმატების შემთხვევაში კეთილდღეობა და გამრჯვების სიხარული მოაქვს. უარყოფს ომს, ძალადობას, მოსყიდვას, ტყუილს¹¹⁴, სიძულვილის წარმომშობ ე.წ. სოციალურ ეგოიზმს. მისი განმასხვავებელი ნიშანი და მთავრი პრინციპია არა უთხრას ძალადობასა და ომს, როგორც კონფლიქტის გადაჭ-რის გზას¹¹⁵. წარმატებული სახალხო დიპლომატიისათვის მნიშ-ვნელოვანია მაღალი სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურის მქონე ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომლის მთავარი მა-მოძრავებელი ღერძი მშვიდობის მშენებლობაა. ასეთი საზოგა-დოების არსებობის პირობებში სახალხო დიპლომატიისთვის აუცილებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, გაერთიანებები, საინიციატივო ჯგუფები იქმნება, რომელთა აქტივობის საშუალე-ბითაც, კონფლიქტის დასრულების პერსპექტივა მეტია. სახალხო დიპლომატიის დროს იზრდება ინდივიდუალური ჩართულობაც, რაც პრობლემის გადაწყვეტის ერთობლივი გზების ძიების მო-ტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს, მაგრამ იმაზეც მიუთითებს, რომ სახალხო დიპლომატია რთულია, ვინაიდან ცალკეული ინ-დივიდების პასუხისმგებლობა, რომელიც მთელი ქვეყნის ბედზე ეკისრებათ მნიშვნელოვნად იზრდება¹¹⁶. ჩვენი აზრით, ნდობის აღსადგენად, სახალხო დიპლომატიის ფარგლებში, აუცილებე-

114 Чечев Н.Ш. Народная дипломатия как средство разрешения социальных конфликтов. Цели и задачи Центра, file:///C:/Users/user/Downloads/narodnaya-diplomatiya-kak-sredstvo-razresheniya-sotsialnyh-konfliktov-tseli-i-zadachi-tsentr.pdf.

115 Чечев Н.Ш. გამოყენებული წარმომა.

116 Кульчицкая Д. Что лучше для разрешения конфликта: сотрудничество, избегание или компромисс, <http://shkolazhizni.ru/archive/0/n-12565/3>

ლია ისეთი ქმედებები, რომლებიც „ყინულის გალლობას“ უწყობენ ხელს. კერძოდ, მნიშვნელოვანია სტერეოტიპების დაძლევა, კონფლიქტური სიტუაციის მნიშვნელოვანი თანხმლები ნაწილის „სხვა“-თა უარყოფითი ხატის შეცვლა¹¹⁷, ემპათიის გამოყენება, ეფექტური კულტურათაშორისი კომუნიკაცია, კულტურის ფაქტორის გამოყენება, კულტურული, სპორტული, სამეცნიერო ღონისძიებების დაგეგმვა და ა.შ.

ჰეტეროსტეროტიპები, სხვა ეთნოსების შესახებ შეფასებითი განსჯები, დადებითი ან/და უარყოფითი, ეთნოსებს შორის ურთიერთობის პირადი და ისტორიული გამოცდილების შედეგად ყალიბდება და საზოგადოებრივ და პირად ცნობიერებაში არსებობს. იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს კულტურათაშორისი ურთიერთობების პროცესში, მასმედიის ზეგავლენით და ა.შ. ინფორმაციის, ან იდეოლოგიის გავლენით, სხვა სახის სტერეოტიპთან შედარებით უფრო ნეგატიური შეიძლება იყოს, მაგრამ უფრო მოძრავი, ცვალებადი და დინამიკური, ამიტომ მასზე ზემოქმედება, სწორად დაგეგმილი აქტივობის პირობებში შედარებით ადვილია¹¹⁸. სტერეოტიპებზე მუშაობა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს „სხვა“-ზე უარყოფითი წარმოდგენის შერბილებას, დროთა განმავლობაში კი უარყოფითის დადებითით შეცვლას. ემპათიის საშუალებით კომუნიკაციის პროცესში სხვა ადამინის შეგრძნებების უკეთ აღქმა, წარმოდგენა და წარმოსახვა შესაძლებელი¹¹⁹. ამ ყველაფრის განსახორციელებლად კი ეფექტური კულტურათაშორისი კომუნიკაციაა საჭირო. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს კულტურათაშორისი ურთიერთობის თეორიები, ყურადღებას ე.ნ. კონფლიქტის თეორიაზე გავამახვილებთ, რომელიც ურთიერთობის ბარიერებს ასახავს. აღნიშნული თეორიის მიხედვით, კონფლიქტი სოციალ-

117 Леонова И.Ю. Влияние межличностного доверия на восприятие другого в конфликте, <http://cyberleninka.ru/article/n/vliyanie-mezhlichnostnogo-doveriya-na-vospriyatiye-drugogo-v-konflikte>

118 Шевелева И. П., ЭТНИЧЕСКИЙ СТЕРЕОТИП КАК ФЕНОМЕН КУЛЬТУРЫ, <http://dspace.nbuv.gov.ua/bitstream/handle/123456789/73785/20-Shevelyeva.pdf?sequence=1>

119 Фрик Т. Б. Основы межкультурной коммуникаций, Издательство Томского политехнического университета, 2013

ური ქმედების ფორმაა, რომელიც კულტურის ნორმებით რეგულირდება, შესაბამისად, თითოეულ კულტურაში არსებობს კონფლიქტური მოდელი¹²⁰. ამ თეორიის მოშველიებით ყურადღებას შემდეგზე ვამახვილებთ, სახალხო დიპლომატიის პროცესში ჩართული ადამიანებისათვის განსხვავებული კულტურის მატარებელი ადამიანისგან გარკვეული სახის ქმედება ნაკლებად გასაგები, მიუღებელი შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურული ნორმებით დარეგულირებული სოციალური ქმედების ნებისმიერი ფორმა ჩვენს ცნობიერშია გამყარებული და შესაბამისად, მნიშვნელოვანია მიდგომების შეცვლა და არა გაუგებრობისათვის ხშირად თანმდევი გაუცხოვება. სახალხო დიპლომატიის ფარგლებში უნდა მოხდეს კულტურული ფაქტორების გამოყენება, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების მუდმივი „გახსენება“, ვინაიდან კულტურა ის ფასეულობაა, რომელიც წარსულთან გვაკავშირებს, აწმყოსათვის მყარ საყრდენს გვაძლევს და მომავლისაკენ გზას გვიკვალავს. კულტურა ყველასია, ყველაზე და ყველაფერზე მაღლა მდგომი¹²¹. საზოგადოების სახით ადამინების არსებობა კულტურის გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ კულტურა იმავდროულად გამორჩეულად საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს¹²². დაპირისპირებული მხარეები სწორედ „კულტურის ენაზე“ უნდა ესაუპრონ ერთმანეთს, იგი შერიგებისა და ნდობის აღდგენის გზაა. ნებისმიერი სახის აქტივობას ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და მშვიდობის შენებას ემსახურება, რაც ჩვენი საზოგადოების მთავარი პრიორიტეტად უნდა იქცეს. საყურადღებოა სპორტული, ასევე სამეცნირო ღონისძიებების ჩატარება, საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება.

წარმატებული სახალხო დიპლომატიისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩინია, საზოგადოების თეორიული მომზადება, რისი განხორციელებაც, არასამთავრობო ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების, კერძო ინიციატივების საშუალებითაა შესაძლებე-

120 ფრიკ თ. ბ. იგივე` 2013,

121 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა, თბ. 2014.

122 Чернявская Ю. Народная культура и национальные традиции, <http://www.gumer.info/bibliotek-uks/Culture/Chern/08.php>

ლი. ასევე მნიშვნელოვანია, სპეციალური ცოდნით აღჭურვილი ადამიანების მობილიზება და სამშვიდობო პროცესში ჩართვა. საზოგადოებაში თუ იქნება მზაობა და სიმწიფე, პროცესი ქვემო-დან, საზოგადოებიდან თუ იქნება მართული, ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის დასრულებისათვის უფრო მეტად ხელსაყრელი გარემო შეიქმნება.

ზურაბ კვეტენაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესიონალური

**„კულტურის პარადოქსი“ და XX საუკუნის 20-30-იან
წლებში და „ახალი აღორძინების“ პერსპექტივები**

XX საუკუნის დასაწყისში ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა ოსვალდ შპენგლერმა თავის წიგნში „ევროპის აღსასრული“ მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ყველა კულტურას, ადამიანის ასაკის მსგავსად გააჩნდა სიყრმის, მოწიფელობისა და სიბერის პერიოდები, რომელიც გარდაცვალებით დამთავრდებოდა. გერმანელი მოაზროვნის თანახმად, მეოცე საუკუნე ევროპული კულტურის დაცემით დასრულდებოდა, რასაც ცივილიზაციად გარდაქმნა მოჰყვებოდა. ვფიქრობთ, შპენგლერი მართალი აღმოჩნდა. არასოდეს დასავლური კულტურა ისეთ კრიზისში არ ყოფილა, როგორც დღესაა. სულიერების კრიზისი შეინიშნება ყველანდებით, კაპიტალის მომძლავრებამ, შეუქცევადმა ინტეგრაციულმა პროცესებმა, უნიფიცირებული მსოფლიოს ფორმირებამ თითქოს არ დატვა ადგილი ადამიანის სულიერი შემოქმედებისათვის. თანამედროვე ჰედონისტურმა შემეცნებამ მთლიანად მოიცვა ევროპული საზოგადოება. მთავარია დატკბე „ერთი დღით“, იცხოვრო როგორც გინდა, რაც დაშვებულია კანონის ფარგლებში, დანარჩენი არაა საინტერესო. ცხადია, არის ცალკეული ინტერესი წარსულისადმი, ტრადიციებისადმი, იხსნება „ფეშენებელური“ მუზეუმები, აქა-იქ გამოჩნდება საინტერესო „ლიტერატურული მარგალიტები“, სრულდება ახალი მუსიკალური ნაწარმოებები, მაგრამ ყველაფერი ეს ატარებს ეპიზოდურ ხასიათს და რაც მთავარია კეთდება ისე, რომ ყველაფერი ეს თითქოს ადამიანური ცხოვრების ორგანული ნაწილი კი არ არის, არამედ ისტორიული მესიერებით გამოწვეული მოვლენა, რომლითაც შეიძლება გაერთო.

კულტურის კრიზისს, ცხადია, თავისი ღრმა ფესვები და

მიზეზები გააჩნდა და დღესაც გააჩნია. იგი ეპოქითაა განპირობებული. კველა დიდი კულტურული ქმნილება ეპოქამ წარმოშვა. ეპოქის სულით იყო განპირობებული ისეთი სოციო-კულტურული მოძრაობები ევროპაში, როგორიცაა რენესანსი და რეფორმაცია, ეპოქამ წარმოშვა რუსთაველი საქართველოში, ფირდოუსი ირანში, შექსპირი ინგლისში, ჰიუგო საფრანგეთში. ისტორიული ეპოქავე ხდება კულტურის კრიზისის განმაპირობებელი ფაქტორი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი წერდა, რომ ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთობები სწრაფად იცვლებოდა. ამ ურთიერთობების ცვლილებაზე უდიდეს გავლენას ახდენდა ტექნიკა და მანქანა, რომელიც აუმჯობესებდა ადამიანებს შორის ურთიერთობას, მაგრამ იმავდროულად იწვევდა წყვეტას ადამიანთა შორის ურთიერთობების მოთხოვნილებაზე.¹²³ დღეს საქმე გვაქვს არანახულ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან. ტექნოლოგიების განვითარებამ, კომპიუტერული სისტემების სრულყოფამ მსოფლიო კიდევ უფრო დაახლოვა და ურთიერთდამოკიდებული გახადა, მაგრამ ამან გამოიწვია მეტი ინდივიდუალური დამოუკიდებლობა. მეცნიერება, ცხადია, კულტურის განუყოფელი ნაწილია და როდესაც კულტურის კრიზისზე ვსაუბრობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მეცნიერულ-ტექნიკური კრიზისი, არამედ სულიერების კრიზისი, რომელიც დგება დემოკრატიზაციისა და მასის ბატონობის ეპოქასთან ერთად. ვფიქრობთ ბერდიაევი სავსებით მართალი იყო, როდესაც კულტურის არისტოკრატულ ხასიათზე ლაპარაკობდა. „კულტურა არასოდეს არ არსებულა მთელი მასისათვის და არასოდეს გამხდარა მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების წყარო“.¹²⁴

ანტიკური, ბერძნულ-რომაული კულტურა მართლაც არის-ტოკრატული საწყისით გამოირჩეოდა, არისტოკრატული იყო რენესანსული კულტურაც. კულტურა ვითარდებოდა შემოქმედებით პროცესში. კულტურას, ცხადია, ჰქონდა სახალხო ხასიათი, მაგრამ იგი იყო ხალხის სულიერი შემოქმედების გამოხატულება და არა მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. იმ შემთხვევაშიც

123 О. Шпенглер, Закат Европы, Минск, 1998, გვ. 355.

124 იქვე.

კი, როცა ცდილობდნენ კულტურა ხალხის მოთხოვნილების წყაროდ ექციათ, საპირისპირო შედეგებს იღებდნენ. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს კულტურული განვითარება XX საუკუნის 20-30-იან წლებში. ეს იყო კომუნისტური დიქტატურის დამყარებისა და განმტკიცების ეპოქა; საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი, წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდი, მაგრამ ამ ეპოქის კულტურა საქართველოში შეიძლება თამამად შევადაროთ რუსთაველის ეპოქის ხანის ქართულ კულტურას. მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოუდგენლად რთულ პირობებში ვითარდებოდა და საბჭოთა პოლიტიკური სისტემა მის იდეოლოგიურ იარაღად გამოყენებას ცდილობდა, ქართულმა კულტურამ განვითარების არნახულ მასშტაბებს მიაღწია:

1930-1934 წლებში საქართველოში შემოღებულ იქნა საყოველთაო-სავალდებულო სწავლება. საშუალო სკოლაში სწავლება სამ საფეხურად მიმდინარეობდა: დაწყებითი, არასარული საშუალო და საშუალო. უმაღლესი განათლების ერთადერთ კერას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენდა. ამ უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების ბაზაზე 20-30-იან წლებში დაარსდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი.

ამავე პერიოდში შეიქმნა თბილისის სამხატვრო აკადემია. უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა თბილისის კონსერვატორიისა და თბილისის საოპერო სტუდიის დაარსება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამავე დროს იყო პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. უნივერსიტეტი აძლევდა ტონს მეცნიერების ყველა დარგის განვითარებას. უნივერსიტეტელი მეცნიერები გახდნენ შემდგომში სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დამაარსებელნი. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შექმნა ინტენსიურად მიმდინარეობდა 20-30-იან წლებში. ნიკოლოზ მუსხელიშვილის თაოსნობით თბილისში დაარსდა მათემატიკის ინსტიტუტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ქართველობოგის განვითარების ისტორიაში ღირშესანიშნავი მოვლენა იყო ენის, ისტორიისა და

მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დაარსება 1936 წელს. დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება.

აღნიშნულ პერიოდში ენათმეცნიერების სფეროში უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები ჰქონდათ აკაკი შანიძეს, გიორგი ახვლედიანს, არნოლდ ჩიქობავას და სხვებს. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში განუზომელია კორნელი კეკელიძისა და პავლე ინგოროვას წვლილი.

ქართული ისტორიოგრაფიის უდიდესი მოღწევები დაკავშირებულია ივანე ჯავახიშვილის და მისი მოწაფეების სახელთან. 1922-1941 წლებში გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ მესამე წიგნი, „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, „ქართული სამართლის ისტორია“ და სხვ. საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემებს მიეძღვნა სარგის კაკაბაძის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის გამოკვლევები. ქართულ ფილოსოფიურ სკოლას სახელი გაუთქვა შალვა ნუცუბიძემ. ფსიქოლოგის დარგში მსოფლიო მნიშვნელობის შრომები შექმნა დიმიტრი უზნაძემ.

არნახულ წარმატებას მიაღწია ქართულმა მწერლობამ. მწერლებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, პავლე ინგოროვა. ცისფერყანწელები პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე. ამავე პერიოდში მოღვაწეობს გენიალური ქართველი პოეტი გალაქტიონ ტაბიძე.

20-30-იან წლებში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მხატვრები გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე და ა.შ. ამავე ეპოქამ შვა უდიდესი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი. 30-იან წლებში გაიბრნებინა ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ტალანტმა, რომლებიც ქართული ცეკვებით აოცებდნენ მსოფლიოს.

ყოველივე ეს არის არასრულყოფილი სია ქართული კულტურის მიღწევებისა XX საუკუნის 20-30-იან წლებში, მისი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და ეს ხდება ქართველი ერის ისტორიის ერთ-ერთ ურთილეს მონაკვეთში, ეს არის ერთგვარი „კულტურული პარადოქსი“. აქამდე დაცემის პერიოდებში კულტურაც

ეცემოდა, მაგრამ დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქებში უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. კომუნისტური დიქტატურის დამყარების ეპოქა კი არის უდავოდ გამონაკლისი, რომლის მიზეზებზეც აქ არ შევჩერდებით, მაგრამ ერთს კი ვიტყვით, რომ პირადად სტალინმა გარკვეული მოსაზრებით ამ კულტურულ აღმასვლაში დიდი როლი ითამაშა. ამ ეპოქაში მოხდა ქართველი ერის შემოქმედებითი პოტენციალის გაშლა. ამგვარი ქართული კულტურა იყო სახალხოც და იმავდროულად არისტოკრატულიც. „სოციალურმა შეკვეთამ“ საპირისპირო შედეგი გამოიღო. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური რეჟიმი ყველაზე მეტად საუბრობდა ლიტერატურის პარტიულობაზე, სახალხო კულტურაზე, იმაზე, რომ კულტურა საზოგადოების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, კულტურის კრიზისი არ არის კომუნიზმის პირმში, იგი ბურჟუაზიული ურთიერთობების ბობოქარმა განვითარებამ გამოიწვია. მასობრივი კულტურის ფორმირება ისევ დასავლეთში მოხდა, რომელშიც არაფერია სიღრმისეული და შემოქმედებითი. კულტურული ელიტა განიცდის სასიკვდილო აგონიას, მისი მორალური და მატერიალური ძლიერებულობა სულ უფრო აუტანელი ხდება. ლიბერალურ დემოკრატიაში იგი დამოკიდებულია კაპიტალზე და მასის გემოვნებაზე, ავტორიტარულ დემოკრატიაში ან კომუნისტურში იგი უკავშირდება მსოფლმხედველობას, ხელისუფლებას, რომელსაც პრეტენზია აქვს მოახდინოს სულიერი შემოქმედების ორგანიზება.¹²⁵ ეს სიტყვები ბერდიაევმა გასული საუკუნის 30-იან წლებში, ემიგრაციაში დაწერა, მაგრამ მაშინ იგი ისე აქტუალური არ ყოფილა, როგორც დღესაა. ჩვენ ვხედავთ საქართველოს მაგალითზე როგორი კულტურა შექმნა ქართველმა ხალხმა კომუნისტური დიქტატის პირობებში, მაგრამ თავისუფალ საქართველოში მდგომარეობა მძიმეა. აქ არ გამოდგება მსჯელობა იმის შესახებ, რომ ჯერ დროა ამისათვის საჭირო. ის დიდი კულტურა, რომელზეც ჩვენ გვქონდა საუბარი, სწორედ საბჭოთა კავშირის არსებობის საწყის ეტაპზე შეიქმნა, სტალინის ეპოქაში, მაგრამ დამოუკიდებელ, თავისუალ საქართველოში ღირებული ჯერჯერობით არაფერი იქმნება, თუ არ ჩავთვლით მცირე ჩამონათვალს. ყოველივე ეს ქართველი ერის სულიერი

125 О. Шпенглер, Закат Европы, Минск, 1998, гл. 257

შემოქმედების დაკნინების ბრალი კი არა, ზოგადად კულტურის კრიზისის შედეგია. ასეთივე მდგომარეობაა მთელს ევროპაში, პოსტსაბჭოთა სივრცეში. გარდა ტექნიკური სრულყოფისა, გარდა იმისა, რაც ადამიანს ყოველდღიურად სჭირდება, არაფერი შემოქმედებითი ცივილიზებულ სამყაროში დღეს არ ხდება, იმიტომ რომ იგი საბოლოოდ იქცა სწორედ „ცივილიზაციად“, რაზედაც შპენგლერი სავსებით სამართლიანად მიუთითებდა. ამას კი გაცილებით ღრმა მიზეზები აქვს: „ყველა კულტურა ღრმა სიმბოლურ კავშირში იმყოფება მატერიასთან და სივრცესთან, რომლის სამუალებითაც იგი ცდილობს რეალიზაციას. როდესაც მიზანი მიღწეულია და იდეა ე.ი. მისი ყველა შინაგანი შესაძლებლობების რესურსი გარეგანში ამონტურული და დასრულებულია, კულტურა იყინება, კვდება, სისხლისგან იცლება, მისი ძალები იმსხვრევა და იქცევა ცივილიზაციად“.¹²⁶ ოსვალდ შპენგლერის ეს გენიალური შეფასება მარადიული შეფასებაა, რადგან კულტურა არის სულიერი (გონითი) და არა ნატურალისტურ-მეტაფიზიკური კატეგორია. სულიერი შემოქმედება კი არის სიმბოლური, ღვთაებრივი სამყაროდან ნამოსული და მინიერ სამყაროში მისი გამოვლენა სიმბოლურად ხდება. თანამედროვე ცივილიზაციამ კი ეს სიმბოლო, ეს კავშირი განწყიტა, რამაც სულიერების დიდ კრიზისს დაუდო სათავე. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ არის მოსალოდნელი „ახალი აღორძინების“, სულიერი აღორძინების ეპოქა, რომელიც ახალ შემოქმედებას დაუდებს სათავეს. ადამიანის სული დინამიურია და არა სტატიკური, რადგან კულტურა სულითი ფენომენია, უნდა ვივარაუდოთ, რომ კაცობრიობა სულიერებას დაუბრუნდება. ჩვენი აზრით, მას სხვა გზა არც აქვს, ნინაალმდეგ შემთხვევაში იგი დაიღუპება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მერაბ ვაჩინაძე, ვახტანგ გურული, საქართველოს ისტორია, თბ. 2002.
2. Н.А. Бердяев, Философия свободного духа, М. 1994.
3. О. Шпенглер, Закат Европы, Минск, 1998.

126 О. Шпенглер, Закат Европы, Минск, 1998. გვ. 167.

*Zurab Kvetenadze
Georgian technical university
professor*

„Cultural paradox“ prospects of the New Renaissance in the 20-30th years of the XX century

Summary

Today nobody doesn't surprises the criticism of a communistic era and communist regime, but there are phenomena which scientific analysis till today doesn't exist. Indisputable truth was that circumstance that after invasion of enemies and occupation of the country, the culture in Georgia didn't develop and it wasn't created there is nothing valuable. In David's and Tamara's eras we have "a gold Era" of culture because expansion was made by great Georgian kings, they won new territories, etc.

Exception is the Communistic era and, especially Stalin's era. On the one hand the 20-30th years of the XX century many Georgian intellectuals were shot, but cultural development reached such heights, to compare which it is possible only with Tamara's era.

All branches of culture developed: scientific and creative, literary, historical, it was created Tbilisi art academy, conservatory, opera school and etc.

It everything only avaricious recouples of those cultural achievements which took place in the 20-30th years of the XX century.

ნონა შონია – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

ისტორიული სამურზაყანოს – ოკუპირებული გალის რაიონის კულტურული მემკვიდრეობა ოკუპაციის პირობებში

ისტორიული სამურზაყანო – გალის რაიონი ერთ-ერთი ულა-მაზესი კუთხეა აფხაზეთში. მისი სოფლებისა და თანამედროვე ქალაქ გალის ტერიტორიაზე ადრეულ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სამუზეუ-მო ექსპონატები და დასკვნები ცხადყოფს, რომ იქ ადამიანებს უძველესი დროიდან -პირველყოფილი თემური წყობილებიდან უცხოვრიათ; ძველი წელთაღრიცხვის, ანტიკური ხანისა და ადრინდელი შუა საუკუნეების ქალაქის ტიპის დასახლებებიც და ევროპული ცივილიზაციის პატარა კოლხური კერაც ჩამოუყალი-ბებიათ, უძრავი ციხე-გოჯი, ეკლესია აუგიათ და ფასდაუდე-ბელი კულტურული საგანძურო შეუქმნიათ.

გალის რაიონის სოფლებში: დიხაზურგაში, საბერიოში, ჩხორ-თოლში, ოქუმში, ჭუბურხინჯში, რეჩხში, ღუმურიშში , ოქუმში, თაგილონში, ფიჩორში, ქვემო ბარღებში, ოტობაიასა და სხვა ადგილებში არსებული ციხე-გოჯების, ეკლესიების ნანგრევები უამრავ საიდუმლოს ინახავს. მათი შესწავლა საინტერესო ისტო-რიას მოფენს ნათელს.

აფხაზეთის ყველა სხვა კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად ოკუპირებული გალის რაიონის – ისტორიული სამურზაყანოს ამ კულტურული ფასეულობებით დღეს უცხო ქვეყნის მეცნიერები თუ შავი არქეოლოგიის მიმდევრები არიან დაინტერესებული და ცდილობენ, თითოეულ ძეგლზე წაშალონ მისი ქართული წარმომავლობა, ქართულ-აფხაზური ფესვები, ქართველ ხუროთმოძღვართა შეუდარებელი ოსტატობის ნაკვალევი.

გალის რაიონის ომადელ საზღვრებს შემორჩენილი არც ერთი ძეგლი, კულტურული საგანძურო, სამწუხაროდ, დღემდე არ აღირიცხებოდა საქართველოს კულტურული ეროვნული სა-

განძურის წუსხაში. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა გალის რესურსცენტრის მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე მოამზადა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა სააღრიცხვო ბარათები, რის შედეგადაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ გალის რაიონის სოფლებში ჩხორთოლში, ოქუმში, ღუმურიშში, წარჩეში, ჭუბურხინჯში მდებარე ეკლესიებს და ციხეს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიანიჭა. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რომ ეს სტატუსი გალის რაიონის სხვა ძეგლებსაც მიენიჭოს.



ოქუმის ხარების სახელობის ეკლესია

სოფელი ოქუმი მდებარეობს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გალის რაიონში, მდინარე ოქუმის ნაპირას. ზღვის დონიდან 200 მეტრის სიმაღლეზე, გალიდან 25 კილომეტრის დაშორებით. მისი ჩრდილოეთი ნაწილი გორაკ-ბორცვიანია, სამხრეთი-ვაკე.

ოქუმი 1840 წლიდან ისტორიული სამურზაყანოს ცენტრს წარ-

მოადგენდა, 1906 წლიდან ცენტრი გადატანილ იქნა დაბა გალში, რომელიც 1932 წელს ქალაქი გახდა .

სახელნოდება „ოქუმი“ უკავშირდება სელის მეგრულ სახელს „ქუმუ“. შესაძლოა ჭვავის ძველქართული სიტყვის „ქუპი“-ს შესატყვისიც იყოს.

მდინარე ოქუმის ხეობაში, მის მარჯვენა ნაპირზე 1968-70 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით აღმოაჩინა კარსტული წარმოშობის მღვიმე, რომლის ქვედა პორიზონტები შეიცავს პალეოლითურ მასალებს, ხოლო ზემოდან ადევს ორ შეცემენტებულ ფენას შორის მოქცეული ენეოლითის ხანის კულტურის ნაშთი, 15-20 სმ. სიმძლავრის. მონაპოვარი შედგება კერამიკის, ქვისა და კაუის ინვენტარებისგან.

კერამიკა ხელით ნაძერწია, მურა-მოვარდისფრო ან ლეგა-მონაცრისფრო. გამოირჩევა ჯამის, ქოთნის, ქილის ფორმები. ჭურჭლის უმეტესობა სუსტადა ნაპრიალები. ორნამენტი იშვიათია და წარმოდგენილია წერტილ-ფოსოებით პირის ქვეშ და ამოკანწრული ხაზებით მხარზე.

რიყის ქვისაა სატეხის ნამზადი და საპრიალებელი. კაუის ინვენტარიდან აღსანიშნავია მიკროლითები; საფხეკები ანატკეცებზეა დამზადებული. არის ნუკლიუსისაგან გაკეთებული სახოკიც. წარმოების გადანაყარის რაოდენობის გათვალისწინებით ოქუმის მღვიმეში შესაძლოა ყოფილიყო სახელოსნოც.

მასალები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

ოქუმში შემორჩენილია შუა საუკუნეების კოშკი (ესქერდაში) და ხარების სახელობის ეკლესია. ადგილობრივების გადმოცემით, ეს ეკლესია მე-17 საუკუნეშია აგებული. ის ბაზილიკური სტილის ყოფილა, რაზედაც მისი ნავისებური ფორმა მიგვანიშნებს. ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში საკურთხეველია, ცენტრალურ ნაწილში-დარბაზი. საკურთხეველი გამოყოფილი ყოფილა კანკელით და მასზე განთავსებული მაცხოვრის ხატებით. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ეკლესია ეკუთვნიდა თავად ემხვარებს. იქ სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა მღვდელი ხარიტონ შელია, დიაკვნად მსახურობდა იაკობ ქვაჩახია.

ბოლშევიკური რევოლუციის შემდგომ ეკლესიამ ფუნქციონირება შეწყვიტა და სხვადასხვა წარმოება-დაწესებულების საკუთრებას წარმოადგენდა.

ამჟამად, ეკლესია გადახურულია. არ აწვიმს. საჭიროებს რესტავრაციას. ოქუმის საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად უვლიან მას. რწმენით ელოდებიან ღვთისმსახურების აღდგენას.



ღუმურიშის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია

სოფელი ღუმურიში მდებარეობს გალის რაიონში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდინარე ოქუმის მარცხენა მხარეს; ზღვის დონიდან 240 მეტრის სიმარლეზე, გალიდან 10 კილომეტრის დაშორებით.

გეოგრაფიული სახელწოდება „ღუმურიშ“-ი, სავარაუდოდ, სვანური ენის ნათესაობითი ბრუნვისაგან ნაწარმოები ტოპონიმია, სვანური „ღუმურ“ ნიშნავს ნაძვს, „იშ“ სვანური ენის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია (სვან. „ღუმურიშ“-ი, ქართ. ნაძვისი).

ღუმურიშის ტერიტორიაზე, მთელი 2 კმ. მანძილზე,

სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადაჭიმულია ტერასა, რომელზე-დაც ქვის ხანის შემსწავლელმა ექსპედიციამ 6. ბერძნიშვილის ხელმძღვანელობით დაადასტურა პირველყოფილი ადამიანის 7 ნამოსახლარი, ნეოლითური ხანის ადრეული საფეხურის სოფელი. ეს ნამოსახლარები ერთმანეთისგან 200-300 მეტრითაა დაშორებული და რამდენიმე კვარტლისგან შედგებოდა. ტერასის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილ იქნა კაჟისა და რიყის ქვის იარაღები, საფხეკები, საჭრისები, ჩასართები, ისრისპირები, გაპრიალებული ცულები, თოხები, ჩაქუჩები და სხვა. მასალები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

ღუმურიშის ადმინისტრაციულ ცენტრში, სოფელ ღუმურიშის ჩრდილო-დასალეთით, სამი კილომეტრის დაშორებით, მდ. ოქუმისწყლის - „ოქუმწყარის“ მარჯვენა ნაპირზე, მცირე ხეობის სიღრმეში, დამრეცი ფერდის მცირე გავაკებაზე, მდებარეობს ბაზილიკური სტილის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, რომელიც აგებულია მე-11 საუკუნის I ნახევარში საგდუხტ „დედოფალთა დეოფლის“ მიერ. „დედოფალთ დედოფალი საგდუხტი“ უნდა იყოს ნიანია რაჭის ერისთავის ასული და ოდიშის ერისთავთ ერისთავის მეულლე, რომელიც ტაძრის ქტიტორად გვევლინება. ამას მოწმობს ეკლესიის ეზოში ნაპოვნი სამშენებლო ხასიათის ასომთავრული წარწერა: „ღმერთო, შეიწყალე ორთავე ცხორებასა შინა ამის ტაძრისა მაშენებელი დედოფალთ დეოფალი საგდუხტ. ნიანიას ასული. ამენ“

არქეოლოგიურ სამუშაოებს ღუმურიში საფუძველი ჩაეყარა 1986 წლის გაზაფხულზე, რაც განაპირობა ძეგლიდან მომდინარე, მოყვარულ მხარეთმცოდნე ნოდარ მონიას მიერ 1955 წელს აქ აღმოჩენილმა, XI საუკუნით დათარიღებულმა კარქვის ფილამ, რომელზეც ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა: „ღმერთო, შეიწყალე ორთავე ცხოვრებასა შინა ამის ტაძრისა მაშენებელი დეოფალთ – დეოფალი საგდუხტ ნიანიას ასული, ამენ“. წარწერის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში რეაგირება არ მოჰყოლია. მკლევევართა მსჯელობის საგანი არც საგდუხტ „დეოფალთა დეოფლის“ ვინაობის დადგენა გამხდარა. ფილა დაცული იყო სოხუმის მუზეუმში.

სავარაუდოდ, საგდუხტის ტიტულის (დეფოლის) გვერდით, მა-
მის სახელის მოხსენიება იმის მიმანიშნებელია, რომ მისი ჩამო-
მავლობა მამის მხრიდან სოციალურად მეფის რანგისაა. შესა-
ძლოა ნიანია მეფის გვარის ჩამომავალია. როგორც ცნობილია,
ნიანია ქვაბულის ძემ, თავი ისახელა რანის სულთან ფადლო-
ნის ქართლიდან განდევნაში. 1073 წელს ნიანია ქვაბულის ძე
ივანე ლიპარიტის ძისა და სვანთა ერისთავ ვარდანთან ერთად
გადაუდგა გიორგი მეორეს, დაპყრო ქუთაისი და ხელში ჩაიგ-
დო სახელმწიფო ხაზინა. მეფე სხვას ვერაფერს გახდა, გარდა
იმისა, რომ მეამბოხებს წყალობა და მამულები გაუმრავლა.
XI ს-ის საქართველოს მეფეების თანამეცხედრეების სახელები,
გარდა გიორგი მეორის თანამეცხედრის სახელისა, ცნობილია.
ლუმურიშის ეკლესიის ქტიორის, ნიანიას ასულ საგდუხტის
სახით, შესაძლებელია საქმე გვაქვს გიორგი მეორის თანამეცხ-
ედრესთან, დავით აღმაშენებლის დედასთან. საკვლევ პერიოდ-
ში ოქუმისწყალის ხეობის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე უნდა
მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ იგი ცალკე ადმინისტრაციულ-
ეკონომიკურ ერთეულს წარმოადგენდა. აღნიშნული ვითარების
ამსახველი უნდა იყოს ლუმურიშის ეკლესიის წარწერაში მოხსე-
ნიებული, ხეობის განმგებელი, დედოფალთ-დედოფალი საგდუხ-
ტი. ნიმანდობლივია ის გარემოება, რომ ამავე ხეობაში, სოფელ
წარჩეში შემორჩენილია დაბაზული ეკლესიისა და გაღავნის
ნაშთები, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „მაფაშ ოხვამე“-
ს უწოდებს, რაც დედოფლის სალოცავს ნიშნავს. აქვეა წყარო,
რომელსაც „მაფაშ წყურვილს“ (დედოფლის წყარო) უწოდებენ.
აღნიშნული სახელწოდებები დაკავშირებულია ადგილობრივ მო-
სახლეობაში სხვადასხვა ვარიანტით შემორჩენილ ლეგენდასთან,
რომლის მიხედვითაც ამ მხარეს ოდესალაც დედოფალი განაგებ-
და. XVII საუკუნის დასასრულიდან, როცა ჩრდილო კავკასიელ
მთიელთა ჩამოწოლის გამო ადგილობრივი მოსახლეობა იხიზნე-
ბა, ეკლესია და სასაფლაოც წყვეტენ ფუნქციონირებას.

ლუმურიშის ოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია
ნაგებია ყორის უხეშად დაპობილი ქვით და თეთრი კირქვის სწორ-
კუთხოვანი კვადრებით. მისი იატაკიც კვადრული ქვით უნდა
ყოფილიყო მოპირკეთებული მთლიანად, თუმცა საკურთხევლის

გარდა ეს კვალი წაშლილია. სამხრეთის კარზე გამოკვეთილია შეღრმავებული ჯვარი; დასავლეთით მიღებული აქვს სამრეკლო, რომელსაც კიბე აუყვება და ამჟამად ნანგრევის სახითაა შემორჩენილი. სამრეკლო დანგრეულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ბოლშევიკური იდეებით აღტკინებული რამდენიმე ადგილობრივი მოსახლის მიერ აფსიდს აქვს გუმბათოვანი გადახურვა. მასზე სამი თაღოვანი სარკმელია. ორ-ორი ასეთი სარკმელი ძეგლის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებშია გამოყვანილი. მე-19 საუკუნემდე ეკლესია მოხატული ყოფილა, მაგრამ მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩატარებულმა შეკეთება-შებათქაშებამ წაშალა მხატვრობის კვალი. ძეგლის თაღოვან შესასვლელში, დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილია სამარხი, რომელიც ეკუთვნის მე-19 საუკუნეში მოღვაწე სამხედრო პირს, ვინმე ემუხვარს.

მე-19 საუკუნის მიწურულს ეკლესიაში მოღვაწეობდა მღვდელი ჩარგეიშვილი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამურზაყანოს განყოფილების წევრი, რომელიც წირვა-ლოცვასთან ერთად საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ღუმურიშის ეკლესიაში შეწყდა წირვა-ლოცვა. გადასახლებულ იქნა მღვდელი ჩარგეიშვილი, რომლის საფლავი დღემდე უცნობია. შეიცვალა ეკლესის ფასადი, შეილესა ცემენტით, გადაიხურა შიფერით. ნაგებობა შეიბილნა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის იქნა გამოყენებული: შხამ-ქიმიკატების შესანახად.

დაახლოებით 2003 – 2008 წლებიდან ღუმურიშელები ეკლესიაში ატარებენ განმენდით სამუშაოებს, ძეგლს აშორებენ სარეველა მცენარეებს. მათ შეიძინეს თუნუქის სახურავი შიფერის შესაცვლელად, მაგრამ საეკლესიო ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი წესების დაუცველობის გამო იგი სწორად ვერ გადახურეს, რის გამოც აწვიმს. ძეგლი საჭიროებს სათანადო შესწავლას და რესტავრაციას.



ჩხორთოლის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია

სოფელი ჩხორთოლი მდებარეობს ქ. გალის ჩრდილო-დასავლეთით 20-25 კილომეტრში, ზღვის დონიდან 200 მეტრში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდინარე ჩხორთოლის (ოქუმის აუზი) ნაპირას. 1971-1977 წლებში შავიზღვისპირეთის ქვის ხანის ექსპედიციამ აქ ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით აღმოაჩინა ნასახლარი, რომელიც გამოირჩევა არქეოლოგიური მასალის სიმრავლით: თიხატკეპნილი იატაკით, სამეურნეო ორმოებით, კაჟის და რიყის ქვის იარაღებით-საფხეკებით, საჭრისებით, სახვრეტებით და სხვა. ძეგლი განვითარებული ნეოლითის ხანას, ძვ. წ. VII-VI ათასწლეულებს მიეკუთვნება. მასალები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

სოფლის სახელწოდება „ჩხორთოლი“ ადგილობრივ მოსახლეობაში შემორჩენილი თქმულებით, მომდინარეობს მეგრული სიტყვებისგან „ჩხორო“ და თოლი“, რაც ნიშნავს „ცხრა თვალს“ და მიუთითებს სოფლის ჩრდილოეთით მდებარე ცხრა ოთახიანი ციხესიმაგრის გადმონაშთზე.

ჩხორთოლის ჩრდილო-დასავლეთით, ცენტრიდან 5 კმ-ის

მანძილზე, მდ. ოხოჯეს შენაკად ჯუხუს სიღრმეში, მდინარის მარცხენა მხარეზე, დამრეცი ფერდის მცირე გავაკებაზე მდებარეობს ეკლესია. იგი ფუნქციონირებდა XVI საუკუნემდე, შავიზღვისპირეთში თურქების გაბატონებამდე.

ჩხორთოლის დარბაზული ეკლესია გარდამავალი ძეგლია. როგორც ამ დროის ძეგლებს შეეფერებათ, იგი მოკლებულია ქანდაკებასა და ჩუქურთმას. ეს დარბაზული ეკლესია გარდამავალი ხანისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ძიებებით მიგნებულ თავისებურ ნიშნებს ატარებს და ქართული ხუროთმოძღვრებისათვის ნიშანდობლივი თემის მიმართ შემოქმედებითი მიდგომისა და გადამუშავების შედეგს წარმოადგენს. იგი ორგანულადაა დაკავშირებული ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციისთვის, ზუსტადაა ჩაწერილი ქართული ეროვნული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საერთო ხაზში და გამოხატავს ერთიან შემოქმედებით ძიებებსა და მიმართულებას, რითაც სათანადო ადგილს იჭერს ქართული კულტურის, კერძოდ, საკულტო არქიტექტურის გავრცელების დასადგენად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

ჩხორთოლის ეკლესია გვიჩვენებს, რომ საქართველოს გაერთიანებამდე დასავლეთ საქართველოში აშენებენ აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ მხატვრულ მისწრაფებათა გავრცელების მაჩვენებელ საკულტო ნაგებობას, რაც კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა კულტურული და ეკლესიური ერთიანობა.

ჩხორთოლის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია IX-X საუკუნეების მიჯნის მხარის ხუროთმოძღვრების ტიპიური ნიმუშია.

ჩხორთოლის ეკლესიის ნანგრევი ხეებით, ბუჩქებითა და კოლხეთისათვის დამახასიათებელი გაუვალი ეკალ-ბარდით იყო დაფარული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ძეგლი, რომელიც არცთუ ისე შორსაა დასახლებული პუნქტიდან, მკვლევართა თვალთახედვის მიღმა იყო დარჩენილი. ძეგლზე მცენარეული საფარის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა მიწის ზედაპირზე შემოჩენილი ეკლესიის ეზოს შემომფარგვლელი წრიული კონფიგურაციის მშრალად ნაწყობი ქვის გალავნის ფრაგმენტები, გალავნის აღმოსავლეთ კედელთან მიახლოებული ეკლესიის ჩრდილო კედ-

ლის ნანგრევი და გალავნის გარეთ, ჩრდილო-დასავლეთით, ქვის უზარმაზარ მონოლითზე ნაგები ოთხკუთხა კოშკის ნაშთები.

ეკლესიის ნანგრევზე ასეულ წლობით მცენარეთა ლპობისა და დანგრეული კედლებისაგან მიღებული 1 მ-დან 3,5 მ-მდე სიმძლავრის „ფენის“ მოხსნის შემდეგ გამოვლინდა ოთხკუთხა ნაგებობის მიწისქვეშ მოქცეული სხვადასხვა სიმაღლის კედლების ფრაგმენტები. გამოიკვეთა სამნაწილიანი ეკლესიის გეგმა, რომლის ცენტრალური სათავსო (12X8 მ) გარედან სწორკუთხა მოყვანილობისაა, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში საკმაოდ ძლიერი მხრებით, ფართო, ნალისებური აბსიდაა გამოყოფილი. კომპოზიციური სქემითა და ხუროთმოძღვრული ნიშნებით ჩხორთოლის დარბაზული ეკლესია ანალოგიებს პოულობს ილორის (XI ს.), ლაშკენდარის (X-XII ს.) და აჩანუას ეკლესიებთან. შუა საუკუნეების ანალოგიური კომპოზიციების მქონე დარბაზული ეკლესიები საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება.

ჩხორთოლის ეკლესიის სიგანის თანაფარდობა სიმაღლესთან (შემორჩენილი ჩრდილო კედლის სიმაღლის მიხედვით) გვაგრძნობინებს სივრცის მშვიდ და ჰარმონიულ აზიდულობას ზევითკენ.



ჭუბურხინჯის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელი ჭუბურხინჯი მდებარეობს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გალის რაიონში. მისი სახელწოდება ჭუბურხინჯი მეგრული წარმოშობისა (ჭუბური-წაბლი და ხინჯი-ხიდი) და წაბლის ხიდს ნიშნავს, ხიდს, რომელიც გადებული იყო „ბაბაშიაშ ღალზე“- ღელეზე.

ჭუბურხინჯის ჩრდილოეთი გორაკ-ბორცვიანია, სამხრეთი-ვაკე. აღმოსავლეთით საზღვრავს მდინარე ენგური. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე, წითურიას ჩრდილოეთით, თანმამდეროვე ჭუბურხინჯის ტერიტორიაზე აღნიშნულია სოფელი გენათი. მისი იონერი ქრისტეფორე კასტელი წერს: „გენათი ისეთი სოფელთა-განია, სადაც ბევრ ღვინოს აყენებენ... ჩვენი რეზიდენციის სე-პიასაგან ოთხ მილზეა დაცილებული. ხშირად მივდივართ ამ მხარეში სამკურნალოდ და ბავშვების მოსანათლავად“... გენათი ამჟამად ცნობილი არ არის. კასტელი აღნიშნავს: „წითურიას ცოტა ზემოთ ოუგარიაში ჩვენები ეკლესიას რთავდნენ, რომელიც და-დიანმა გადმოგვცა, სადაც ჩვენი ოჯახი შეჩერდა...“ ოუგარიაც ამჟამად უცნობია, შესაძლებელია ეს იყოს ჭუბურხინჯში აქირ-თავების ეკლესია.

ჭუბურხინჯში, ქვედა ზონაში, ზენის ტერიტორიაზე, ენგურის პირას, მდინარიდან დაახლოებით ნახევარ კილომეტრზე მდებარეობს ჯვარგუმბათოვანი ტიპის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. მისი თავდაპირველი ნაგებობა ეკუთვნის მე-11 საუკუნეს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ადგილობრივი მრევლის ინიციატივით ტაძარი საფუძვლიანად გადაუკეთებიათ და უკურთხებიათ წმ. ილია წინასწარმეტყველის სახელზე. ადგილობრივი მოსახლეობა ძველი ტრადიციის მიხედვით, ტაძარს დღესაც წმ. გიორგის ეკლესიას ეძახის. ტაძრის საერთო ფართობია 242 კვ.მ. კედლის სისქე 80 სმ. ნაგებია რიყისა და ტუფის თლილი ქვებით.

ტაძრის დათვალიერებისას კარგად მოჩანს მე-11 საუკუნის ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისათვის დამხასიათებელი ცალკეული დეტალები. უხუცესთა თქმით, იგი აგებულია ბერძენი ოსტატების მიერ. შემორჩენილია კედელი, ეკლესიის ჯვარი, ხატი „ქრისტეს გამოცხადება“, რომელიც ინახება სოფელში. წარწერები და ფრესკის ფრაგმენტები წაშლილია. არ

არის გადახურული. გუმბათი ჩამონგრეულია.

სოფელში შემორჩენილი ლეგენდის მიხედვით, ეკლესიის მშენებლობის დროს სიმაღლიდან გადმოვარდნილი კალატოზი უვნებელი გადარჩენილა.

ეკლესიასთან გახსნილი ყოფილა „პირველი პრიხოდის ეკლესიის შეოლა“.

ჭუბურხინჯის №1 საშუალო სკოლის მოსწავლეები მასწავლებლების ხელმძღვანელობით ეკლესიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აწარმოებენ განმენდით სამუშაოებს. ნაგებობის შიგნით, მოსახლეობის ძალებით გაკეთებულია პატარა სამლოცველო კუთხე.



წარჩის ნათლისლების სახელობის ეკლესია



წარჩეს ციხე

სოფელი წარჩე მდებარეობს გალის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გალიდან 17 კილომეტრის დაშორებით და გაშენებულია მდინარე ოქუმის მარჯვენა და მდინარე ოხოჯეს მარცხენა სანაპიროებზე. ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, სახელწოდება მეგრულია და ნიშნავს თეთრ წყალს. ასეთი სახელი პირველად უნდა დარქმეოდა მდინარეს, შემდეგ კი მის მიხედვით – სოფელს.

წარჩე მოხსენიებულია როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ისტორიკოსების ნაშრომებში. II საუკუნის პირველი წახევრის ბერძენი ისტორიკოსი ფ. არიანე, იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი და სხვები ახსენებენ მდინარე „ტარსურას“, რომლის სანაპიროზე ქალაქი „ტარშენი“ ყოფილა გაშენებული. ლამბერტი, მე-17 საუკუნის მისიონერი, წერდა: „ხეთას იქით არის ოქუმი, რომელიც ჩაუდის ტარშენს და რომელმაც შეიძლება ამ ადგილისგან მიიღო თავისი სახელი, რადგან ეს ის მდინარე უნდა იყოს, რომელიც რუკაზე იწოდება ტარსურად“ / არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღნერა“, 1938წ.

წარჩის ტერიტორიაზე, მდინარე ოქუმის მარცხენა სანაპიროზე ნაპოვნია თიხის მილები, რომელთა სიგრძე მერყეობს 50-დან 60 სანტიმეტრამდე, დიამეტრი შეესაბამება 10-15 სანტიმეტრს. თითოეულ მილს შემოვლებული აქვს ტუჩები. ამ მილებზე გა-

დიოდა წყაროს წყალი, რომელსაც გადმოცემით, „სვირის წყაროს“ უწოდებდნენ. წყალსადენის ხაზის სიგრძე 4-5 კილომეტრია. მილები შემოვლებულია კირის ხსნარით. გააჩნია სათავე აუზი. ყოველივე იძლევა საშუალებას, შესწავლილ იქნას ძველად წყალმომარაგების საკითხი აფხაზეთში.

მდინარე წარჩეს გაღმა ნაპირზე, მაღალი მთის წვერიდან დიდ მანძილზე ბატონობს ადრეული ხანის ციხე. მისი კედლები ძალიანაა დანგრეული და ამიტომ ბევრი რამ არ ირკვევა. ციხის **გალავანი** მთის წვერის რელიეფს მიყვება. მისი გეგმა უწესო ფორმის ელიფსურია. სამხრეთის მხარე კლდის ზოლს მიყვებოდა. ბევრგან ძირი გამოცლილია, რის გამოც შემდგომ იგი ჩანგრეულა. თითქმის ისეთივე მდგომარეობაა აღმოსავლეთით. ერთადერთი ჩრდილოეთის რკალია 7-8 მეტრის სიმაღლეზე შერჩენილი. შუაში ქვის ვიწრო კიბეა, გალავანზე გამავალ საბრძოლო ბილიკზე ასავლელად. ორ მეტრამდე სისქის კედელზე მებრძოლთა სასიარულო ბილიკი თავისუფლად დაეტეოდა. გალავანი საბრძოლო ბილიკით და კიბით ჩვეულებრივი ამბავია ადრეული ხანის ციხეებისათვის. იმავე პერიოდზე მიგვითითებს კედლების წყობის ხასიათი.

ციხის ორივე ბოლო ძლიერ დარღვეულია, ამიტომ ფორმებზე გარკვეული წარმოდგენის ქონა შეუძლებელია. აღმოსავლეთის ბოლოში რაღაც სათავსი აშკარად მდგარა, მაგრამ კოშკი იყო თუ რომელიდაც გრძელი სათავსი, ამ ადგილის გაწმენდამდე დაზუსტებით ვერ დადგინდება. ციხის დასავლეთის ბოლოში უფრო დიდი მასაა შერჩენილი, მაგრამ დაზიანების გამო აქაც გაურკვევლობაა. ციხის ამ წვეტში დიდი მასაა, რომლის ზემოთ, 6-7 მეტრის სიმაღლეზე, დადგმულია ტრაპეციული გეგმის მქონე კოშკი თუ რაღაც ნაგებობა. ამ უკანასკნელის ქვედა ნაწილია შერჩენილი. მართალია, ციხე დაზიანებულია, მაგრამ ყველა მისი დეტალი იმაზე მეტყველებს, რომ იგი ადრეულია, ძველ ციხეთა ჯაჭვის ერთი რგოლთაგანია.

წარჩის ტერიტორიაზე მრავალი ისტორიული ძეგლი არსებობს. დღემდე მიგნებულია

23 ისტორიული ადგილი. სამონასტრო კომპლექსს, რომელიც აქ მდებარეობს, ადგილობრივები „ჯიხას“ უწოდებენ. ხელოვნებათმცოდნე ლ. შერვაშიძის აზრით, ის მე-12 საუკუნეს განეკუთ-

ვნება. აქვე იქნა ნაპოვნი და სოხუმის სახელმწიფო მუზეუმში ინახებოდა ეპიგრაფიული წარწერა „ეს წმინდა მთა ეკუთვნის პაშაძეს“ (ამ პირის ვინაობა დაუდგენელია).

უნიკალური ხუროთმოძღვრების ნიმუშად ითვლება წარჩის „ფიჭვ-ერისთეს“ („ფიჭვის ოხვამე“) მოგუმბათებული ეკლესია, რომელიც განსხვავდება გალის რაიონის (და არა მარტო) ყველა ხუროთმოძღვრული ძეგლისგან. ეს ეკლესია შედგება 5 ოთახის-გან, რომელთაგან 3-ს შენარჩუნებული აქვს თავისი პირვანდელი ფორმა. ეკლესია თლილი ქვებითაა აგებული. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი ცენტრალური ნაწილი, რომელიც სპეციალისტების მიერ მე-5 საუკუნით თარიღდება.

1953 წელს წარჩიში აღმოჩენილი სამარხის ერთ-ერთ ოთახში ნაპოვნია სხვადასხვა ზომის ორი დოქი, რკინის ჯვარი, მძივები. ცოტა მოგვიანებით, მეორე ოთახში ნაპოვნი იქნა ფაიფურის სურა. მეცნიერთა მტკიცებით, ეს კოლექცია მე-10 საუკუნეს მიეკუთვნება.

წარჩის ისტორიისა და მისი კულტურულ-ისტორიული ძეგლების შესახებ მასალები შემონახულია ისტორიკოს ნოდარ შონიას პირად არქივებში. მიმდინარე ეტაპზე ამ ძეგლების შესწავლით დაინტერესებულია რუსეთის ფედერაციის არა ერთი მკვლევარი.

ალსანიშნავია წარჩის ქართული ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშის – მთავარანგელოზების მიქაელ-გაბრიელის ხატი, რომელიც დამზადებულია ლევან დადანის სახელოსნოში მე-17 საუკუნის მე-2 ნახევარში (54/47 სმ.). ამ ხატზე ამოკვეთილია წარწერა: „ჩვენ..დადიანმან ..ლეონ .. მე ..ბატონისა ..მანუჩარისა .. ალვაშენეთ ..დაქცეული ..საყდარი ..თქვენი ..წარჩესა .. და.. მოვაჭედინეთ ..ხატი .. ოქროთი ..და ..თვალ-მარგალიტითა .. და ..დავასვენთ .. თქვენსა ..და .. ჩვენსა ..სადლეგრძელოდ ..და ..გასამარჯვებლად: ამინ“. ხატი შესრულებულია ბაჯალლო ოქროს ფირფიტაზე და ამშვენებს ძვირფასი თვლები. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოქროს ფონდში. ლევან დადანის მე-17 საუკუნეში აღუდგენია წარჩეს წმიდა ანდრია მოციქულის სახელობის ეკლესია და მისთვის გადაუცია მიქელ – გაბრიელის ეს ხატი. ბიბლიოგრაფიული წყაროებიდან ცნობილია,

რომ ამ ეკლესიაში 1921 წლამდე მსახურობდა წმიდა ათონის მთის ივერიის მონასტრის ბერი იღუმენი იოაკიმე შენგელია, შემ-დგომში ილორის ეკლესიის აღმდგენელი. დაკრძალულია ილო-რის კარიბჭესთან. მის საფლავს დღესაც ამშვენებს ქართული მხედრული ანბანით შესრულებული წარწერა.

წარჩის მე-2 საშუალო სკოლის ეზოში მდებარეობს 1893 წელს ბერძენი ხუროთმოძღვრების მიერ აგებული ნათლისლების ეკლესია. ეკლესიაში წირვა-ლოცვას აღავლენდა მღვდელ-მონაზონი გაბრიელი. გასაბჭოების შემდეგ ეკლესია დაიხურა და კოლმეურნეობის საწყობად გადაიქცა. აფხაზეთის ომამდე ძეგლი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი „კლუბი“ იყო. 1921 -დან 1990 წლის ჩათვლით იქ არანაირი სარესტავრაციო სამუშაო არ ჩატარებულა. გადახურულია ბაზელიკის ფორმით. ნაგებია მთის ქვით. გადმოცემით, ის მოხატული იყო. ამჟამად ფრესკების ფრაგმენტებიც კი მთლიანად წაშლილია. საჭიროებს შესწავლას, ხელახლა გადახურვას და რესტავრაციას.

ფასადებზე უკვე მცენარეებია მოდებული, ცუდ მდგომარეობაშია ინტერიერიც, საკურთხევლის გარჩევა მხოლოდ ორიენტაციითაა შესაძლებელი. ეს ნათლად ჩანს ფოტოებზეც...

მშობლიური კუთხის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად და შესასწავლად წარჩის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების მოსწავლეები მასწავლებლების ხელმძღვანელობით ხშირად სტუმრობენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და ატარებენ დასუფთავებით სამუშაოებს.